

კორიოლანოსი



ჯიჯია მუხსიანი

უილიამ შექსპირი - კორიოლანოსი
William Shakespeare - Coriolanus

ქვეყნდება შპს iBooks-ის მიერ
ვაჟა-ფშაველას მე-3 კვ., მე-7 კ.
0186 თბილისი, საქართველო
[www. iBooks.ge](http://www.iBooks.ge)

ქართული თარგმანი ეკუთვნის ივანე მაჩაბელს

iBooks® 2020 ყველა უფლება დაცულია.

მოცემული პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება იქნას რეპროდუცირებული, გავრცელებული ან გადაცემული ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის ელექტრონული, მექანიკური, კოპირების, სკანირების, ჩაწერის ან რაიმე სხვა გზით გამომცემლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. გამოქვეყნების უფლების შესახებ გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: info@iBooks.ge

სარჩევი

მოქმედნი პირნი
მოქმედება პირველი
მოქმედება მეორე
მოქმედება მესამე
მოქმედება მეოთხე
მოქმედება მეხუთე

მოქმედი პირნი

კაიოს მარციოს, შემდეგში კორიოლანოსად წოდებული, რომელი დიდებული
ტიტოს ლარციოს, კომინიოს, - სარდალნი ომში ვოლსკების წინააღმდეგ
მენენიოს აგრიპა, კორიოლანოსის მეგობარი
სიცინიოს ველუტოს, იუნიოს ბრუტოს - ხალხის ტრიბუნნი
პატარა მარციოს, კორიოლანოსის ვაჟიშვილი
რომაელთა გზირი
ტულოს ავფიდიოს, ვოლსკების სარდალი
ავფიდიოსის თანაშემწე
ავფიდიოსის მომხრე შეთქმულნი
ანციუმელი მოქალაქე
ორი დარაჯი ვოლსკებისა
ვოლუმნია, კორიოლანოსის დედა
ვირგილია, კორიოლანოსის ცოლი
ვალერია, ვირგილიას მეგობარი
მხლებელი ქალი ვირგილიასი
რომაელთა და ვოლსკთა სენატორნი, პატრიციები, ედილი, ლიქტორნი, ჯარისკაცი, მოქალაქენი,
შიკრიკნი, ავფიდიოსის მსახურნი და სხვა მხლებელნი

მოქმედება წარმებს ზოგი რომში და მის მახლობლად, ზოგი კორიოლში და მის მახლობლად, ზოგი
ანციუმში.

მოქმედება პირველი

სურათი I. რომი. ქუჩა

(შემოდინან აჯანყებულნი მოქალაქენი. ზოგს მარგილი უჭირავს ხელში, ზოგს კეტი და ზოგს სხვა იარაღი)

პირველი მოქალაქე

სანამ წინ წავიწევდეთ, ცოტა რამ მათქმევინეთ.

მოქალაქენი

სთქვი, სთქვი.

პირველი მოქალაქე

გადაწყვეტილი გაქვთ, რომ სიმშლს სიკვდილი გირჩევნიათ?

მოქალაქენი

ოღონდაც, ოღონდაც!

პირველი მოქალაქე

ესეც ხომ იცით, რომ ხალხის პირველი მტერი კაიოს მარციოსია?

მოქალაქენი

ვიცით, ვიცით!

პირველი მოქალაქე

მამ მოვკლათ იგი და პურს, რა ფასიც გვინდა, ის ფასი დავადოთ. ჰა, ასე იყოს?

მოქალაქენი

მაგას რაღა ჩიჩინი უნდა, აგრე იყოს, აგრე! მოდით, არიქა!

მეორე მოქალაქე

ერთი სიტყვა მეც მათქმევინეთ, ჩემნო კარგნო მოქალაქენო!

პირველი მოქალაქე

კარგნო მოქალაქენო! კარგს აღარა გვაკლია, რა! კარგები პატრიციები არიან, ჩვენ კი ღარიბ-ღატაკები. მარტო ის გვეყოფოდა საზრდოდ, რაც მათთვის მეტია და ამ მეტ ლუკმას რომ მოგვაწოდებდნენ, სანამ სული არ ამოგვხდომია, კიდევ ვიტყოდით, ჰო, კაცურად გვეპყრობიანო, მაგრამ ამაზედაც კი პურად-ძვირობენ. ჩვენი სიღარიბე მათ დიდკაცობას უფრო თვალსაჩინოდა ჰხდის და რასაც ბევრს ვიტანჯვით, ის ურჩევნიათ. დავავლოთ ხელი ამ მარგილებს და, თუ თავზე ქუდი გვხურავს, სამაგიერო გადავუხადოთ. ღმერთნი მყავს მოწმად, ამას სიმშლი მალაპარაკებს და არა ჯავრის ამოყრის სურვილი.

მეორე მოქალაქე

მარტო კაიოს მარციოსი რად ამოგიჩემებიათ?

მოქალაქენი

ის არის, რაც არის: ის ძალი ღუპავს ჩვენს ხალხსა.

მეორე მოქალაქე

ამას აღარა ჰფიქრობთ, რამდენი სამსახური გაუწევია თავის ქვეყნისათვის?

პირველი მოქალაქე

მაგაზედ გვიფიქრია და ქებასაც არ დავაკლებდით, მაგრამ ისე მოაქვს თავი და ამაყობს, რომ ჩვენი ქება იმისთვის რაღა საჭიროა.

მეორე მოქალაქე

კარგია, ნუ გესლიანობ.

პირველი მოქალაქე

გეუბნები-მეთქი, რომ თუ იღვწოდა, სახელისათვის იღვწოდა. მართალია, გულჩვილი ხალხი ამბობს, სამშობლოს ემსახურებოდაო, მაგრამ არა, უნდოდა მართო თავის დედა ესიამოვნებინა და სახელი გაეთქვა; იმის სიამაყე სიმამაცეს არც კი ჩამოუვარდება.

მეორე მოქალაქე

რაც ნაკლი ბუნებშითვე ხასიათად დასჩემებია, ბიწად არ ჩაეთვლება. ახლა ბარემ სიხარბეც დააბრალებ.

პირველი მოქალაქე

ხარბი თუ არ არის, შენი ჭირიმე, სხვა ნაკლს ვერ ვუპოვნი! მართო ჩამოთვლით ყბები დამეღალე. (ყვირილი მოისმის) ეს რა ყვირილია? ქალაქის მეორე უბანიც აჯანყებულა, ტყუილად რასა ვცბედობთ აქა; კაპიტოლისკენ გავსწიოთ!

მოქალაქენი

წავიდეთ, წავიდეთ!

პირველი მოქალაქე

ჩუმად, ვიღაცა მოდის!

მეორე მოქალაქე

ეს ჩვენი დარბაისელი მენენიოს აგრიპაა, ხალხის ერთგული მეგობარი.

პირველი მოქალაქე

ეგ მართლაც, პატოსანი კაცია; ნეტა ყველანი მაგისტანანი იყვნენ. (შემოდის მენენიოს აგრიპა)

მენენიოს

აქ რას აკეთებთ, მეზობლებო, ან სად მიდიხართ მარგილ-კეტებით აღჭურვილნი, გამაგებინეთ?

პირველი მოქალაქე

სენატმა კარგად იცის, რასაც ვაკეთებთ: ეს ორი კვირაა, რაღაცას მოელის ჩვენგან და გვინდა მოლოდინი გავუმართლოთ. სულ იმას ჩაგვჩიჩინებენ, ღონიერი ფილტვები გაქვთო და ეხლა გვინდა დავუმტკიცოთ, რომ არც მკლავები გვაქვს უღონო.

მენენიოს

ჩემო კეთილო მეგობრებო, თავს რად ილუპავთ?

პირველი მოქალაქე
როგორ ვიღუპავთ, დაღუპულნი არა ვართ კიდეც!

მენენიოს
პატრიციები თქვენთვის ზრუნვენ მამაშვილურად,
მერწმუნეთ, ძმებო. ეს სიძვირე თუმც მწარედ გტანჯავთ,
მაგრამ ცისკენ რომ მიგემართათ მაგ მუქართა,
უფრო საფერი იქნებოდა რომის კიცხვაზედ.
მას თვის გზაზედ სვლას ვერ შეუშლით იოტის ოდნად,
იგი შემუსრავს ჯაჭვს ღონიერს ათი ათასჯერ
მაგ თქვენს უდიერ კინკლაობა-აჯანყებაზედ.
მოუსავლობას პატრიციებს რისთვის აბრალებთ?
ღმერთთა საქმეა იგი-მეთქი და მუხლმოდრეკით
შევედრება სჯობს მკლავ-კეტების მაღლა აწვდენას.
ვაი, რომ ტანჯვა გაქმნევენებთ უარესს საქმეს
და გყრით უარესს სატანჯველში: ქვეყნის გამგებელთ,
მამობრიულად თქვენზე მზრუნველთ ურცხვადა ლანძღავთ,
აგინებთ, სწყევლით, თითქო მტერნი იყვენენო თქვენნი.

პირველი მოქალაქე
ჩვენზედ მზრუნველთა! როგორ არა! როდის რა ზრუნვა გამოუჩენიათ? ჩვენ სიმშლით კუჭი გვიხმება
და იმათ კი ბედლები პურითა აქვთ გატენილი; მოვახშეების სასარგებლოდ კანონებსა სდებენ, ყოველ
დღე აუქმებენ რაიმე წესს, მდიდრების წინააღმდეგ დადგენილს და სასტიკი ბრძანებებით ღარიბებს
პირში ლაგამსა გვჩრიათ. თუ ომიანობა ბოლოს ვერ მოგვიღებს, მაგათ ხომ მაინც ვერ გადავურჩებით და
ვერა. ალბად ეს ყველა მზრუნველობისა და სიყვარულის ნიშანია!

მენენიოს
ან მეტისმეტად ბოროტნი ხართ და, თუ ასეა,
თქვენვე გამოტყდით, ან სრულიად ჭკვადაბნეულნი.
მე თქვენ გიამბობთ ერთ კარგ არაკს; იქნება იგი
გსმენოდეთ კიდეც, მაგრამ რადგან ამ შემთხვევაში
გამომადგება საბუთადა, კვლავ მოგაგონებთ.

პირველი მოქალაქე
აბა, გვიამბე, მაგრამ ნუ გგონია, არაკებით გული მოგვიღებო და გაგვაცურო. ბრძანე, რაღა.

მენენიოს
ერთხელ სხეულის ნაწილები აჯანყდნენ თურმე
ყველანი მუცლის წინააღმდეგ; დაუწყეს კიცხვა:
ნებივრად, უქმად შუაგულში გაწოლილხარო
და ხარბად სთქვლევავ საჭმელ-სასმელს, არვის რას გვშველი;
ჩვენ ვართ, რაცა ვართ! ვმხედველობთ, ვგრძნობთ, ვისმენთ, ვმოდრაობთ,
ვფიქრობთ, ვაზროვნობთ და ერთურთის დახმარებითა
განვაგებთ ტანის სულიერს და ხორციელს საქმეს.
მუცელმა უთხრა...

პირველი მოქალაქე
ეგა სთქვი, ეგ, - იმან რა უთხრა?

მენენიოს

გეტყვი ეხლავე. დამცინავის პირზე ღიმილით, -
 არაკში მუცელს ღიმიც მოსდის, ენასაც იდგავს, -
 უპასუხა მან აჯანყებულ სხეულის ნაწილთ,
 რომელთაც შურდათ მარტო მისგან საზრდოს მიღება
 და უპატიოდ ექცეოდნენ იმგვარად სწორედ,
 როგორც ექცევით სენატორთა, რომ თქვენ არ გგვანან.

პირველი მოქალაქე

რადას ეტყოდა აბა იგი გვირგვინოსან თავს,
 თვალსა შორსმჭვრეტელს, გულს ყოველთვის კეთილისმრჩეველს,
 ამ დალოცვილსა მარჯვენა მკლავს, ფეხს, ჩვენს ყავარჯენს,
 ენას, ჩვენთ აზრთა გამომხატველს და კიდევ მრავალს
 კაცთა სხეულის დამხმარე ნაკვთს წვრილ-წვრილ საქმეში,
 როცა ყველა ეს...

მენენიოს

მერე, მერე? - ამას სცოდნია, -
 შენვე განაგრძე, სთქვი ბარემა, როცა ყველა ეს...

პირველი მოქალაქე

შეიწრებული არის მწარედ მსუნაგ მუცლისგან.

მენენიოს

მასუკან, ბრძანე.

პირველი მოქალაქე

რას იტყოდა ამ საჩივარზედ ნეტა მუცელი?

მენენიოს

მოთმინება რომ გქონდეს ცოტა,
 აქამდის კიდევ გაიგებდი შენ მუცლის პასუხს.

პირველი მოქალაქე

რომ მეტისმეტად გააგრძელებ!

მენენიოს

უნდა იცოდეთ

ეს, მეგობრებო, რომ მუცელმა დარბაისლურად
 უგო პასუხი და არა ცეტ ბრალმდებლებივით:
 „მართალი არის, ჩვენო თანამონაწილენო,
 - წარმოსთქვა იმან, - რომ პირველად საზრდოს მე ვიღებ,
 რომლითაც ცოცხლობთ თქვენ ყველანი, მაგრამ ეს უნდა
 ასევე იყოს, რადგანაც მე საკუჭნაო ვარ
 მთელის ტანისა და, თუ ხსოვნამ თქვენ არ გიმტყუნათ,
 გეცოდინებათ, რომ ამ საზრდოს სისხლის მარღვებით,
 მიხვევ-მოხვეულ მილებითა სხეულში ვფანტავ,
 ვაწოდებ გულსა, ვაწოდებ ტვინს და ყოველივე -
 ძლიერი ნერვიც, მცირე ასოც - ჩემითა ცოცხლობს.

და თუმცა ყველას თქვენ ერთბაშად არ შეგიძლიან...“
დიალ, ეს უთხრა მათ მუცელმა, ხომ კარგად გესმით?

პირველი მოქალაქე
გვესმის, ჰო, გვესმის! სთქვი, განაგრძე.

მენენიოს
„თუმცა ყველანი ვერა ჰხედავთ ერთბაშად იმას,
რასაც გიგზავნით სათითაოდ, მაგრამ გარწმუნებთ,
და დამტკიცებაც შემიძლიან, რომ გამტკიცულ ფქვილს
თქვენ გინაწილებთ, ჩემთვის მარტო ვიტოვებ ქატოს“.
რას იტყვით აბა თქვენ ამაზე?

პირველი მოქალაქე
ჰო, მარჯვედ უთქვამს,
მაგრამ აბა ჩვენ ეგ არაკი რას შეგვეხება?

მენენიოს
რომის კეთილნი სენატორნი უდრიან მუცელს
და თქვენ სხეულის შფოთიან წევრთ. აბა, იფიქრეთ,
სწორედ განსაჯეთ, სახელმწიფოს სიკეთისათვის
თუ რამდენს ზრუნვენ. მაშინ კარგად მიხვდებით ყველა,
რომ ქველ საქმეთა წყარო მათგან გადმომჩქეფარებს
და არა თქვენგან. - შენ რას იტყვი, შენ, ფეხის ცერო
ამ ყრილობისავ?

პირველი მოქალაქე
ფეხის ცერი მე რად ვიქნები!

მენენიოს
სწორედ ეგ ხარ, უწუწკესი, უდატაკესი,
უკანასკნელი ამ გონიერ შეკრებილების
და წინ კი მოხვალ ყველაზედა შოვნის იმედით,
თუმც, საზიზღარო, პირველივე უკან მოჰკურცხლავ.
მზად იქონიეთ კომბალ-კეტნი, ხელთ მოიმარჯვეთ:
რომი და მისი ვირთაგვები წაჩხუბებულან
ერთ-ერთი მხარის დასაღუპად.
(შემოდის კაიოს მარციოს)
დიდო მარციოს, იყავ დღევრძელი!

მარციოს
გმადლობ, გმადლობ. - რა ამბავი გაქვთ,
რას ხეტილობთ მოუსვენრად; ვითომ აზრს ებრძვით
და ლამის ტვინი გაგილაყოთ მეტიჩარობამ?

პირველი მოქალაქე
ჩვენ კარგი სიტყვა შენგან კიდევ არა გვკლებია.

მარციოს

თქვენზედ კარგს სიტყვას ვინც დახარჯავს, წუწვი პირმოთნე
უნდა ეწოდოს. აბა, რა გსურთ ნეტა, ქოფაკნო,
რომ არც ომის ხარტ კმაყოფილნი, არც მშვიდობისა!
ერთი გაშინებთ, მეორე კი გმატებთ ზვავობას!
ვინც გერწმუნებათ და ლომებად დაგსახავთ, იმას
მხოლოდ კურდღლები ხელთ შერჩება და ბატისტვინა
მელიის ნაცვლად. კაცი თუნდა თქვენ მოგნდობიათ,
თუნდა ყინულზედ დებულს ცეცხლსა, ან მზეზე სეტყვას.
ფეხქვეშ ვინც გთელავთ, თაყვანსა სცემთ და სიმართლეს კი
წყევლით ძირს უთხრით. ღირსეულად განდიდებული
მოიმკის თქვენგან სიძულვილსა და სხეულის ჟინს
წააგავს თქვენი სიყვარული: იმას ნდომულობთ,
რაც და ვინც უფრო გაგიმწვავებთ წყლულსა და ტკივილს.
თქვენის იმედით ყოფნა მას ჰგავს, ადამიანი
ჩავარდეს წყალში საცურავად ტყვიით ტვირთული,
ან მოინდომოს წამოქცევა მუხისა ლერწმით.
როგორა, თქვენ, თქვენ მოგენდოთ! თქვენ, რომელნიცა
ყოველ წუთს და წამს აზრებს იცვლით: გუშინდელ უფალს
დღეს პირქვე ამხობთ და ამალლებთ, ვინც გულით გძულდათ.
რა დაგმართვიათ, ამ ქალაქის სხვადასხვა ალაგს
რომ მოგიყრიათ თავი, ლანძღავთ დიდებულ სენატს,
რომელს, ღვთის მადლით, კიდევ კარგი, ხელთ უჭირავხართ,
თორემ აქამდის ხომ დასჭამდით მთლად ერთმანეთსა,
რაო, რა უნდათ?

მენენიოს

უნდათ, პური გავუიაფოთ,
ქალაქში იგი ბევრიაო, ასე ამბობენ.

მარციოს

„ასე ამბობენ!“ ხრჩობა მაგათ მაგ სიტყვებისთვის.
წამოსკუპულან ბუხრების წინ და კაპიტოლის
ამბები ვითომ სულ იციან: ვინ მალა იწევს,
ვის სწყალობს ბედი, ან დამხობა თუ ვის მოელის;
ვინ ვის მომხრეობს, ვინ ვის ირთავს; ზოგთა აქებენ
და, ვინც არ მოსწონთ, თვის დაჯღანულ წალებში სჩრიან.
ამბობენ, პური ბევრიაო! ოჰ, ნეტავი კი
ხელი აიღონ სიბრალულზედ რომის დიდებულთ
და ხმლის ხმარების ნება დამართონ; სულ ლუკმა-ლუკმა
ავკუწავდი ამ მონათ გროვას; ავახორებდი
ამ სიმალლემდე, ვიდრე ხმალი მიმიწვდებოდა
და მაწანწალა ძალთ სალაფავს შევუმზადებდი.

მენენიოს

ესენი თითქმის მოვარჯულე; თავგასულობენ
თუმც მეტისმეტად, მართალია, მაგრამ ხომ ხედავ,
სიმხდალემ სრულად მიმოჰვანტა. შენ სჯობს ეს მითხრა,
სხვა ჯგუფნი როგორ იქცევიან?

მარციოს
 რაღა როგორა
 ეშმაკმა იცის იმათ თავი, წაეთრნენ სახლში;
 მშვივრები ვართო, იძახოდნენ, იმეორებდნენ
 რაღაც ანდაზებს: რომ ქვითკირის კედლებიც კი ვერ
 გაუმაგრდება სიმშობსაო; რომ თვის ულუფა
 მაღლსაცა აქვსო; ღმერთნი მარტო მდიდრებისათვის
 არ გვიგზავნიან პურს პირისთვის გაჩენილსაო.
 ჟივილ-ხივილით საჩივარი უცნაური რამ
 მიართვეს სენატს; შეიწყნარა იმანაც იგი
 და ამით ფრთები შეიკვეცა, გულში დაიჭრა.
 მათ კი ამ ამბის მნახველთ მორთეს ძალზედ კიჟინი,
 მოჰყვენენ ქუდების მაღლა სროლას, თითქო უნდათო
 ჩამოჰკიდონო თვით მთვარეზედ.

მენენიოს
 რა შეიწყნარა?

მარციოს
 მიეცათ ნება, აირჩიონ ხუთი ტრიბუნი
 მათ სისულელის მოსარჩლედა: ერთი მათგანი
 ბრუტოსი არის იუნიოს, კიდევ ველუტოს
 სიცინიოსი, სხვა არ მახსოვს, კისრის მტვრევა მათ!
 რომ დაენგრიათ მთლად ქალაქი მაგ ლაწირაკებს,
 მაინც კიდევ მზგავს უფლებას ვერ გამომტყუებდნენ,
 ვინ იცის შემდეგ ეგ ნება ვით გამოიყენონ,
 რა ხათაბალა აუტეხონ ჩვენს სახელმწიფოს.

მენენიოს
 უცნაურია!

მარციოს
 აღარ წახვალთ, ხროვის კუდებო!
 (საჩქაროდ შიკრიკი შემოდის)

შიკრიკი
 სადა ბრძანდება მარციოსი?

მარციოს
 აქ ვარ, რა გინდა?

შიკრიკი
 ვოლსკები ლაშქრად გამოსულან.

მარციოს
 მით უკეთესი,
 ამ წაყარ-წყარ დაობებულ ხალხს მოვიშორებთ.
 აგერ უფროსნი აქ მოდიან.
 (შემოდინან კომინიოს, ტიტოს ლარციოს და სხვა სენატორნი; იუნიოს ბრუტოს და სიცინიოს ველუტოს)

პირველი სენატორი
 რაც შენ გვითხარი,
 გამართლებულა; ვოლსკნი თურმე ომს გვიპირობენ.

მარციოს
 ავფიდოსი ჰყავთ მათ სარდლად, რომელიც მალე
 ექვს გაგიქარვებთ, რომ შეგვებმის. უნდა გამოვტყდე,
 რომ მარტო იმის ვაჟკაცობა მეხარბება მე
 და მარციოსი რომ არ მერქვას, დავთანხმდებოდი,
 ავფიდოსი ვყოფილიყავ, სხვა კი არავინ.

კომინიოს
 ვგონებ იმასთან გიბრძოლია.

მარციოს
 მთელი ქვეყანა
 თუნდ ერთმანეთის წასაკიდად შუა გაიყოს
 და ის მოიქცეს ჩემს მხარეზედ, შფოთს ავუტეხდი,
 რომ მარტო მასთან შეტაკება მრგებოდა ხვედრად.
 იგი ლომია, ნადირობა მწყურის იმაზედ.

პირველი სენატორი
 ღირსო მარციოს, თანაშემწედ უნდა წაჰყვე შენ
 ამ ომში სარდალს კომინიოსს.

კომინიოს
 თვით შენ ისურვე.

მარციოს
 და არც გადავთქვამ ჩემს სურვილსა. - მაშ ტიტ ლარციოს,
 ავფიდოუსთან შეჭიდებულს მნახავ კიდევა.
 რაო, დაბერდი, არ მოდიხარ?

ტიტოს ლარციოს
 არა, მარციოს,
 უკან დარჩენას მირჩევნია, ერთ ჯოხს დავეყრდნო
 და მეორით მტერს შევუტო.

მენენიოს
 აი ვაჟკაცი!

პირველი სენატორი
 კაპიტოლისკენ გავემგზავროთ, იქ დიდებულნი
 მეგობარნი ჩვენ მიგველიან.

ტიტოს (კომინიოსს)
 შენ წინ წაგვიძელ.
 (მარციოსს) მას შენც თან მიჰყევ, ჩვენ კი უკან მოგედევნებით;
 ღირსეულს უნდა ეკუთვნოდეს ღირსი ალაგი.

კომინიოს
დიდო მარციოს, მობრძანდები?

პირველი სენატორი (მოქალაქეთ)
წადით აქედან თქვენ თქვენსავ სახლში.

მენენიოს
დაეხსენ, მოგვყვენენ:
ვოლსკებს ხორბალი ბლომდა აქვთ და ეს თავგები
მათ ჰურის ბედლებს მივუსიოთ, ღრღნან, რაც შეიძლონ!
მობრძანდით რაღა, ბატონებო, შფოთის თავებო,
ეგ სიმამაცე აბა ეხლა გამოგადგებათ.
(ბრუტოსისა და სიცინიოსის გარდა ყველანი გადიან. მოქალაქენი დაიშლებიან)

სიცინიოს
ამ მარციოსის მზგავსი ვინმე სიამაყითა
გაგიგონია?

ბრუტოს
არა მჯერა, რომ იყოს სადმე.

სიცინიოს
როცა გვირჩევდნენ ტრიბუნებად...

ბრუტოს
შენც შეამჩნიე,
ტუჩს და თვალეზზედ რა დაეცყო?

სიცინიოს
ვერა, მაგრამა
დამცინავს კილოს მოვკარ ყური.

ბრუტოს
როს აღელდება,
ღმერთებს არ ინდობს.

სიცინიოს
თვით მთვარესაც, მშვიდს და უწყინარს,
დასცინის ხოლმე.

ბრუტოს
ეს ომები ბოლოს მოუღებს,
მაგ ვაჟკაცობამ მეტისმეტად წაათამამა.

სიცინიოს
როცა ეგეთს კაცს მარჯვედ მოსდის რაიმე საქმე,
თვით შუადღისას ჩრდილებს ეძებს, რომ წაედავოს.
მიკვირს ზვავობამ მისმა როგორ აკისრებინა
კომინიოსის შემწედ ყოფნა?

ბრუტოს
 სახელისათვის,
 რაიც შეადგენს მაგის წადილს და რაიც ბედმა
 უხვად არგუნა, ეგ უკეთესს ვერას იზამდა,
 როგორც რომ ყოფნას ხელქვეითად: დაშავდება რამ,
 დააბრალებენ ყველას სარდალს, თუნდ უაღრესად
 ეცადოს იგი, მოჰყვებიან ენის ჭარტალსა!
 „ოჰ, მარციოსს რომ ეკისრაო, მაშინ სხვა იყო“.

სიციინიოს
 ეგეც კი არის. ამას გარდა, თუ გავიმარჯვებთ,
 ხალხის ხმა, რაიც ისე სწყალობს მარციოსის სვეს,
 მასზედ გადიტანს სარდლის ღვაწლსა.

ბრუტოს
 ეგრეა-მეთქი!
 თავის სახელის ნახევარი კომინიოსმა
 უნდა მარციოსს დაუთმოს, თუნდც არ ეკუთვნოდეს;
 დიდის შეცდომა გარდექმნება მცირეს ღირსებად.

სიციინიოს
 წავიდეთ, ვნახოთ, თუ სენატი როგორ მოქმედობს
 და ან მარციოსს რას აპირობს, როგორ იქცევა,
 თვის უცნაურს ზნეს ვით უძღვება.

ბრუტოს
 კარგი. წავიდეთ.
 (გადიან)

სურათი II. კორიოლი. სენატის სასახლე
 (შემოდინ ტულოს ავფიდიოს და რამდენიმე სენატორი)

პირველი სენატორი
 მაშ შენ გგონია, ავფიდიოს, რომ რომაელთა
 იციან ყველა საიდუმლო განზრახვა ჩვენი?

ავფიდიოს
 შენ სხვაფრივ ჰფიქრობ? ერთი მითხარ, რა განგვიზრახავს,
 რომ რომის ქალაქს არ შეეტყოს აღსრულებამდე?
 ეს ოთხი დღეა, რაც იქიდან ცნობა მივიღე
 სწორედ ამ სიტყვით... მაგრამ, ვგონებ, წერილიც თან მაქვს;
 ჰო, აქ მქონია (ჰკითხულობს) „რომაელნი ჯარს ამზადებენ,
 მაგრამ სად წავლენ, აღმოსავლეთს, თუ დასავლეთით,
 არავინ იცის. საშინელი სიძვირეა აქ;
 ხალხი აჯანყდა და ამბობენ, რომ კომინიოსს,
 მარციოსს, შენი ძველი მტერი, რომელიც რომში
 მეტად სძულთ, ვგონებ, ვიდრე შენ გძულს და ტიტ ლარციოსს,
 მამაცთ-მამაცი რომაელი, - დიად ეს სამნი

ომის სამზადისს განაგებენ. თუ ვის ებრძვიან
საიდუმლოა, მაგრამ ვგონებ თქვენს წინააღმდეგ
არის ეს ყველა მომართული. ეხლა თქვენ იცით“.

პირველი სენატორი
ჩვენი ჯარები წასულია და არც ვეჭვობდით,
რომ რომი პასუხს მოგვიგებდა.

ავფიდიოს
შენი ბრალია;
გვსურდა ფარულად მოგვემზადა ყოველიფერი,
ვიდრე თავისით უნებლიედ გამჟღავნდებოდა
და შენ არ ჰქმენი, სისულელედ ჩასახე ესე
და აი, რასაც გავიფიქრებთ, მტერმა წინ იცის.
ვიდრემდე რომი შეიტყობდა ჩვენს გალაშქრებას,
გვწადა ზოგიერთ ქალაქების დასაკუთრება
და ეხლა კი რაღას ვიზამთ, რაღას გავხდებით!

მეორე სენატორი
მაინც, მამაცო ავფიდიოს, წადი ლაშქარში,
ჩქარა შეუდეგ შენს საქმესა, ჩვენ აქ დაგვტოვე
დედაქალაქის დასაცველად; და თუ კი მტერი
გარს შემოერთყმის კორიოლსა, მაშინ ისწრაფე
მოსაშველებლად; მაგრამ ვგონებ, შენც დარწმუნდები
რომ იმ სამზადისს სხვა აზრი აქვს.

ავფიდიოს
რა სათქმელია!
მე ნამდვილს ვამბობ, რასაც ვამბობ. ჯარი კიდევაც
ნაწილ-ნაწილად წამოსულა პირდაპირ ჩვენსკენ.
მშვიდობა ყველას! - თუ კაიოს მარციოსს შევხვდი,
გაფიცულნი ვართ, ერთმანეთი აღარ დავზოგოთ.

ყველანი
მაღალნი ღმერთნი გყავდნენ შემწედ.

ავფიდიოს
აგრეთვე თქვენცა.

პირველი სენატორი
მშვიდობით იყავ!

მეორე სენატორი
გამარჯვება!

ყველანი
მშვიდობით იყავ!
(გადიან)

სურათი III. რომი. ოთახი მარციოსის სახლებში
(ვოლუმნია და ვირგილია დაბალ სკამებზედ სხედან და ჰკერვენ)

ვოლუმნია

იმდერე, შვილო, ან სანუგეშო სთქვი რამე. მარციოს რომ ჩემი ქმარი ყოფილიყო, საქორწილო ქვეშაგებში მასთან ტრფიალებით ხვევნა-ალერსს საგმიროდ გასტუმრებას ვარჩევდი. ჯერ, როცა ბავშვი იყო, გამვლელ-გამომვლელთ თავის მშვენიერებით გულს უტყვევებდა და როცა დედა, მთელი დღე რომ მეფენი ჩასციებოდნენ, ერთი საათითაც თვალიდან არ მოიშორებდა, მაშინ მე ეს ერთადერთი ნაყოფი ჩემის მუცლისა გავგზავნე საშიშარ და თან სასახელო ომში. ვიცოდი სივაჟაკე დაამშვენებდა, რომ თუ გული საომრად არ დაუწყებდა ცემას, კედლის სურათის ფასისა იქნებოდა და ამისთვის სასტიკ ომში გავისტუმრე-მეთქი. მომივიდა იქიდან თავზედ მუხის ფოთლის გვირგვინ დადგმული. მერწმუნე, შვილო, ისე არ შემხტარვარ სიხარულით, როცა პირველად მაცნობეს, ვაჟი გეყოლაო, როგორც ომის შემდეგ დავაჟაკებულ შვილის დანახვაზედ.

ვირგილია

ბრძოლის დროს რომ მომკვდარიყო?

ვოლუმნია

მაშინ იმის სახელს ვიშვილებდი და იმით ვინუგეშებდი. გულწრფელად გეუბნები. თორმეტი ვაჟიშვილი რომ მყავდეს და ყველა თანასწორად მიყვარდეს, ისე როგორც შენ და მე მარციოს გვიყვარს, უფრო სიამოვნებით ავიტანდი, თერთმეტი მამულისთვის ომში გაწყვეტილიყო, ვიდრე მეთორმეტე შინ ქალაჩუნად უქმად დამრჩენოდა.

(შემოდის ვირგილიას მხლებელი ქალი)

მხლებელი ქალი

თქვენს სანახავად ვალერია გაიხლათ აქა.

ვირგილია

მიბოძე, დედავ, წასვლის ნება.

ვოლუმნია

რა დროს წასვლაა!

აგერ შენი ქმრის დაფდაფების ხმა მეყურება,
თვალთა წინ მიდგას, ავფიდიოსს თმებით ვით ათრევს,
როგორ გარბიან მის წინ ვოლსკნი დათვისგან დამფთხალ
ბავშვების მზგავსად; აგერ მიწას ფეხს როგორა სცემს
და საყვედურობს თავის ჯარსა: „ოჰ, თქვე მხდალებო,
შობილნო რომში, მაგრამ შიშით, ძრწოლით აღზრდილნო!“
შეჭურვილ ხელით, ვხედავ, იწმენდს სისხლიან შუბლსა
და წინ მიიწევს ისე ცხარედ, როგორც მუშაკი,
რომელსაც მარტოს უკისრია მთლად ყანის მომკა.

ვირგილია

სისხლიან შუბლსო! ოჰ, ღმერთნო, სისხლს ნუ გამაგონებთ!

ვოლუმნია

აბა, რას ჩმახავ! სისხლი ვაჟკაცს უფრო შეშვენის,
ვიდრე ნიშანი გამარჯვების ოქროთ ქსოვილი.
როცა ჰკეუბას სწოვდა ჰექტორ, მისნი ძუძუნი

ისე საამოდ სანახავნი არ იყვნენ, როგორც
 იმავ პექტორის შუბლი ზიზღით სისხლის მჩქეფარე
 ბერძნების ხმლებზედ. - ვალერიას სთხოვე, მოზრმანდეს.
 (მხლებელი ქალი გადის)

ვირგილია
 ავფიდოსის ხელისაგან დაიხსნან ღმერთთა
 მეუფე ჩემი.

ვოლუმნია
 ავფიდოსს, ნეტა რას ამბობ,
 ის ზედ შესდგება და კისერზედ მუხლებს დააჭერს!
 (შემოდის მხლებელი ქალი. უკან ვალერია და იმის მსახური მოსდევს)

ვალერია
 მშვიდობა თქვენდა, ქალბატონებო.

ვოლუმნია
 ოჰ, ვალერია.

ვირგილია
 მიამა სწორედ შენი ნახვა.

ვალერია
 როგორა ბრძანდებით? რა არის, რომ სულ შინა ზიხართ და მეოჯახობთ. ამას რასა ჰკერავთ? რა
 ჩინებული სახეა. შენი პატარა ბიჭი როგორღაა?

ვირგილია
 გმადლობ, კარგად არის.

ვოლუმნია
 ეს არის მხოლოდ, რომ თავის მასწავლებლის დანახვას ხმლების დანახვა და დაფდაფების ხმა
 ურჩევნია.

ვალერია
 მამის შვილი არ არის თუ! მართლაც მშვენიერი ბავშვია. მთელი ნახევარი საათი ვუყურებდი წარსულ
 ოთხშაბათს: მეტისმეტი ამაყი შეხედულობა აქვს; ოქროსფერ პეპელას მისდევდა და ხან დაიჭერდა, ხან
 ისევ გაუშვებდა. ბოლოს, არ ვიცი, წაიქცა და იმან გაააფთრა, თუ რა იყო, დაავლო ხელი, კბილები
 დააკრაჭუნა და სულ ნაკუწ-ნაკუწად დაჰგლიჯა.

ვოლუმნია
 მამასავით ცხარია.

ვალერია
 ჩინებული ბავშვია.

ვირგილია
 მეტად ცელქი რომ არ იყოს.

ვალერია
დაანებე თავი მაგ საკერავს, წავიდეთ, ეს სალამო უსაქმურად გავატაროთ.

ვირგილია
ვერა, ვერ წამოვალ.

ვალერია
რატომ ვერ წამოხვალ?

ვოლუმნია
წამოვა, წამოვა.

ვირგილია
ვიდრე ჩემი მეუღლე ომიდან არ დაბრუნდება, შინიდან კარში ფეხს არ გავდგავ.

ვალერია
დიდი ახირებაა ეგ შენგან; წამოდი, ავადმყოფი მეზობელი მაინცა ვნახოთ.

ვირგილია
ლოცვა-ვედრებას არ მოვაკლებ, რომ მალე მორჩეს, მაგრამ წამოსვლით ვერ წამოვალ.

ვოლუმნია
რატომ, რა ამბავია?

ვირგილია
ეგ არც სიზარმაცით მომდის, მერწმუნე, არც გულგრილობით.

ვალერია
გინდა მეორე პენელოპა დაგარქვან? მერე ის კი არ იცი, რომ მისმა ულისის გარედ ყოფნის დროს ნაქსოვმა მთელი ითაკის კუნძული რჩილით აავსო. ნეტა ეგ საკერავიც თითივით მგრძნობიერი იყოს, რომ სიბრაულებით მაინც დაანებო თავი ნემსით ჩხვლეტას. წამოდი, წამოდი.

ვირგილია
მომიტევე, ძვირფასო ვალერია, არ შემიძლიან.

ვალერია
წამოდი და ძალიან კარგ ამბავს გაამბობ შენის ქმრისას.

ვირგილია
ჯერ რა ამბავი მოვიდოდა.

ვალერია
მოვიდა-მეთქი, არ გეხუმრები, წუხელის მოვიდა.

ვირგილია
მართაღს ამბობ?

ვალერია

სრულიად მართალს, ერთი სენატორი ლაპარაკობდა და იმას მოგვარი ყური. აი საქმე როგორ ყოფილა: ვოლსკებს ჯარი გამოუყვანიათ და მათ წინ დახვედრია ჩვენი სარდალი კომინიოსი რომაელთა ჯარის ერთი ნაწილით. შენი მეუღლე და ტიტ ლარციოსი კი კორიოლს გარს შემოსდგომიან. იმედს იძლევიან თურმე, ძალიან მალე გავიმარჯვებთო. პატიოსან სიტყვას გაძლევ, ეს სულ მართალია. არც ეხლა წამოგვეყვები?

ვირგილია

ეხლა არ შემძლიან-მეთქი, მომიტევე; მასუკან ყველა თხოვნას შეგისრულებ.

ვოლუმნია

დაეხსენ, თორემ ისე უგემურად არის, ჩვენც სევდებს აგვიშლის.

ვალერია

ეგეც მართალია; მაშ მშვიდობით. მობრძანდი, ვოლუმნია. - კიდევ გეხვეწები, ეგ შენი სიძარბაისლე მისთვისო სადმე და წამოგვეყვე.

ვირგილია

ერთის სიტყვით არას გზით არ შემძლიან, ღმერთთა მხიარულად გამყოფონ.

ვალერია

მშვიდობით.

(გადიან)

სურათი IV. კორიოლის წინ

(შემოდინ დაფდაფებით და ბაირალებით მარციოს, ტიტოს ლარციოს, ოფიცრები და ჯარისკაცი)

მარციოს

ამბები მოაქვთ. ნაძლევსა ვდებ, რომ იბრძოლებდნენ.

ლარციოს

ჯერ არა, თუნდა სანაძლეოდ ცხენები დავდოთ.

მარციოს

ძალიან კარგი.

ლარციოს

თანახმა ვარ.

(შემოდის შიკრიკი)

მარციოს

მტერს შეებრძოლა ჩვენი სარდალი, თუ ჯერ არა?

შიკრიკი

არ უომნიათ,

თუმცა ერთმანეთს პირის-პირად, ახლო უდგანან.

ლარციოს
მაშ შენი ცხენი ჩემი არის.

მარციოს
მევე ვყიდულობ.

ლარციოს
ვერც მოგყიდი და ვერც გაჩუქებ, ვადით გათხოვებ
ერთ ორმოც და ათ წელიწადსა. - უხმეთ ქალაქელთ.

მარციოს
ჯარი შორს არის?

შიკრიკი
მილ-ნახევრის მანძილზედა სდგას.

მარციოს
მაშ ხმა მოგვივა მათის ჩხუბის, იმათ - ჩვენისა.
დიდო მარეხო, მოგვისწრაფე ამ ბრძოლის ჟამი,
რომ გავექანოთ ჯერედ კიდევ ორთქლიან ხმლებით
ჩვენთა მეგობართ მისაშველად. - უხმეთ ქალაქელთ.
(ბუკს უკვრენ. კედლებზედ გადმოსდგებიან სენატორნი და სხვა მოქალაქენი)
ტულ ავფიდიოს ქალაქშია?

პირველი სენატორი
აქ არც ის არის
და არც სხვა ვინმე, რომელს თქვენი იოტის ტოლი
შიში რამ ჰქონდეს. (შორიდან დაფდაფის ხმა მოისმის) რომაელნო, გესმით დაფის ხმა?
იგი ჩვენ ჭაბუკთ ბრძოლად იწვევს. ამ კედლებს ჩვენვე
შუა გავაპობთ. და გამოვალთ მათ დანგრევამდე;
ნურც ეს კარები გეგონებათ ჩაკეტილები,
წალამგაყრილი არის მხოლოდ, თვითვე იღება.
(შორიდან ბრძოლის ხმაურობა მოისმის)
არ გეყურებათ, ავფიდიოსს დაუფრენია
თქვენი ლაშქარი!

მარციოს
ომის ხმაა.

ლარციოს
შემოვიკრიბოთ
ჩვენც სიმამაცე. კიბეები მოიტათ ჩქარა!
(ვოლსკნი საბრძოლველად გამოდიან)

მარციოს
არ ეშინიანთ, დაანებეს ქალაქსაც თავი!
ოჰ, აიყუდეთ, რომაელნო, ფარნი გულებ წინ.
რანიც სიმტკიცით თვითონ ფარის ფოლადს მეტობენ.
მამაცო ტიტოს, წადეგი წინ. როგორა, უნდა

მტერმა აბუჩად აგვიგდოს ჩვენ! ბრაზით ოფლს მასხავს.
 მოდით, ვაჟკაცნო, ვინც დაიხევს, ვოლსკად მივიჩნევ
 და ვაგრძნობინებ ჩემის ხმლის პირს.
 (რომაელნი და ვოლსკნი ბრძოლით გადიან, რომაელთ დაამარცხებენ და თავიანთ თხრილებამდე
 გარეკენ. მარციოს შემობრუნდება)

მარციოს

ჭირმა წაგიღოთ!

დიდ რომს თავს ლაფი გადაასხით, თქვე პირუტყვებო.
 მოგიდნოთ სნებამ, წყლულ იარამ, რომ უხილავად
 თქვენდამი გრძნობდნენ ზიზღს შორიდან, მილის მანძილზედ,
 ერთი-ერთმანეთს აყროლებდეთ, აბინძურებდეთ!
 კაცის სახე გმევთ, მაგრამ გული ბატისა გჩრიათ.
 გამოექეცით მონათ ხროვას, რომელსაც თითონ
 მაიმუნებიც დაიფრენდნენ. ოჰ, ჯოჯოხეთო!
 დაგწითლებიათ ზურგნი ცემით და სახეზედ კი
 გაყვითლებულხართ მეტის შიშით. შემოიკრიფეთ,
 მალი და ღონე, შეუტიეთ, თორემ ცას ვფიცავ,
 მტერს დავეხსნები, თქვენ შეგებრძვით. აბა, ეცადეთ!
 თუ გამაგრდებით, დავირეკავთ მათ ცოლშვილამდე,
 როგორც თხრილები წედან მაგათ მოგვანახვინეს.

წამოდით, მომყეთ!

(ომის ხმაურობაა. შემოდიან ვოლსკნი და რომაელნი; ბრძოლა განახლდება. ვოლსკნი კორიოლში
 შევლენ, მარციოს კარებამდე მიჰყვება)

აი, ხედავთ, კარი ღიაა.

მარჯვე დრო არის: ეგ კარები ბედმა გაგვიღო

ჩვენ გამარჯვებულთ და არა მათ გაქცეულ ვოლსკებს.

რასაც მე ვიზამ, თქვენც ის ჰქმენით. (შევარდება კარებში)

პირველი ჯარისკაცი

მე ვერ გავბედავ. ეგ თავზედ ხელის აღებაა.

მეორე ჯარისკაცი

ვერც მე.

(მარციოსს შიგ ჩაჰკეტენ)

პირველი ჯარისკაცი

არ ჰხედავთ, მარციოსს კარი ჩაუკეტეს.

ყველანი

დაღუპულია!

(ომის ხმაურობა კვლავ მოისმის. შემოდის ტიტოს ლარციოს)

ლარციოს

ნეტა რა იქნა მარციოსი?

ყველანი

მკვდარი იქნება, უეჭველია.

პირველი ჯარისკაცი
 გაქცეულებს უკან მისდევდა
 და ქალაქშივე შეეჭრა მათ. შესვლის უმაღვე
 კარი მოჰკეტეს და მარტოკა შიგ მოიმწყვდიეს.

ლარციოს
 კეთილშობილო ქმნილებაო! უშიშროებით
 შენ, გრძნობიერი, თვით უგრძნობელ ხმალსაც სჭარბობდი.
 და მედგრად იდეგ, როცა იგი იზნიქებოდა.
 აღარა გვყავხარ, ოჰ, მარციოს! თვალი ძვირფასი,
 თუნდ შენი წონა, სიკეთით ვერ შეგედრებოდა.
 კატოს სურვილზედ გამოჭრილი ვაჟკაცი იყავ,
 განა მძვინვარე და საშიში მარტო მკლავითა!
 არა, მრისხანედ თვალით გარე რომ მიმოავლებდი
 და შენს მქუხარე ხმას ასმენდი, ძრწოდნენ მთლად მტერნი,
 თითქო ციება შეხვდა მიწას და მაგდაგებსო
 (მარციოს დაბრუნდება სისხლში შესვრილი, მტერი უკან მოსდევს)

პირველი ჯარისკაცი
 აი, მარციოს!

ლარციოს
 ის არის, ის! მოდით ვუშველოთ,
 ანუ დავიხსნათ, ან ჩვენც მასთან დავდოთ თავები.
 (იბრძვიან და ისე შედიან ქალაქში)

სურათი V. ქუჩა კორიოლში
 (შემოდის რამდენიმე რომაელი და თან ნაალაფარი მოაქვთ)

პირველი რომაელი
 რომში წავიღებ მე ამასა.

მეორე რომაელი
 აი, მეც ამას.

მესამე რომაელი
 დასწყევლოს ღმერთმა, ეს ოხერი ვერცხლი მეგონა.
 (შორიდან კიდევ ომის ხმაურობა ისმის. შემოდინ მარციოს და ტიტოს ლარციოს, თან მებუკე
 მოსდევს)

მარციოს
 ერთი დახედეთ ვაჟბატონებს! დამტვრეულ დრაქმას
 არ მივცემ ამათ საქონელში. დაუხვეტიათ
 კალის კოვზები, ბალიშები, ნაყარ-ნუყარი
 რკინეულობა, მჭვრები, რასაც თვითონ ჯალათი
 არ მოჰკიდებდა ხელს და მიწას ჩაჰფლავდა მკვდართან;
 არ მოუცდიათ ამ საზიზღარტ იმ დრომდე მაინც,
 რომ ბრძოლას ბოლო მოჰლებოდა. დაიკარგენით!

ომის კიჟინი ისმის აგერ; იქ გავეშუროთ,
რომაელებზედ იქ მძვინვარებს ავფიდიოსი,
იგი, მოსისხლე მტერი ჩემი. მამაცო ტიტოს,
შენ ამ ქალაქის მცველად დარჩი საჭირო ჯარით
და ვისაც გული ბრძოლად ერჩის, მე თან წავიყვან,
მივეშველები კომინიოსს.

ლარციოს
შენ სისხლი დაგდის;
ჯაფა დაგადგა მეტად დიდი და ხელმეორედ
როგორღა შესძლებ ომში შესვლას!

მარციოს
ტყუილად მაქებ;
ჯერ რიგიანად ომის ცეცხლი არ მომდებია.
მშვიდობით, ტიტოს. ჩემთვის სისხლი უფრო სარგოა,
ვიდრე მავნები. სწორედ ასე სისხლში შესვრილი
შევებრძოლები ავფიდიოსს.

ლარციოს
სვებენიერად
იმყოფებოდე მუდამ ჟამსა და შენთა მტერთა
ხმლებს გზები სრულად დაუბნიოს მუხთალმა ბედმა.
ნუ მოგკლებია გამარჯვება, მამაცო-მამაცო!

მარციოს
და შენც განგება ყოველ დრო-ჟამს გწყალობდეს ისე,
როგორცა სწყალობს თვის არჩეულთ.

ლარციოს
ღირსო მარციოს!
(მარციოს გადის)
წადი და ბუკს ჰკარ მოედანზედ. ქალაქის უფროსთ
უხმე იქ ყველას, გვსურს, ვაცნობოთ ჩვენი წადილი.
(გადიან)

სურათი VI. კომინიოსის ბანაკს ახლო
(შემოდინ კომინიოს და ჯარები ბრძოლიდან დაბრუნებულნი)

კომინიოს
გერგებათ, ძმებო, შესვენება; ისე ვიბრძოლეთ,
როგორც შეჰფერის რომაელთა: არც უგუნურად
მტერს ვესეოდით, არც მხდლებივით ვიწევდით უკან.
კიდევ შეგვხვდება მალე ბრძოლა. ხანგამოშვებით
ჩვენთა მეგობართ ბანაკიდან იქაურ ბრძოლის
ხმა ქარს მოჰქონდა. ოჰ, ძლიერნო რომაელთ ღმერთნო,
შეეწიე მათ, როგორც ჩვენ გვსურს შენგან შეწევნა,
რომ პირზედ ღიმიით ორივე ჯარი შეხვდეს ერთმანეთს

და შემოგწირონ ორთავ მსხვერპლი სამადლობელი.
(შემოდის შიკრიკი)
რა ამბავია?

შიკრიკი
კორიოლის მოქალაქენი
ქალაქით გარე გამოვიდნენ და შეებრძოლნენ
ტიტ ლარციოსსა და მარციოსს. ჩვენები დასძრეს,
თხრილზედ მირეკეს და მეც აქეთ გამოვეშურე.

კომინიოს
არ მომწონს შენი სიტყვა, თუნდაც მართალი იყოს.
მას აქეთ ბევრმა ხანმა განვლო?

შიკრიკი
ერთ საათამდე.

კომინიოს
ეს არის ეხლა მათ დაფდაფის ხმა აქ მოგვესმა,
ერთ მილზე მეტი არ იქნება სულ ეს მანძილი
და ასე მოკლე გზას საათი რად მოანდომე?

შიკრიკი
უკან ვოლსკელთა ჯაშუშები გამომედევნენ
და სამ-ოთხ მილზედ მოვუხვიე, თორემ ამ ამბავს
ნახევარ საათს მოგიტანდით.

კომინიოს
ეს ვილა მოჩანს
სისხლში გათხვრილი? ღმერთო, იგი მარციოსსა ჰგავს,
რამდენჯერ ეგრედ მინახავს მე.

მარციოს (გარედან)
დავიგვიანე?

კომინიოს
ქუხილის ხმასა და დაფისას თვითონ მეცხვარე
ისე ადვილად ვერ გაარჩევს, ვით მე გავარჩევ
მარციოსის ხმას სხვა მოკვდავთა ჩვეულის ხმისგან.
(მარციოს შემოდის)

მარციოს
დავიგვიანე?

კომინიოს
დიაღაც, თუ აგრე გაგთხვარა
შენმავე სისხლმა, არა სხვისამ.

მარციოს
ოჰ, მოდი, ძმაო,
მინდა მოგეჰყო მაგრად ყელზედ, ვით გულის სატრფოს;
მიხარის შენი ნახვა ისე, ვით საქორწილო
ნადიმის შემდეგ გაჩაღებულ საწოლთან მისვლა.

კომინიოს
მებრძოლთ მშვენებავ, ტიტ ლარციოს ეხლა სად არის?

მარციოს
გართული არის ბრძანებებში: ზოგთ სიკვდილით სჯის,
ზოგთა მსჯავრსა სდებს განდევნისას, ზოგთა იწყნარებს,
ანუ უნიშნავს დასახსნელად სასყიდელს რასმე.
რომის სახელით კორიოლი დაპყრობილი აქვს
და ხელთ უჭირავს მის მცხოვრებნი მორჩილად ისე,
ვით მონადირეს დაბმულ მწევარ-მეძებართ ხროვა.

კომინიოს
რა იქმნა მონა, რომ მაცნობა, ვითომ თქვენ იმათ
თქვენს თხრილებამდე დაერეკოთ? აქ დამიძახეთ.

მარციოს
მართალი უთქვამს, ნურას ერჩი; პატრიციები
იბრძოდნენ მხოლოდ, ხალხის ბრბო კი, - ღმერთთა დასწყევლონ
კიდევ მიართვით ტრიბუნები! - გაუფრთხა ისე
თვისზედ უარესს წუწკთ ვოლსკელთა, როგორც თავგვიც კი
არ უფრთხის კატას!

კომინიოს
გამარჯვება მამ როგორ დაგრჩათ?

მარციოს
თქმის დრო კი არის? არა ვგონებ. მტერი სადა სდგას?
დაეპატრონეთ ომის ველსა? თუ არა, ბრძოლა
რისთვის შესწყვიტეთ?

კომინიოს
ბოლო კიდევ სათუო არის,
ჩვენ დავიწიეთ საქმის უკეთ მოსაგვარებლად.

მარციოს
განწყობილება როგორი აქვს? ან უმჯობესი
ჯარები საით უყენია?

კომინიოს
თუ არა ვცდები,
ანციელები, ლამქრის რაზმი საუკეთესო,
პირველ რიგში სდგას. მას ბრძანებლობს ავფიდიოსი
მათი დიდება და იმედი.

მარციოს

ოჰ, გევედრები,

გაფიცებ ბრძოლებს მე და შენგან ერთად გამოვლილს,
ერთად დაღვრილს სისხლს და ჩვენს ძმურსა მეგობრულს აღთქმას,
რომ პირისპირად დამაყენო აფიდიოსთან
და მის ანციელ მეომრებთან. ნუღარც აყოვნებ;
მოგვეცი ნება, რომ ამ წამსვე ჰაერში ხმლები
გავაკრილოთ და ისრები ვამოციქულოთ.

კომინიოს

თუმცა ის უფრო გეკუთვნოდა, თბილს აბანოში
ნელსაცხებელით დაემშვიდეთ, მაგრამ შენ უარს
ვერ გაგიბედავ მე ჩემს დღეში. აჰა, ამ ჯარში
ამოარჩიე რომელიც კი გამოგადგება.

მარციოს

მე იმას ვირჩევ, ვისაც ჩემთან წამოყოლა სურს.
თუ თქვენში არის, - ცოდოც კია რომა ვკითხულობ, -
მისთანა ვინმე, ვისაც მოსწონს ეს ჩემი სისხლით
მოკაზმულობა; უფრთხილდება ნაკლებ სიცოცხლეს,
ვიდრე გატეხას სახელისას; ვინც ვაჟკაცურად
თავის გაწირვას არჩევს წუწკად აქ ღოღიალსა
და ვისაც უყვარს თვის სამშობლო თვის თავზედ მეტად,
იმან, ან იმათ ეს სურვილი მითი გამოსთქვან,
რომ ხმლები მაღლა აიქნიონ და მე წამომყენენ.
(ყველანი ხმლებს ჰაერში აიტანენ, დასცემენ კიჟინას, აიტაცებენ ხელში მარციოსს და ქუდებს მაღლა
ისვრიან)

კარგი, გამიშვით, მე ხომ თქვენი ხმალი არა ვარ.

თუ ნამდვილია ემაგ გრძნობათ გამოჩვენება,
გავუსწორდებით თითო ოთხს ვოლსკს; თვით აფიდიოსს
ყველა თქვენგანი დაუხვდება ხმალდანხმალ მედგრად.
ვმადლობ თუმც ყველას, მაგრამ ჩემთვის საჭირონი ხართ
მხოლოდ ცოტანი, სხვებს ჯეროვანს საქმეს გაგიჩენთ
სხვა დროს, სხვა ომში. აბა, მოდით; ოთხს თქვენგანს ვანდობ
წამოსაყოლად ამორჩევას მსურველთა შორის.

კომინიოს

გასწიეთ, ძმებო, გაგვიმართლეთ თქვენი იმედი
და ყველაფერში ჩვენთან ერთად ჩაიდებთ წილსა.
(გადიან)

სურათი VII. კორიოლის კარებ წინ

(ტიტოს ლარციოს აყენებს დარაჯს კორიოლში და მიდის დაფ-ნალარით კომინიოსის და კაიოს
მარციოსის მისაშველებლად. თან ახლავს თანაშემწე, ჯარისკაცნი და გზის მაჩვენებელი)

ლარციოს

ამ კარებს კარგად უდარაჯეთ; როგორც გიბრძანეთ,
სწორედ ამგვარად მოიქეცით. თუ კი გაცნობეთ,

მაშინ ის რაზმნი გამოგზავნეთ მოსაშველებლად.
 დანარჩენ ჯარით შეიოკეთ თქვენ კორიოლი
 მხოლოდ ცოტა ხანს; თუ წავაგებთ ბრძოლას მინდორზედ,
 ვერ შევიმაგრებთ ვეღარც ქალაქს.

თანაშემწე
 ნუ გეფიქრებათ.

ლარციოს
 კარები ეხლავ გადაჰკეტეთ. - კაცო, წაგვიძეღ,
 ეცადე, მალე მიგვიყვანო რომაელთ ბანაკს.
 (გადიან)

სურათი VIII. ბრძოლის ველი რომაელთა და ვოლსკთა ბანაკს შუა
 (ომის ხმაურობაა. შემოდინ სხვადასხვა მხრიდან მარციოს და ავფიდიოს)

მარციოს
 მე სხვას არ ვებრძვი, თუ არა შენა. ფიცის გამტეხზედ
 ნაკლებ არ მძაგხარ.

ავფიდიოს
 სიძულვილში არ ჩამოგრჩები.
 მთელს აფრიკაში არა ბუდობს ქვემძრომი გველი,
 რომ ისე მძულდეს, როგორც შენი დიდება მე მშურს.
 დადექი მაგრად.

მარციოს
 ვინც პირველი მოიცვლის ფეხსა,
 შერისხონ ღმერთთა და გარდაქმნან მეორის მონად.

ავფიდიოს
 თუ გავიქცევი, როგორც კურდღელს, ისე მიყივლე.

მარციოს
 სამი საათი კორიოლის კედლებ შიგნიდან
 ვიბრძოდი მარტო, რაცა მსურდა, მას ჩავდიოდი,
 შენ ნუ გგონია, რომ ეს სისხლი მე მეკუთვნოდეს;
 ამიტომ გიწვევ, ავფიდიოს, მედგრად მომვარდე
 აღტკინებული ამდენ ჯავრის ამოსაყრელად.

ავფიდიოს
 თვით ჰექტორიც რომ იყო, ქენტა მკვებარ წინაპართ
 სულთამხუთავი, მაშინაც კი არ გაგექცევი. -
 (იბრძვიან. ზოგიერთნი ვოლსკნი ავფიდიოსს მიეშველებიან)
 ვითომა მშველით, უფრო მარცხვენთ, თქვე დაწყევლილნო!
 (გადიან ბრძოლით. მარციოს მოერევა და უკან მისდევს)

სურათი IX. რომაელთა ბანაკი

(ალიაქოთია. ისმის ხმა ბანაკში მიწვევისა. შემოდინ ბუკ-ნაღარით ერთი მხრიდან კომინიოს და რომაელნი, მეორე მხრიდან მარციოს მკლავშეხვეული და სხვა რომაელნი)

კომინიოს

რაც დღეს შენა ჰქმენ, რომ მოგიტხო, არ დამიჯერებ,
მაგრამ ამ ამბავს განვუცხადებ მე სენატორთა,
მოვასმენინებ ცრემლმორეულთ პირზედ ღიმილით.
იქ დიდებულნი რომაელნი ცას ეწევიან
განცვიფრებულნი; იმათ ცოლთა, იმათ ქალიშვილთ
სიხარულითა გააჟრჟოლებთ და მოუთმენლად
მოინდომებენ მოსმენასა კიდევ და კიდევ.
იქ უნებურად პლებთა ხროვა და მათ ტრიბუნნი
შენის სახელის მოგულენი ასე იტყვიან:
მადლი ღმერთთ, რომელთ ეს ვაჟკაცი მოგვივლინესო.
(შემოდის ტიტოს ლარციოს ჯარითურთ მტრის დევნის შემდეგ)
ნადიმის ბოლოს მოგვისწარი, თუმცა შენ თითონ
მთელი მეჯლისი გადიხადე.

ლარციოს

დიდო სარდალო!

აი ეს არის ბედაური, ჩვენ რახტნილა ვართ.

ოჰ, რომ გენახა...

მარციოს

კარგი, კმარა. არ მიაძება

თვით დედისაგან ქება, თუმცა რა სამრახია,

მოიხსენიოს თვის სისხლ-ხორცი კარგად მშობელმა.

მე რაც შემემლო, იგი ვქმენი ისე, როგორც თქვენ,

თქვენებრ სამშობლოს სიყვარული მასულდგმულებდა

და ვინც კი ძალა დაატანა ცოტა თვის სურვილს,

ქმნა ჩემზედ მეტი.

კომინიოს

შენს დვაწლს ჩვენ ვერ დაგამალვინებთ,

უნდა იცოდეს რომმა თავის შვილთა საქმენი.

ეგ მარცვა-რბევას ეგვანება, ცილისწამებას.

არ გავამყდვანოთ იგი, რაც ჰქმენ და რასაც ქება

უმწვერვალესი ვერ შესწვდება მუხლებამდისაც.

გთხოვ, მომცე ნება, მთელს ჩემს ლამქარს ვაუწყო რაც ხარ,

მათ საცოდნელად, განა მისთვის ჯილდო მოგიწყათ.

მარციოს

მე ცოტაოდნად დაჭრილი ვარ და ჭრილობები

ამტკივა რაკი გამახსენებთ.

კომინიოს

თუ დავივიწყებ,

უმაღურება გაამწვავებს პირიქით უფრო,

უფრო დაშხამავს სასიკვდილოდ. მაშ მოისმინე:
 რაც ბრძოლის ველზედ, ან ქალაქში საუნჯე გვერგო,
 მის მეათედი შენ გეკუთვნის განცალკევებით,
 შენს ნებაზედვე დარჩიე და დანარჩენს ჩვენ
 გავანაწილებთ ჩვეულებრივ.

მარციოს

გმადლობ, სარდალო,
 მაგრამ სასყიდელს მე ჩემს ხმალსა როდი ვაკადრებ,
 წილი მომეცით სხვებთან ერთად, ესეცა კმარა.
 (საყვირის ხანგრძლივი ხმა. ყველანი ჰყვირიან: მარციოს, მარციოს! ისვრიან მალა ქუდებს და ხმლებს
 იქნევენ. მარციოს და ლარციოს მუზარადებს იხდიან)
 ხმაც ჩასწყვეტიათ ამ საკრავთა, თქვენგან შერცხვენით!
 თუ ბუკ-საყვირნი ომშიაც კი პირმოთნეობენ,
 მაშინ ცბიერი მლიქვნელობა ხომ წარღვნის სრულად
 სასახლეებსა და ქალაქებს. თუ კი ფოლადი
 რბილ აბრეშუმად გადაიქცევა, სჯობს რომ მეომართ
 მისი საბნები მოუქსოვოთ. გეყოფათ-მეთქი!
 რაო, ვითომა, რაკი სისხლი ვერ შევიწმინდე
 ცხვირით ნადენი, ან საბრალო ხალხი დავხოცე,
 რომელთაც ბევრი თქვენ შორისაც მოერეოდა,
 იმისთვის უნდა მომეგებოთ ამ ზეიმითა!
 თითქო მცირე ღვაწლს ჩემსას თავის განსადიდებლად
 ტყუილის ქებით შეზავება ეჭირვებოდეს.

კომინიოს

მეტად თავმდაბლობ და სასტიკად ექცევი მაგ ღვაწლს.
 არა გსურს, მადლი გვითხრა მისთვის, რასაც გაკუთნებთ
 შენ ღირსეულად. ნება მოგვეც, რაკი აგრეა,
 რაკი შენ თითონ შენს თავსა მტრობ, მაგრად შეგბოჭოთ
 და ძალის-ძალად ეს სათქმელი მოგასმენინოთ.
 მთელმა ქვეყანამ უწყოდეს, რომ გამარჯვებელი
 დღევანდელს ომში არის მხოლოდ კაი მარციოს,
 რის ნიშნადაც ჩემს ძვირფასს რაშს, მთელს ბანაკში განთქმულს
 თავის ყოველგვარ მორთულობით საჩუქრად ვამღეფ.
 დღეიდან ამას კორიოლში ნაღვაწისათვის
 ვაშას ძახილით და კიჟინით აღტაცებულად
 ვუხმობთ კაიოს მარციოსი კორიოლანოს!
 (ბუკ-ნაღარისა და დაფდაფის ხმა)

ყველანი (ჰყვირიან)

ვაშა კაიოსს მარციოსსა კორიოლანოსს!

კორიოლანოს

წავალ, დავიბან პირს, რომ ნახოთ, გავწითლდი თუ არ;
 ცხენისთვის გმადლობ, შესაჯდომად გამომადგება,
 კვლავაც ვეცდები ყოველ ჩემის ღონისძიებით
 მეტი წოდება ღირსეულად დავიმსახურო.

კომინიოს

ეხლა წავიდეთ ჩვენს კარვებში; დასვენებამდე
ომის კეთილად დასრულება მსურს რომს ვაცნობო.
შენ, ტიტ ლარციოს, კორიოლში დაბრუნდი ისევ
და გამოგზავნე რომში ჩვენთან რჩეულნი პირნი,
რომ ორიგ მხარის სასარგებლო პირობა შეეკრათ.

ლარციოს

რასაც მიბრძანებ, ავასრულებ.

კორიოლანოს

სწორედ მასხარად

მსახვენ ღმერთნი: ხელმწიფური ჯილდო უარვევად
და ეხლავ უნდა შევაწუხო სარდალი თხოვნით.

კომინიოს

მიიღე ბარემ წინდაწინვე, რასაც თხოულობ.

კორიოლანოს

ერთ ღარიბ კაცთან კორიოლში ვყოფილვარ ხშირად,
იგი მე კარგად მეპყრობოდა; დღეს ის ტყვედ ვნახე,
მომთხოვა შველა, მაგრამ იმ დროს უცბად წინ შემხვდა
ავგიდიოს და სიბრალული რისხვამ გამიქრო.
იმ ჩემს მასპინძელს, გთხოვ, აჩუქო თავისუფლება.

კომინიოს

ძალიან კარგი. ჩემი შვილის მკვლეელი რომ იყოს,
მინდვრის ქარივით თავისუფალს გავხდიდი მაინც. -
ტიტ, გამოუშვი.

ლარციოს

რა გვარია?

კორიოლანოს

იუპიტერის

სახელსა ვფიცავ, დამავიწყდა, დადალული ვარ,
მეხსიერებაც დამიჩლუნგდა. ღვინო არა გაქვთ?

კომინიოს

კარავში მომყე; დაგკრობია სახეზედ სისხლი,
დროა, ჭრილობა შეგიხვით. აბა, წავიდეთ.
(გადიან)

სურათი X. ვოლსკთა ბანაკი

(ბუკ-საყვირის ხმა. შემოდის ტულოს ავფიდიოს სისხლში გასვრილი. თან ორი ან სამი ჯარისკაცი მოსდევს)

ავფიდიოს
ქალაქი ეხლა იმათია.

პირველი ჯარისკაცი
დაგვიბრუნებენ, ვგონებ, რიგიან პირობებით.

ავფიდიოს
პირობებითა!

ვოლსკად ყოფნა მე მიშლის ვიყო ის, რაც მართლად ვარ,
მაშ რომელი რად არა ვარ? პირობებითა!
დამონავებულს რა პირობას მიაშავებენ?
ხუთჯერ გეომე, ოჰ, მარციოს, და სწორედ ხუთჯერ
დამარცხებული ვარ მე შენგან! ესევე მომივა,
თუნდ შეგხვდე ისე ხშირად, როგორც საჭმელს ვგემულობთ.
სტიქიონთ ვფიცავ, პირის-პირად თუ შევეყარე,
ან ის იქნება და ანუ მე. დღემდე პირნათლად
ვებრძოდი, მსურდა, რომ ხმალ და ხმალ გავსწორებოდი,
ვერა ვქმენი-რა. დღეის იქით ანუ ძალ-ღონით,
ან ვერაგობით მე მარციოსს კისერს მოვუგრებ.

პირველი ჯარისკაცი
ემშაკი არის სწორედ იგი.

ავფიდიოს
ემშაკზედ მეტი
გამბედავობით, თუმც იმდენი ხერხი არა აქვს.
მხოლოდ მან წასცხო ჩირქი განთქმულს ჩემს ვაჟკაცობას,
ამ ვაჟკაცობას არც დავზოგავ მის დასაღუპად.
ვერ იხსნის იმას ჩემ ხელთაგან ვერც გულის ძილი,
ავადმყოფობა, შიშვლად ყოფნა, დგომა ტამარში
ან კაპიტოლში. ვერა-მეთქი, დრო მსხვერპლთშეწირვის
მოგვთა ლოცვისა მოსეული ზეცით ღვთის რისხვა
სახეს ვერ უცვლის ჩემს სიძულვილს იმ კაცისადმი,
ვერც შემაყენებს დაობლებულ წესთა კრებული,
სადაც კი ვნახავ, თუნდ ჩემს სახლში, ჩემის ძმის ჭერქვეშ,
სტუმართ მიღების ჩვეულების წინააღმდეგა
აი ამ ხელით დაუნდობლად გულ-გვამს დავუგლეჯ! -
წადი ქალაქში, და მაცნობე რა ამბავია,
ან ვის გზავნიან ვოლსკთა შორის რომს ამანათად.

პირველი ჯარისკაცი
შენ კი არ მოხვალ?

ავფიდიოს
მე წისქვილებს ქვემოდ მელიან,

კვიპაროზის ტყის ახლო, ყველა იქ მაცოდინე,
რომ გადავწყვიტო ვით მოვიქცე.

პირველი ჯარისკაცი
ეხლავ, ბატონო.
(გადიან)

მოქმედება მეორე

სურათი I. რომი. მოედანი
(შემოდინ მენენიოს, სიცინიოს და ბრუტოს)

მენენიოს
მკითხავმა მითხრა, ამაღამ ამბავი მოვა რამეო.

ბრუტოს
კარგი, თუ ცუდი?

მენენიოს
ხალხისთვის არაფრად სასიამოვნო, რადგან მას მარციოსი არ უყვარს.

სიცინიოს
რა გასაკვირველია, მხეცმაც კი იცის გარჩევა, ვინ არის იმის მტერი და ვინ მოყვარე.

მენენიოს
ჯერ შენ ეს მითხარ, მგელს რა უფრო უყვარს?

სიცინიოს
კრავი.

მენენიოს
დიაღაც, რომ შესთქვლიფოს, როგორც მშიერნი პლებნი დიდებულს მარციოსს ჩასანთქავად არ დაინდობდით.

ბრუტოს
ისიც ვითომ კრავია და დათვივით კი ზღავის.

მენენიოს
ის თუმცა დათვია, მაგრამ კრავივითა ცხოვრობს. აი თქვენ ორნივ ხნიერნი კაცნი ხართ, ერთი ამის პასუხი მომეცით.

ორნივე
რის პასუხი?

მენენიოს
რა ცოდვა აქვს ისეთი მარციოსს, რომ თქვენ იმავ ცოდვით ყელთამდე არ იყოთ სავსე?

ბრუტოს

ქვეყანაზედ განა იმისთანა ცოდვა იქნება, ის თავით ფეხამდე შიგ არ იყოს გახვეული!

სიცინიოს

უმთავრესი იმისი სენი ამპარტავნებაა.

ბრუტოს

და ტრაბახში ხომ ვერავინ შეედრება.

მენენიოს

უცნაურია. ახლა ის კი არ იცით, თქვენ რა წუნსა გდებთ პატიოსანი ხალხი ამ ქალაქში?

ორნივე

რა წუნსა გვდებს?

მენენიოს

ვაი თუ გაჯავრდეთ. ეხლა არ იყო, სხვის ამპარტავნებაზედ ლაპარაკობდით?

ორნივე

სთქვი, სთქვი, ნუ გვერიდები.

მენენიოს

მაგრამ ან კი რა მაქვს მოსარიდებელი, თქვენი გაცხარება ახალი ამბავი როდი იქნება; იმდენი დორბლები ჰყარეთ სიბრაზით, მინამ მოგწყინდებოდეთ. თქვენ მარციოსზედ ამბობთ, ამპარტავანი არისო?

ბრუტოს

განა მარტო ჩვენ ვამბობთ.

მენენიოს

მარტო თქვენ რის მაქნისნი ხართ: ან უნდა მოიშველიოთ ვინმე, ან სისულელე რამ ჩაიდინოთ. აბა თქვენისთანა ბავშვის-ტვინას მარტოკა რა შეუძლიან! თქვენა ლაპარაკობთ ამპარტავნებაზედ? ნეტა თვალები მიიბრუნოთ, მაგ კვინიხში ჩაიხედოთ და პატარა მიათვალიერ-მოათვალიეროთ. ოჰ, ნეტა ეს შეგეძლოთ-მეთქი!

ბრუტოს

მერე რა იქნებოდა?

მენენიოს

რა იქნებოდა! ის იქნებოდა, რომ ერთ წყვილს გულზავა, კაპასს, ბუსხუნა, რეგვენ მოხელეს კარგად გაიცნობდით, ერთ წყვილ იმისთანა მოხელეს, რომლის ბადალსაც მთელს რომში ვერ იპოვნით.

სიცინიოს

შენც ყველა კარგად გიცნობს, მენენიოს.

მენენიოს

რა არის მერე, რომ მიცნობს! ყველამ იცის, ერთი ხუმარა პატრიციოსი ვარ, ცოტა ნუნუას მოტრფიალე, რომელსაც ტიბრის წყალს არ მივაკარებ; პირველი მოჩივარი მართალი მგონია და უბრალო მიზეზზედ ტალკვესივით ავფეთქდები; დამის კუდს უფრო ავეტორღიალები ხოლმე, ვიდრე გაბადრულს დილას;

რაც გულში მაქვს, ენაზედაც ის მაკერია და ჯავრს მკერდქვეშ არ დავიბუდებ. თქვენისთანა საქვეყნო კაცებს ლიკურგოსებად ვერ მივიმჩნევ და თუ თქვენმა სასმელმა სასაზე მიკბინა, სახე უგემურად დამედმიჭება. უნდა მართალი გითხრათ, როცა ვირებივით ყროყინს მოჰყვებით, მჭევრმეტყველებას ვერ მოგიწონებთ; იქნება ისიც კი მოთმინებით ავიტანო, რომ თქვენზედ სთქვას ვინმემ, დინჯნი, დარბაისელნი პირნი არიანო, მაგრამ ვინც სილამაზეს გიქებთ, ნურას უკაცრავად, თუ სიცრუისათვის ყელში მივწვდი, თუნდ რომ ეს ყველა ჩემში ცხადი იყოს, მაინც განა გეთქმით, კარგად გიცნობთო. ვთქვათ, ჩამაკვირდით კიდევ, მაგ ბრმა თვალებით რას მიხვდებით, ან რა წუნს მიკიჟინებთ?

ბრუტოს

გეყოფა, კარგი. გეუბნებით, რომ საკმაოდ გიცნობთ.

მენენიოს

თქვენ ვერც მე მიცნობთ, ვერც თითონ თქვენს თავს და არც არაფრისა რამ გაგეგებათ. იმიტი ამყოფთ, რომ ქუჩის ბრბო ფეხქვეშ გეგებათ; მთელი დღე უბრალო მეჯღანეების დავის გარჩევას ანდომებთ და ორი გროშის დანაფასევ საქმეს სახვალ-ზეგიოდ გადასდებთ ხოლმე. თუ ამ მსაჯულობის დროს მუცელმა დაგგვრიმათ, სახე გემანჭებათ, ცოფიანდებით, გულბოყვზე ხელმოჭერილი ღრიალებთ, მომჩივან-მოპასუხეს ავაზაკებს უმახით და თქვენის შიგ გარევით საქმეს უფრო რევთ, მოდავეთ აშფოთებთ. მართლა რომ უცნაური ხალხი ხართ.

ბრუტოს

შენც სუფრაზე ლაქლაქი უფრო გემარჯვება, ვიდრე კაპიტოლში სიტყვის თქმა.

მენენიოს

თქვენისთანა მასხარებს ჩვენი მკაცრი მოგვები რომ ხშირად შეხვდნენ, იმათაც დაცინვის მადა გაეხსნებათ. როცა მჭევრმეტყველებით თავის გამოჩენასა ცდილობთ, მაშინაც კი თქვენი ლაპარაკი წვერების ცმაცურად არა ღირს და მაგ წვერებითაც უნდა ვირს კურტანი გამოვუტენოთ, მეტი პატივი არ შეგფერთ. თქვენ უნდა საყვედურობდეთ მარციოსს ამპარტავნებას! ყველა თქვენი წინაპრები რომ ერთად შევკრათ, დევკალიონიდან მოყოლებული, ერთ მარციოსად არც კი ღირან, და ან რა გასაკვირველია! მათ შორის საუკეთესონი მამაპაპითვე ჯალათები იყვნენ. ნება მიბოძეთ, გამოვესალმო თქვენს პატიოსნებას; მეტი საუბარი თქვენისთანა ბრიყვ პლებთა მწყემსებთან ტვინს დამიჩლუნგებს. დიდება თქვენსა აქედან წაბრძანებასა!

(ბრუტოს და სიცინიოს გადიან. შემოდინან: ვოლუმნია, ვირგილია, ვალერია და მხლებელნი)
როგორ ბრძანდებით, მშვენიერო ქალბატონებო, რომელთაც ქვეყნად ჩამოსული მთვარეც კი ვერ შეგედრებოდათ. საით მიეშურებით?

ვოლუმნია

გზა მოგვეც, პატივცემულო მენენიოს, თუ ღმერთი გრწამს; ჩემი შვილი მარციოს მოდის და მისაგებებლად მივეჩქარებით.

მენენიოს

რაო, მარციოს მოდის!

ვოლუმნია

მოდის დიდებულად, სახელგანთქმული.

მენენიოს

ოჰ, მაშ, იუპიტერო, ჩემი ქული მსხვერპლად შეიწირე. როგორ, მარციოს, მოდის, ჰაი ჰა!

ვირგილია და ვალერია
მოდის ნამდვილად.

ვოლუმნია
აი იმის წერილი; მეორე - სენატს მოუვიდა, ერთი კიდევ იმის ცოლს და ვგონებ, ერთიც შენთან არის.

მენენიოს
წერილი ჩემთან! მაშ წავალ და მთელ სახლს სიხარულით ცეკვას ჩამოვავლებინებ.

ვირგილია
შენთანაც არის წერილი, მართალია, მე თითონა ვნახე.

მენენიოს
ჩემთან წერილი! ეგ შვიდი წლის ჯანმრთელობასა მმატებს. მობრძანდნენ ეხლა ექიმები, ენას გამოვუყოფ და ისე გავაპანდურებ; თავზედ დაისხან თავიანთ ნათითხნი წამლები, მაგ ამბავთან გალენის უბრძნესი დარიგებაც ვეღარას იზამს. - დაჭრილი არ არის? ის შინ ყოველთვის დაჭრილი ბრუნდება ხოლმე.

ვირგილია
არა, ღმერთთა დაიფარონ.

ვოლუმნია
დაჭრილია, დაჭრილი და ამის გამო ზეცისთვის მაღლი შემიწირავს.

მენენიოს
აგრეთვე მეც, თუ მსუბუქად დაუჭრიათ. ჭრილობა მას უფროც მოუხდებოდა. მაშ გამარჯვება უბეში უდევს, რაღა?

ვოლუმნია
არა, შუბლზედ აკერია. ეს მესამედ ბრუნდება შინ მუხის ფოთლის გვირგვინით შემკული.

მენენიოს
ავფიდოსი ხომ გაუბერტყია?

ვოლუმნია
ტიტ ლარციოს იწერება, შეხვდათ ერთად ბრძოლა, მაგრამ ავფიდოსს გაექცაო.

მენენიოს
კარგადაც უქმნია; მე რომ იმის ალაგას ვყოფილიყავი, მთელი კორიოლის საუნჯისათვისაც არ გავჩერდებოდი. სენატმა შეიტყო ეგ ამბავი?

ვოლუმნია
წავიდეთ, ქალებო. - შეიტყო, შეიტყო. სენატს სარდლისაგან წერილები მოუვიდა, რომლებშიაც ნათქვამია, მთელი ომი მარციოსმა გადაიხადა და თავის უწინდელს ვაჟკაცობას ერთი-ორად გადაამეტაო.

ვალერია
მართლა რომ დაუჯერებელ ამბებს ლაპარაკობენ მასზედ.

მენენიოს
დაუჯერებელს! იმაზედ რა არ არის დასაჯერებელი?

ვირგილია
ინებონ ღმერთთა, ყველა მართალი გამოდგეს.

ვოლუმნია
რალა თქმა უნდა, მართალია. განა კიდევ ეჭვი გაქვს?

მენენიოს
მე თუნდ ფიცქვემ დავემოწმები, რომ ყველა მართალი იქნება. რაში არის დაჭრილი? - (ტრიბუნებს)
ღმერთნი იყვნენ მწყალობელნი თქვენის მაღალპატიოსნებისა! მარციოს შინ მოდის და ეხლა უფრო
მეტე საბუთი ექნება სიამაყისთვის. - რაშია დაჭრილი?

ვოლუმნია
მხარში და მარცხენა მკლავში. თუ საჭიროება მოითხოვს, იპოვნის კი ჭრილობებს ხალხის
საჩვენებლად. შვიდგან მარტო ტარკვინის განდევნის დროს დასჭრეს.

მენენიოს
ერთი ჭრილობა კისერში ჰქონდა და ორი ბარძაყში, - ვგონებ, ცხრა ალაგას იყო დაჭრილი.

ვოლუმნია
ამ ომის დაწყებამდე სულ ოც და ხუთი ჭრილობა ჰქონდა.

მენენიოს
ეხლა ოც და შვიდი ექნება; ყოველი იმისი წყლული მტერს კუბოდ გადაეცევა. - (საყვირის ხმა და
ხალხის ყვირილი) გესმით, საყვირის ხმაა.

ვოლუმნია
ეს მოასწავებს მარციოსის მოახლოვებას;
წინ სიხარულის ხმა მოუძღვის, უკან ცრემლს სტოვებს,
მის მარჯვენაში სიკვდილის ველს დაუბუნდია
და უღმობელად მუსრავს იგი ადამიანთა.
(ზუკ-საყვირის ხმა. შემოდინ კომინიოს და ტიტ ლარციოს; მათ შორის კორიოლანოს მუხის ფოთლით
დაგვირგვინებულნი. თან მოსდევენ ჯარის უფროსნი, ჯარისკაცნი და გზირი)

გზირი
უწყოდე, რომო, მარციოსი კორიოლს შიგნით
მთელ ქალაქს მარტო შეებრძოლა და თავის სახელს
ღირსად ტარებულს მიუმატა კვლავ სხვა სახელი
დიდებულ ღვაწლით შენამენი: კორიოლანოს.
რომი თავს გიხრის, დიდებულო კორიოლანოს!

ყველანი
რომი თავს გიხრის, დიდებულო კორიოლანოს!

კორიოლანოს
კმარა, გაჩუმდით, გევედრებით, ეგ ქება მაწყენს,
გთხოვთ რომ გაჩუმდეთ.

კომინიოს
დედაშენი წინ გეგებება.

კორიოლანოს
ოჰ, დედავ, ღმერთებს შენ ლოცვით თავს მოაბეზრებდი,
რომ გამარჯვება მოენიჭათ შენი შვილისთვის.
(დაიჩოქებს)

ვოლუმნია (ფეხზედ წამოაყენებს)
ადეგ, ვაჟკაცო, სასურველო ჩემო, მარციოს,
ღირსო კაიოს! შენის ღვაწლით კვლავ რა სახელი
მოგეძღვნა კიდევ?... რა გიწოდო?... კორიოლანოს.
აგერ, მიჰხედე შენი ცოლიც.

კორიოლანოს
მშვიდობა შენდა,
კდემით მოსილო მეგობარო; ჩემს გამარჯვებას
ცრემლით რომ ალბობ, მაშ მკვდარი რომ შემოვეტანეთ
მომეგებვოდი სიცილითა! ჩემო ძვირფასო,
ეგ ცრემლიწი წილად ერგოთ ისევ კორიოლელ ქვრივთ,
დედათ უძეოდ დატოვებულთ.

მენენიოს
მაღალნი ღმერთნი აწ გვირგვინს გადგმენ დიდებისას!

კორიოლანოს
შენც ცოცხალი ხარ? -
(ვალერიას) ოჰ, უკაცრავად, ვალერიავ!

ვოლუმნია
აღარც კი ვიცი,
საით მივბრუნდე. - გამარჯვება! - მშვიდობა შენდა,
ჩვენო სარდალო! - გამარჯვება საერთოდ ყველას.

მენენიოს
ასი ათასჯერ გამარჯვება! ტირილი მომდის,
თან მეცინება; თან მძიმედ ვარ, თან ფრთები მესხმის.
მშვიდობა თქვენდა! გულ-გვამიც კი დაშამათნია,
ვინც თქვენს ნახვაზედ არ აღფრთოვანდეს;
თქვენ სამთა უნდა თაყვანი გცენ ყველა რომაელთ,
მაგრამ აქაც კი გვიხირია წუწკი ხეები,
რომლებზედ მყნობა სიამისა არ მოხერხდება.
კიდევ და კიდევ გამარჯვება! სულელთა საქმეს
ღირსად ვუწოდოთ სისულელე, ჭინჭარს - ჭინჭარი.

კომინიოს
ოღონდაც აგრე.

კორიოლანოს
მენენიოს, შენ ისევ ის ხარ.

გზირი
გზა, გზა დაცალეთ!

კორიოლანოს (ვოლუმნიას და ვირგილიას)
მომეცით აქ თქვენი ხელები.
ვიდრე ჩემ ჭერქვეშ მოსვენებას მივეცემოდე,
პატრიციები უნდა ვნახო მე ზოგიერთნი,
რომელთაც დიდად პატივი მცეს და მომილოცეს.

ვოლუმნია
მოვესწარ ჩემის სურვილების აწ ასრულებას;
ამიხდა, რასაც ვოცნებობდი; ერთილა დარჩა;
ეჭვი არა მაქვს, მოგანიჭებს იმასაც რომი.

კორიოლანოს
ო, დედავ, ჩემებრ ვემსახურო, ის მირჩევნია,
ვიდრე მათებურ მბრძანებელად ვიმყოფებოდე.

კომინიოს
აბა, მობრძანდით კაპიტოლში.
(ბუკ-საყვირის ხმა. ყველანი წინანდელივე წესით გადიან. ბრუტოს და სიცინიოს წინ წამოდგებიან)

ბრუტოს
ეხლა მარციოს
ყველას ენაზედ აკერია: სათვალეები
ცხვირზედ მიუკრავთ ბრუციანებს მის დასანახად;
ლაქლაქა ძიძებს დაუყრიათ მჭყვირალა ბავშვნი;
მოუხვევიათ გომბიოებს ჭუჭყიან ყელოზედ
ზიზილ-პიპილა რაღაც მჩვრები და მოუთმენლად
აცოცებულან კედლებზედა; ჩამწკრივებულან
ღობებზედაც: ქუჩა, ბანი, კარი, ფანჯარა
სხვადასხვა ხალხით გატენილა. იმის დანახვის
სურვილი-და აქვს ყოველივეს, დიდს თუ პატარას,
თვით მოგვნი ძვირად სანახავნი გაფაციცებით
ცდილობენ ფეხის მოკიდებას ამ ურდავ ერში.
ქალთა თეთრ-წითლად მოელვარეთ დავიწყებიათ
თვის მოსახვევნი და თებოსის მხურვალე სხივებს
არ არიდებენ ნარნარ სახეს. ხეთქვა-ჭედვია
ისეთი, თითქო რომელიმე მფარველი ღმერთი
შეერთებოდეს მას გრძნობით და მიეცეს ძალა
ადამიანთა მოტყუება-მონადირების.

სიცინიოს
დამერწმუნე, რომ კონსულობას მინიჭებენ.

ბრუტოს

მაშინ უფლება ჩვენი უნდა ღრმა ძილს მიეცეს.

სიცინიოს

მაგ ღირსებას ეგ ზომიერად ვერ მოიხმარებს:
მასაც დაჰკარგავს, რაც ეხლა აქვს და ბოლოს იგივე
დარჩება მხოლოდ, რაც წინ იყო.

ბრუტოს

ნუგეზად ეგ გვაქვს.

სიცინიოს

თვითონვე ხალხი, რომელსაც ჩვენ მოსარჩლედ ვყავართ,
გაიხსენებს რა თვის უწინდელს იმასთან მტრობას,
მცირე მიზეზზედ მის დიდებას გვერდით მიაგდებს;
ისიც იმდენად ამაყია, რომ მალე მოგვცემს
ამგვარ მიზეზსაც.

ბრუტოს

მე მაგისგან ესეც მსმენია, -
ვფიცავ, კონსულად რომ დამსვანო, არც მოედანზედ
გავდგამო ფეხსა, არც სიმდაბლის სამოსს შევიმოს,
არც, ვით წესია, გადაფუშლი ხალხს ჩემს ჭრილობებს,
რომ გამოვთხოვო თანხმობაო იმ ოფლით მყრალთა!

სიცინიოს

ეგეც კარგია.

ბრუტოს

სწორედ ასე. უარსაც იტყვის
და თავს კი როდი დაიმდაბლებს ხალხის წინაშე;
იქნება მარტო დიდებულთა ნებაც იკმაროს.

სიცინიოს

ნეტა კი მართლა შეასრულოს მან ეგ განზრახვა.

ბრუტოს

მე მჯერა, სწორედ შეასრულებს.

სიცინიოს

და ეგ დალუპავს
კიდევ სრულიად; შეგვისრულებს მით ჩვენს წადილსაც.

ბრუტოს

ან ჩვენს უფლებას, ან მას უნდა ბოლო მოეღოს.
წავიდეთ და ხალხს ჩავაგონოთ, როგორ სძულს იგი,
ვით მუდამ სძულდა და სცდილობდა, თუ რა გზით პლებნი
თვის სახედრებად გარდაექმნა; მათ დამცველთათვის
პირში ლაგამი ამოედო და შეეკვცა

მონიჭებულნი უფლებანი, რომ განსხვავება
არაფერია ვითომ ჩვენ და აქლემთა შორის,
რომელთ ომის დროს ტვირთსაზიდად ჰკვებავენ ხოლმე
და მწარედ სცემენ, როცა გზაში დაცვივდებიან.

სიცინიოს

ეგ რომ მარჯვე დროს მოვახერხოთ, როდესაც იგი
უკიდურესად გააბრაზებს ხალხს თვის ურცხვობით, -
და წაქეზებაც მისი ისე ადვილი არის,
როგორც რომ ცხვრებზედ ძაღლებისა - აბრიალდება
მამინვე ხალხი, როგორც ჩალა ცეცხლმოდებული
და კვამლი ჩანთქავს მის სახელსაც, მის დიდებასაც.
(შემოდის შიკრიკი)

ბრუტოს

რა ამბავია?

შიკრიკი

გიბარებენ თქვენ კაპიტოლში,
იქ კონსულობას ანიჭებენ კაი მარციოსს.
მე ვნახე ბრმანი სანახავად მოისწრაფოდნენ
და მუნჯნი იმის მოსასმენად; დიდებულთ ცოლნი
და ქაღნი გზაზედ თვის ხელსახოცთ, ხელთათმანებსა
ფეხწინ უბნევდნენ; დიდკაცნი თავს იხრიდნენ დაბლა,
ვით იუპიტრის ქანდაკის წინ; მდაბიო ხალხიც
მალლა ისროდა ქუდებს, თითქო წვიმა მოდისო
და იმის გრგვინვაც ზეცის ქუხილს ემზგავსებოდა.
არსად მინახავს ეს ამბავი.

ბრუტოს

აბა, წავიდეთ

ჩვენც კაპიტოლში, თვალი, ყური კარგად გვეჭიროს
და გულში რაც გვაქვს, დავიმარხოთ.

სიცინიოს

აი, წავიდეთ.

(გადიან)

სურათი II. იგივე ქალაქი, კაპიტოლი

(ორი მხლებელი შემოდის სკამებზედ ბალიშების დასაწყობად)

პირველი მხლებელი

ნულარ უყურებ, საცაა მოვლენ. რამდენს უნდა კონსულობა?

მეორე მხლებელი

ასე სთქვებს, სამს უნდაო, მაგრამ ყველა დარწმუნებულია, რომ კორიოლანოსს არ ასცდება.

პირველი მხლებელი

მალიან ვაჟკაცია, თუმც მეტიმეტად ამაყობს და არც მდაბალი ხალხი უყვარს.

მეორე მხლებელი

რამდენი დიდი კაცი ყოფილა ხალხის მოყვარული, მაგრამ სიყვარულით იმის გული ვერ მოუგია და რამდენი ხალხს უმიზეზოდ შეჰყვარებია. რაკი სიყვარულიც უთავბოლოდ იცის და სიძულვილიც, ეგეც აღარ დასდევს, უყვართ თუ არა; ხალხს ეგ კარგად იცნობს და თავის გულწრფელობით არცა მალავს ამ დაუდევრობას.

პირველი მხლებელი

მარტო დაუდევარი რომ იყოს, არც კარგზედ იზრუნებდა, არც ავზედ; ეგ კი ცდილობს ხალხი მოიმდუროს, შესძაგდეს და გინდა ხალხის ყბაში ჩავარდნილა კაცი, გინდა ლაქუციით თავი მოუქონავს, არც ერთი სასიამოვნო არ არის.

მეორე მხლებელი

ღვთის წინაშე, ქვეყანას ბევრი სამსახური გაუწია და მაღალი ალაგი სხვებივით პირმოთნეობით არ შეუძენია. მართალი რომ არა სთქვას კაცმა, უმადურობა იქნება: იმის ამბები ყველას აი აქ გულზედ გვაქვს დაჭდეული; მოდი, ახლა, გულიდან ამოიფხიკე და სიცრუე სთქვი.

პირველი მხლებელი

კარგი, კმარა, ვიცი, რომ ღირსეული კაცია. გზა მივცეთ, აგერ მოდიან. (ბუკის ხმა. შემოდინ კომინოს, მენენიოს, კორიოლანოს, სენატორნი, სიცინიოს და ბრუტოს. ლიქტორები წინ მოუძღვიან, სენატორები და ტრიბუნები თავთავიანთ ალაგს დასხდებიან)

მენენიოს

კაცი გავგზავნეთ ლარციოსთან და ვოლსკებთანაც პირობა დავდეთ; ეხლა მხოლოდ ის დაგვრჩენია, - თავი საგანი ამ კრებისა - მადლობა ვუთხრათ მას, ვინც იღვაწა სამშობლოსთვის სახელოვანად. დარბაისელნო, დიდებულნო, უფროსნო ჩვენნო, კონსულად ხმობილს დღეს, გუშინდელს მხედართმთავარსა, გამარჯვებულსა სარდალს ვთხოვოთ, მოგვითხრას ცოტა კორიოლანის ღირსეულად ნამოქმედარი, რომლისთვის მადლი უნდა ვუთხრათ და ღირსეულად მოვიხსენიოთ, ვით დიდებულს მის ღვაწლს შეჰფერის.

პირველი სენატორი

სთქვი, კომინიოს, სიმოკლისთვის ნურას შეჰკვეცავ; სჯობს, იმის ეჭვი ვიქონიოთ, რომ სახელმწიფომ ჩვენმა ვაი თუ ჯეროვნად ვერ გარდუხადოს, ვიდრე სურვილის უქონლობა დაგვწამოს ვინმემ. (ტრიბუნებს) ხალხის უფროსნო, გთხოვთ, რომ კარგად მოგვაპყრათ ყური და რაც მოხდება, ყოველივე ამცნოთ ქალაქელთ.

სიცინიოს

ჩვენ აქ საამო ამბისათვის ვართ შეკრებილნი და შესაფერად პატივსა ვცემთ ამ კრების მიზეზს.

ბრუტოს
და უფრო დიდი სიამითა მივეგებვოდით,
რომ იგიც ხალხსა წინანდელზედ მეტს პატივს სცემდეს.

მენენიოს
რა დროს ეგ არის! ნეტავი ხმა სულ ჩაგწყვეტოდა
და ეგ არ გეთქვა. კომინიოსს ყურს არ დაუგდებ?

ბრუტოს
რატომაც არა? და რაცა ვთქვი, მართებულების
უფრო საფერი იყო ვგონებ შენს საყვედურზედ.

მენენიოს
მას ხალხი უყვარს, მაგრამ გვერდით ხომ ვერ მოუწვენ. -
სთქვი, ღირსეულო კომინიოს. -
(კორიოლანოს წამოდგება წასასვლელად)
შენც აქ იყავი.

პირველი სენატორი
კორიოლანოს, ნუ გრცხვენიან, ის მოისმინო,
რაც დიდებულად მოიქმედე.

კორიოლანოს
გთხოვთ, მომიტევოთ:
მე მირჩევნია მოვუარო ჩემ ჭრილობებსა,
ვიდრე ვისმენდე, თუ ისინი სად მიმიღია.

ბრუტოს
ჩემმა სიტყვამ ხომ არ გაწყინა?

კორიოლანოს
არა, ტრიბუნო,
თუმც ხშირად სიტყვას გავეცევივარ, როცა იარაღს
ჩემზედ მოქნეულს სრულიად არ ვეპოვებოდი.
თქვენ არ პირფერობთ და რად მაწყენთ, რაც შეეხება
თქვენს ხალხს, ვაფასებ, რაცა ღირს.

მენენიოს
გთხოვ, ისევე დაჯდე.

კორიოლანოს
უფრო ავიტან, თავს მიფხანდნენ მზეზედ ბრძოლის ყამს,
ვიდრე მცირე ღვაწლს ჩემსას ტყვილად აზვიადებდნენ.
(გადის)

მენენიოს
ხალხის უფალნო, თითონ ჰხედავთ, შეეძლო თუ არ
მას ელაქუნა ფუქსავატის ყბედ ბრბოს წინაშე.
ეგ არც ერთ ასოს გასაწირად არა ზოგავდა

და აწ ერთ ყურსაც აღარ აცდენს მოსასმენელად. -
აბა, შეუდეგ, კომინიოს.

კომინიოს
იმის შიში მაქვს,
ხმამ არ მიმტყუნოს; მის საქმეთა მოსახსენებლად
მქუხარე უნდა იყოს იგი. ასე ამბობენ,
თავი ღირსება კაცისათვის სიმამაცეა
და მამაცს ღირსი სახელიცა ეკუთვნის ყველგან;
თუ მართალია, მას უებრო უნდა ვუწოდოთ,
ვისზედაც ეხლა ვლაპარაკობ: თექვსმეტი წლისამ,
როცა ტარკვინმა შეაწუხა რომის ქალაქი,
თავი იჩინა ერთ ბრძოლაში საკვირველ სიმხნით.
თვით მაშინდელმა დიქტატორმა ეგ შეამჩნია,
წვერიანები რომ იფრინა უწვერულვაშომ.
და რა რომაელს მიეშველა ერთს, დაჯაბნებულს,
დახოცა სამი მტერი ერთად კონსულის თვალწინ;
შეხვდა თვით ტარკვინს და ისიც კი მუხლებზედ დასცა.
კარგად შეეძლო მას ჯერ კიდევ მაშინ სცენაზედ
ყმაწვილ ქალთ როლის თამაშობა და სწორედ იმ დროს
საომარ ველზედ სიმამაცე გამოიჩინა
ყველაზე მეტი და თვის შუბლი მუხის ფოთლითა
ღვაწლშემოსილმა დაიმშვენა. ეგრედ ჭაბუკმა
ვაჟკაცობაში შესდგა ფეხი და იზრდებოდა,
ვით ოკეანე. ჩვიდმეტს ომში მას აქეთ დამსწრემ
თავგამოჩენის გაუცუდა ყველას იმედი,
და რაც ეხლა ჰქმნა კორიოლთან, თან თვით ქალაქში,
მის საამბობლად სიტყვა ძვირობს, ენა არ მერჩის:
მან გაქცეულნი შეაჩერა და საკვირველის
თვის მაგალითით შიში სიმხნედ გარდუქმნა ლაჩრებს;
მიჰქროდა იგი, ვით ხომალდი იალქნების ქვეშ
და მტერნი მის წინ ირხეოდნენ, ქვეემხოზოდნენ,
ვით ზღვის ბალახი; თან მიჰქონდა ყველგან სიკვდილი,
სისხლში გასვრილი იყო თვითონც თავით ფეხამდე
და მის ხმლის ქნევას დაჭრილნი ხმას უწყობდნენ კვნესით.
შევარდა იგი კორიოლის ბედშავ კარებში
მარტოდ-მარტოცა და უწყალოდ მუსრი მოავლო,
მერე დაბრუნდა, უცბად ჯარი მიიშველია,
დაეცა ქალაქს მალლით მომწყდარ ცის მნათობივით
და მთლად დაიპყრო. ეხლა იგი იყო უფალი,
მაგრამ მის მახვილ ყურს შორიდან ესმა ბრძოლის ხმა,
გამხნევდა სულით, დაღალოდა თუმცა სხეული
და გაეშურა ახალს ომში. იქ კვალად კიდევ,
თითქო კაცთ ჟლეტას ბოლო აღარ უნდა ჰქონდესო,
ასტეხა ბრძოლა საშინელი და არ დამცხრალა,
ვიდრე ქალაქიც, ბრძოლის ველიც არ დაგვმორჩილდა.

მენენიოს
კაცი ეგ არის.

პირველი სენატორი
ის ღირსება, რასაც არ ვაძლევთ,
სწორედ ეკუთვნის.

კომინიოს
ნაალაფევს ზიზღით ჰკრა ფეხი
და უძვირფასესთ განძთ დაჰხედა, ვით მიწის ჭუჭყსა.
თვის ჯილდოს ჰპოვებს იგი თვისვე ნამოქმედარში
და კმარობს, რასაც თვით ღატაკი მას არ დაუჭერს.

მენენიოს
ბრწყინვალე გულის პატრონია. - აქ მოუწოდეთ.

პირველი სენატორი
უხმეთ საჩქაროდ.

მხლებელი
აგერ იგიც.
(კორიოლანოს დაბრუნდება)

მენენიოს
კორიოლანოს, სენატი გნიშნავს შენ კონსულად.

კორიოლანოს
მზა ვარ ყოველთვის,
მის სამსახურად არ დავზოგო სიცოცხლე ჩემი.

მენენიოს
ის დარჩა მხოლოდ, გამოსთხოვო ხალხსაც ნებართვა.

კორიოლანოს
გთხოვთ, რომ ეგ წესი ამაცილოთ: არ შემიდლიან
შიშველი ტანი შევიმოსო მდაბალთ სამოსით
და ჭრილობებით გამოვთხოვო იმათ თანხმობა;
უმორჩილესად გვედრებით, ნუ მიზამთ მაგას.

სიცინიოს
ბატონო ჩემო, ხალხსაც თვისი უნდა მივუწყათ,
იოტის ოდენს ვერას შევცვლით წესსა და რიგში.

მენენიოს
საქმეს ნუ შეშლი, ჩვეულებას დაემორჩილე,
დაისაკუთრე ეგ ღირსება დადებულ წესით,
მიჰყევ წინაპართ მაგალითსა.

კორიოლანოს
სირცხვილით დამწვავს
ეგ საქციელი. ვითომ რატომ არ შეიძლება,
ხალხის წინაშე რომ არ წავდგე?

ბრუტოს (სიცინიოსს)
ხომ კარგად გესმის?

კორიოლანოს
უნდა მათ თავი მოვაწონო, ესა და ეს ვქმენ,
აწ მორჩენილი ჭრილობები გადავუშალო,
თითქო თანხმობას სამაგივროდ ქირადა ვთხოვდე!

მენენიოს
ნუ ახირდები. - ტრიბუნებო, აცნობეთ ხალხსა
რაც გადავწყვიტეთ და ვუნატროთ ღირსეულს კონსულს
ბედნიერება და დიდება!

სენატორი
კორიოლანოსს ბედნიერება და დიდება!
(საყვირის ხმა. ბრუტოსისა და სიცინიოსის გარდა ყველანი გადიან)

ბრუტოს
ასე უპირობს ეგ ხალხს მოპყრობას!

სიცინიოს
ნეტავი კი მიუხვდებოდნენ!
როდესაც მოგვთხოვს თანხმობასა, არ შეიძლება,
ჩვენდამი ზიზღი არ დაეტყოს.

ბრუტოს
წავიდეთ, ვამცნოთ
ხალხს, რაც აქ მოხდა; მიგველიან მოედანზედა.
(გადიან)

სურათი III. იგივე ქალაქი. ფორუმი
(შემოდის რამდენიმე მოქალაქე)

პირველი მოქალაქე
თუ ხმები მოგვთხოვა, ვერ დავუჭერთ.

მეორე მოქალაქე
ჩვენს სურვილზეა დამოკიდებული, რატომ ვერა?

მესამე მოქალაქე
დაჭერთ დავუჭერთ, მაგრამ უფლება არა გვაქვს ეგ უფლება გამოვიყენოთ. თავის ჭრილობები რომ
გადაგვიშალოს და გვიამბოს, რაც ვაჟკაცობა ჩაუდენია, ენა არ უნდა დაგვიდუმდეს, წინააღმდეგი
გავუხდეთ! უმადურობა საზარელი საქმეა; თუ ხალხი უმადურობას გამოიჩენს, ისიც საზარელი
შეიქნება და ჩვენც ყველანი, როგორც ხალხის შემადგენელი, საზარელს სახელს შევიძენთ.

პირველი მოქალაქე
ეხლა რაღა უკეთესი სახელი გვაქვს! ერთხელ არ იყო, პურის გულისთვის ავჯანყდით და თითონ მაგან
ჭრელთავიანი ბრბო გვიწოდა?!

მესამე მოქალაქე

ბევრს უწოდებია ეგ სახელი ჩვენთვის, არა იმიტომ, რომ ზოგის თავი შავია, ზოგისა ქერა, ზოგისა წაბლისფერი, ზოგისა მელოტი; არა, უფრო ჭკუაშია განსხვავება. ჩვენი ყველას ჭკუა რომ ერთი კეფიდან გამომძვრალიყო, მაინც ერთად ვერ დადგებოდა, ზოგი აღმოსავლეთისაკენ გაიწევდა, ზოგი დასავლეთისკენ, ზოგი ჩრდილოეთით, ზოგი სამხრეთით. იქნება პირველში შეთანხმებულიყვნენ, მაგრამ ბოლოს მაინც სხვადასხვა მხარეს გაიფანტებოდნენ.

მეორე მოქალაქე

აგრე გგონია? აბა, ჩემი ჭკუა საით გაფრინდებოდა, თუ იცი.

მესამე მოქალაქე

შენი ჭკუა აგრე ადვილად ვერ დაიძროდა; მეტად მჭიდროდ არის ჩაჭედული სულელ კეფაში და თავი რო დაეღწია, უთუოდ სამხრეთისკენ გასწევდა.

მეორე მოქალაქე

რადა?

მესამე მოქალაქე

იქით ნისლი იცის. სამი წილი მყრალ ბურუსში გაეხვეოდა და მეოთხე შენ დაგიბრუნდებოდა, რომ ცოლის შერთვევინებისათვის ეზრუნა.

მეორე მოქალაქე

შენ შენს ხუმრობას მაინც არ იშლი. გეყოფა, კარგი.

მესამე მოქალაქე

გადაწყვეტილი გაქვთ, ყველამ ხმა მისცეთ? მაგრამ დეე, როგორც უმეტესობამ ისურვოს, ისე მოხდეს. მე მაინც ამას ვიტყვი, ხალხი რომ უყვარდეს, მაგაზედ ღირსეული კაცი არ მოინახებოდა. აგერ აქ მოდის სიმდაბლის სამოსით, აბა ყური ვუგდოთ, როგორ მოიქცევა. ყველანი ერთად ნუ დავდგებით; როცა გაჩერდება, თითო-თითოდ, ორ-ორმა, ან სამ-სამმა გვერდით გავუაროთ. ყველას ცალ-ცალკე მოგვთხოვოს ხმა; ეს უფრო საპატიო იქნება ჩვენთვის, ჩვენი საკუთარი პირიდან მოისმინოს, მომყევით და მე თითონ გაჩვენებთ, სად და როგორ გავუაროთ.

ყველანი

მალთან კარგი.

(გადიან. შემოდიან კორიოლანოს და მენენიოს)

მენენიოს

სცდები, მარციოს; არ იცი, რომ ეგევ უქნიათ თვით უკეთესთა რომის შვილთა.

კორიოლანოს

როგორ უნდა ვთქვა:

„ბატონო ჩემო, გვედრები“. ჭირმა წაიღოს!

ვერა, ჩემს ენას ესეთ სიტყვებს ვერ ვათქმევინებ:

„აი, დახედე ჩემს ჭრილობებს, ბატონო ჩემო,

მაშინ მივიღე, ჩემს ქვეყანას რომ ვმსახურებდი,

როს თქვენი ძმები ღრიალებდნენ, შიშით მირბოდნენ

დამფრთხალნი ჩვენივ დაფის ხმითა“.

მენენიოს
 ოჰ, ღმერთნო, ღმერთნო!
 როგორ იქნება მაგისი თქმა, მხოლოდ ის სთხოვე,
 რომ შენი ღვაწლი გაიხსენონ.

კორიოლანოს
 გაიხსენონო!
 დასწყევლონ ღმერთთა იმათ თავი, ის მირჩევნია,
 რომ დაივიწყონ, კეთილ რჩევას ვით ივიწყებენ,
 იმათ მოგვთაგან ნაქადაგებს.

მენენიოს
 საქმეს ჩაჰფუშავ
 მაგგვარის ქცევით. ეხლა წავალ. გთხოვ, ფრთხილად იყო,
 თავაზიანად ესაუბრო.

კორიოლანოს
 წადი, ჯერ უთხარ,
 პირები კარგად დაიბანონ, გამოირეცხონ კბილებიც სუფთად.
 (მენენიოს გადის)
 აგერ ორნი აქეთ მოდიან. -
 (შემოდის ორი მოქალაქე)
 გეცოდინებათ, ბატონებო, აქ რადა ვდგევარ.

პირველი მოქალაქე
 ვიცით, მაგრამ შენ თითონ გვითხარ, რამ მოგიყვანა?

კორიოლანოს
 ჩემმა სამსახურმა ქვეყნისადმი.

მეორე მოქალაქე
 როგორ, შენმა სამსახურმა?

კორიოლანოს
 ოჰ, სამსახურმა და არა ჩემმა სურვილმა.

პირველი მოქალაქე
 არა შენმა სურვილმა?

კორიოლანოს
 მე ჩემს დღეში ის არა მსურვებია, ღარიბს გამოვთხოვო რამე.

პირველი მოქალაქე
 თუ გაძლევთ რასმე, იმ იმედით გაძლევთ, რომ სამაგიერო დაგვიბრუნდება.

კორიოლანოს
 მამ ეხლავ მითხარით, რა ფასსა მთხოვთ კონსულობისთვის.

პირველი მოქალაქე
ფასად ის გვეყოფა, - რასაც თხოულობ, ტკბილად მოითხოვო.

კორიოლანოს
ტკბილადა? ძალიან კარგი. მომეც ხმა, ბატონო ჩემო; სამაგიეროდ ჩემს ჭრილობებს გიჩვენებ სადმე ცალკე. - შენც ნუ დამიჭერ შენს ხმასა.

მეორე მოქალაქე
მომიცია, ღირსეულო ბატონო.

კორიოლანოს
მაშ ორი ღირსეული ხმა შევიძინე როგორც მთხოვარამ. - გმადლობთ მოწყალეებისთვის, მშვიდობით.

პირველი მოქალაქე
უცნაურად იქცევა.

მეორე მოქალაქე
თავიდან რომ დავიწყო, მაშინ სხვა იქნებოდა, მაგრამ ეკ, რაც იყო, იყო.
(ორი მოქალაქე გადის. შემოდის ორი სხვა)

კორიოლანოს
სათხოვარი მაქვს, თუ თქვენი წინააღმდეგი არ იქნება: მინდა კონსულობა მივიღო; აი, ხომ მხედავთ, დაწესებულის სამოსითა ვარ შემოსილი.

მესამე მოქალაქე
შენ შენი ქვეყნისთვის კარგი სამსახურიც გაგიწევია და ცუდიც.

კორიოლანოს
ეგ რა გამოცანაა?

მესამე მოქალაქე
მტრისთვის თუ მტერი იყავ, არც მოყვარესა ზოგავდი. მდაბალი ხალხი შენს დღეში არა გყვარებია.

კორიოლანოს
მაგისთვის უფრო ქება მეკუთვნის, რომ პირმოთნე სიყვარული არ მეხერხება. მაგრამ, ბატონო ჩემო, რაკი უამისოდ ხალხის გული არ მოიგება, ეხლავ შევუდგები ქლესაების ხელობას. თუ თავის კანტური გირჩევნიათ გულით შეტკობას, შევეჩვევი მეც მოწიწებით აღერსს, დავესესხები ხალხის სასურველ პირებს მათს მომხიბლველ ზნესა და არავის თავაზას არ მოვაკლებ, ოღონდ, გთხოვთ, კონსულობაზე უარს ნუ მეტყვით.

მეოთხე მოქალაქე
იმედი გვაქვს ხალხის მეგობარი შეიქმნები და ამიტომ სიხარულით გაძლევთ ჩვენს ხმებს.

მესამე მოქალაქე
შენის ქვეყნის გულისთვის ბევრი ჭრილობები გაქვს მიღებული.

კორიოლანოს
რაკი ეგა გცოდნია, ჩვენება რაღა საჭიროა? მე თქვენს ხმებს ძვირად ვაფასებ და ამის გამო ლაპარაკით აღარ შეგაწუხებთ.

ორივე მოქალაქე
 ღმერთებმა სიხარული ნუ დაგილიონ, ბატონო ჩემო.
 (გადიან)

კორიოლანოს
 ვიშ, ამ ტკბილ ხმებსა! სიკვდილი სჯობს, სიმშვილ-წყურვილი
 ესრედ მთხოვრობას მისას, რაიც ჩვენვე გვეკუთვნის.
 აქ უნდა ვიდგე წუწკის გლახის სამოსელით მე
 და გამოვთხოვდე რაღაც ხმებსა ნაყარ-ნუყარ ხალხს!
 ჩვეულებაა ასეთიო. რა გაეწყობა,
 არა გვაქვს ნება ძველისძველი მტვერი გავწმინდოთ
 და ცთომილების მთამ ზეცამდე აყუდებულმა
 სიმართლე სადმე უხილავად უნდა მიჩქმალოს!
 ის მირჩვენია ესე მწარედ გასულელებას,
 იმას დავუთმო ეს უფლება, ვინც შეიფერებს.
 ნახვარი გზა გავლილია, ვცდი დანარჩენსაც.
 აგერ მოდიან კიდევ ხმები.
 (სამი სხვა მოქალაქე შემოდის)
 ხმებს ვითხოვ თქვენგან.
 თქვენი ხმებისთვის მიბრძოლია ღამეგატეხილს,
 თქვენი ხმებისთვის დაჭრილი ვარ ოც და ოთხს ალაგს,
 თვრამეტი ომი გადმიხდია, თვალთ მინახავს,
 ყურით მსმენია, კიდევ ბევრი მომიქმედნია,
 ზოგი ადვილი, ზოგი ძნელი. სხვა რაღა გითხრათ,
 მიწდა კონსული ვიყო, გესმით, ხმებსა გთხოვთ-მეთქი.

მეხუთე მოქალაქე
 ბევრი სასახელო საქმე უქმნია და რომელი პატიოსანი კაცი იქნება, ხმა დაუჭიროს!

მეექვსე მოქალაქე
 ოღონდაც ღირსია კონსულობისა, ღმერთებმა სიხარული მიანიჭონ და ხალხის ერთგულება.

სამივე მოქალაქე
 ამინ, ამინ! ღმერთნი იყვნენ შენნი მფარველნი, დიდებულო კონსულო.

კორიოლანოს
 ამ ღირსეულ ხმებსა!
 (შემოდინ მენენიოს, ბრუტოს და სიცინიოს)

მენენიოს
 კორიოლანოს, შეგისრულდა ვადა; ტრიბუნნი
 განიჭებენ შენ ხალხის ხმასა, ის დარჩა მხოლოდ
 გამოეცხადო ჯეროვანის სამოსით სენატს.

კორიოლანოს
 გათავდა მამა?

სიცინიოს
 გამოსთხოვე შენს ხალხს ნებართვა

და მან მიგიღო. ეხლა უნდა კვლავ შევიყარნეთ დამტკიცებისთვის.

კორიოლანოს
სად, სენატში?

სიცინიოს
დიაღ, სენატში.

კორიოლანოს
შემიძლიან ეს სამოსელი გამოვიცვალო?

სიცინიოს
დიაღ, ბატონო.

კორიოლანოს
მაშ ეხლავე წავალ, გადვიცვამ
და ისევ ჩემის სახით სენატს წინ წარვუდგები.

მენენიოს
მეც წამოგყვები. - თქვენ არ მოხვალთ?

ბრუტოს
ჩვენ აქ ხალხს ვუცდით.

სიცინიოს
მშვიდობით.
(კორიოლანოს და მენენიოს გადიან)
აგერ შეუსრულდა გულის წადილი
და მეტისმეტად უხარიან, თვალეზზედ ვატყობ.

ბრუტოს
როგორ ამაყად იდგა იგი მდაბალთ სამოსში! -
ხალხს არ დაითხოვ?
(მოქალაქენი შემოდიან)

სიცინიოს
ოსტატებო, მაშ აირჩიეთ?

პირველი მოქალაქე
ჰო, ხმა მივეცით.

ბრუტოს
ნეტა მართლა დაიმსახუროს ეგ სიყვარული.

მეორე მოქალაქე
ოღონდაცა: ისე განვსაჯე
ამ მოკლე ჭკუით, ხმებს რომ გვთხოვდა, თან დაგვცინოდა.

მესამე მოქალაქე
ეჭვი არ არის, სასაცილოდ გვიგდებდა იგი.

პირველი მოქალაქე
რა სათქმელია, ლაპარაკი სულ აგრე იცის.

მეორე მოქალაქე
შენს გარდა აბა სხვა ვინ იტყვის, ჩვენვე მასხარად
არ აგვიგდოო; უნდა ნიშნად ეჩვენებინა
ქვეყნის გულისთვის მიღებული ჭრილობები რამ.

სიციინოს
რალა თქმა უნდა, გიჩვენებდათ.

ყველა მოქალაქენი
ოჰ, არა, არა, თვალთ არავის არ უნახავს.

მესამე მოქალაქე
ესა სთქვა მხოლოდ:
ჭრილობები მაქვს და გიჩვენებთ სადმე ცალკეო;
გადაიქნია ქუდი ზიზღით და დაუმატა:
„კონსულოზა მსურს, ძველთაგანვე წესად დებულა,
თქვენც უნდა ხმები გამოგთხოვოთ და ამის გამო
ხმებს გთხოვთ, მომეცით“. და თანხმობა რომ განუცხადეთ,
„გმადლობთო დიდად, გმადლობთ თქვენი ტკბილი ხმებისთვის.
და ეხლა რაკი ხმა მომეცით, მე თქვენთან საქმე
არა მაქვს-რაო“. ეს დაცინვა არ არის განა?

სიციინოს
როგორ დაბრმავდით და ეგ ყველა ვერ დაინახეთ,
თუ დაინახეთ, ბავშვებივით როგორ მიენდეთ?

ბრუტოს
დარიგებულნი ხომ იყავით, ვერ ეტყოდით, რომ
როდესაც ძალა არა ჰქონდა და მსახურებდა
მცირე მოხელედ, მტერი იყო ყოველთვის თქვენი,
ცდილობდა თქვენთა უფლებათა შემოკლებასა,
თქვენ წინააღმდეგ კადნიერად ლაპარაკობდა
და ეხლა, როცა მიაღწია დიდებულს ადგილს
და გაძლიერდა, თუკი პლებთა კვლავინდებურად
მტრულად მოექცა, მიცემული თქვენგანვე ხმები
თქვენვე საწყევრად გაგიხდებათ. ეს უნდა გეთქვათ,
რომ თუმცა ღირსი არის იგი, რასაც თხოულობს,
მაგრამ თქვენც უნდა, ხმის მიმცემნი, არ დაგივიწყოთ
და ძველი მტრობა შეგიცვალოთ ტკბილ სიყვარულად.

სიციინოს
როგორც წინადვე ჩაგაგონეთ, ისე რომ გეთქვათ,
აღელდებოდა, ყველაფერში გამოტყდებოდა,

ან მოგხედავდათ მაშინ იგი მოწყალე თვალით,
დაგპირდებოდათ ერთგულებას და შესაფერ დროს
მოაგონებდით დანაპირებს, ან ჩვეულებრივ
მოერეოდა უცებ ბრაზი მის ურჩ ბუნებას
და თქვენც მიზეზად გეყოფოდათ, არ აგერჩიათ.

ბრუტოს

როცა იმისთვის საჭირონი იყავით, ზიზღით
შემოგყურებდათ და როდესაც ძალა ექნება,
მაშინ ხომ მართლაც გასასრესად აღარ დაგინდობთ.
როგორ მოსტყუვდით, ამას როგორ ვერ მიხვდით, ბრიყვნო,
გული არ გედოთ მაგ სხეულში, თუ თქვენი ენა
გონებას აღარ მორჩილებდა!

სიცინიოს

კვლავ მთხოვნელთათვის
რამდენჯერ გითქვამთ თქვენ უარი და აწ თანხმობას
უცხადებთ იმას, ვინც უწყალოდ მასხარად გიგდებთ!

მესამე მოქალაქე

დამტკიცებული ხომ არ არის, ჯერაც ნება გვაქვს
უარისთქმისა.

მეორე მოქალაქე

აგრეცა ვქნათ, მე მიკისრია
ხუთასამდე ხმა.

პირველი მოქალაქე

მე ათასი და კიდევ მეტი.

ბრუტოს

წადით ეხლავე, ჩააგონეთ იმ თქვენს მეგობრებს,
რომ თავის მტერი მათ კონსულად აურჩევიათ,
რომ ის მდაბალ ხალხს მოეპყრობა, როგორც ძალღებსა,
რომელთ ჯოხს სცემენ ყეფისთვისაც, სიჩუმისთვისაც.

სიცინიოს

ყველანი ერთად შეკრბნენ, კარგად განსაჯონ საქმე
და გააუქმონ უგუნური ეგ არჩევანი.
მოაგონეთ მის სიამაყე, დიდი ხნიდანვე
მის სიძულვილი ხალხისადმი. არ დაგავიწყდეთ
ისიც, თუ მდაბალთ სამოსელსა როგორ ზიზღობდა,
ხმების თხოვნის დროს შხამიანად ვით დაგცინოდათ
და სამშობლოს სამსახურმა იმისმა მხოლოდ
გაგეპარწყლათ თქვენ ხალხისადმი მოყენებული
შეურაცხება, მძულვარებით კილვა-დაცინვა.

ბრუტოს

ჩვენ, თქვენს ტრიბუნებს, დაგვაბრალეთ, ვითომ ვცდილობდით

ის აგერჩიათ და შიმშბსაც ჩვენ გიქარვებდით.

სიციინოს

ჩვენი ბრძანებით აარჩიეთ ვითომ და არა
თქვენი სურვილით; მორჩილებამ თქვენთ უფროსსადმი
უმსხვერპლა ვითომ ხმები იმას თქვენს უნებურად;
ჩვენ დაგვდეთ ბრალი.

ბრუტოს

ნუ დაგვზოგავთ, ასე სთქვით ჩვენზედ,
მოგვითხრობდნენ-თქო, რა ყმაწვილმა დაიწყო თვისი
ქვეყნისთვის ღვაწლი და რა ხანგრძლივ მსახურებს იგი.
რა დიდებული გვარი არის მარციოსთ მოდგმა,
რომელთა შორის ანკოს, ნუმას შვილისშვილი, აქ
მეფედაც იყო შემდეგ დიდის ჰოსტილიოსის;
რომ მათგანვეა პუბლიოსი და კვინტოს, რომში
უკეთესის წყლის გამომყვანნი: ცენზორინოსიც,
რომელსაც ხალხმა ეს სახელი ღირსად უწოდა,
რადგანაც ორჯერ აირჩია თავის ცენზორად.

სიციინოს

რომ ჩამომავალს ესეთ დიად წინაპართაგან,
თვითონც პირადად ქვეყნისათვის ღვაწლშემოსილსა
ქებით ვამკობდით, ვიწონებდით, მაგრამ რაკი რომ
მისი წარსული შეუდარეთ აწინდელს ქცევას,
დარწმუნდით, - იგი მტერი არის მოსისხლე თქვენი
და შლით ამისთვის უცაბედად გადაწყვეტილსა.

ბრუტოს

მაგრად იდექით ამ სიტყვაზედ განსაკუთრებით,
რომ ჩვენით მოხდა ყველაფერი და კაპიტოლში
წადით მაშინვე, როცა ერთად მოიყრით თავსა.

ყველა მოქალაქენი

უარგვიყვია ყველას, ყველას მის არჩევანი!
(გადიან)

ბრუტოს

წავიდნენ, დეე, ისა სჯობს, რომ ეხლავ აჯანყდენ,
ვიდრე უარესს მოველოდეთ აუცილებელს.
თუ ამ უარმა გააბრაზა, ვით ეს ზნედა სჭირს,
უნდა სიბრაზე მისი კარგად გამოვიყენოთ.

სიციინოს

აბა, წავიდეთ კაპიტოლში, ხალხს წინ მივუსწროთ,
რომ წაქეზება ჩვენგან მისი ვერ შეამჩნიონ.
(გადიან)

მოქმედება მესამე

სურათი I. რომი. ქუჩა

(საყვირის ხმა. შემოდინ კორიოლანოს, მენენიოს, კომინიოს, ტიტოს ლარციოს, სენატორნი და პატრიციები)

კორიოლანოს

მაშ ავფიდიოს აღარ იშლის?

ლარციოს

აღარ ისვენებს

და ამის გამო დავაშურეთ პირობის შეკვრა.

კორიოლანოს

ეტყობა, ვოლსკნიც წინანდელებრ დროსდა ელიან, რომ თავს დაგვესხნენ.

კომინიოს

არა, ვოლსკნი, დიდო კონსულო,

ძლიერ არიან გალახულნი და, ვგონებ, იმათ

დროშების ფრიალს ჩვენ ჩვენს ხანში ვერ მოვესწრებით.

კორიოლანოს

ავფიდიოსი ნახე შენა?

ლარციოს

მცველშემორტყმული

მოვიდა ჩემთან. ვოლსკებს ფრიად ლანძღავდა იგი,

რომ ისე ურცხვად ჩააბარეს მტერს ქალაქიო;

მერე ანციუმს გაემგზავრა.

კორიოლანოს

ჩემზედ გითხრა რამ?

ლარციოს

დიაღ, კონსულო.

კორიოლანოს

რაო, რა სთქვა?

ლარციოს

მითხრა, რამდენჯერ

შეგყრია იგი პირის-პირად; რომ ქვეყანაზედ

არ ეჯავრება არაფერი ისე, როგორც შენ;

რომ ოღონდ შენი დამარცხება ბედმა არგუნოს

და არ დაზოგავს უკანასკნელს საცხოვრებელსა.

კორიოლანოს

ანციუმშია ის ამჟამად?

ლარციოს
ჰო, ანციუმში.

კორიოლანოს
ნეტა მიზეზი მქონდეს ეხლა მე იქ წასვლისა,
ეს სიძულვილი მის სიძულვილს წინ დავუყენო. -
მშვიდობა შენი მობრძანება. -
(სიცინიოს და ბრუტოს შემოვლენ)
აგერ გამოჩნდნენ
ხალხის ტრიბუნნი, მის აზრების გამომეტყველნი.
რა რიგად მძაგან! მედიდურად თავიც რომ მოაქვთ!
როგორ გაუძლოს კაცმა მაგათ ბრიყვ ყოყობას!

სიცინიოს
ნულარ დაიძვრი.

კორიოლანოს
ეს რას ნიშნავს?

ბრუტოს
სახიფათოა, წინ ნულარ წახვალ.

კორიოლანოს
სთქვი, რა მოხდა.

მენენიოს
რა ამბავია?

კომინიოს
ხომ დიდებულთაც აირჩიეს, მდაბალმა ხალხმაც...

ბრუტოს
ეგ, კომინიოს, არჩეული არა ყოფილა.

კორიოლანოს
ბავშვებმა მომცეს მას ის ხმები?

პირველი სენატორი
გზა, ტრიბუნებო!

ბრუტოს
მოედნისაკენ მიაშურებს ხალხი, ძალიან
მღელვარებს მაგის წინააღმდეგ.

სიცინიოს
წინ ნულარ წახვალ,
თორემ საერთო შფოთს ასტეხენ.

კორიოლანოს
 ოჰ, რა გაწვრთნილი
 ფარა გყოლიათ! - ამისთანებს ხმა მიანიჭეთ!
 ჯერ გთანხმდებიან, წამსვე უკან მიაქვთ თვის სიტყვა!
 რა ხართ, მითხარით? თუ ქვეყანა ხალხის პირს გიხმობთ,
 რა დაგემართათ, რომ კბილები ვერ მოუჯუღუღეთ?
 მაგრამ იქნება წააქეზეთ პირიქით თქვენვე.

მენენიოს
 გთხოვთ, რომ დაწყნარდე.

კორიოლანოს
 განგებ არის მოხერხებული,
 შეთქმულობაა დიდებულთა დასამცირებლად.
 უნდა ითმინოთ და იკისროთ მათთან ცხოვრება,
 რომელთ არც მართვა შეუძლიანთ, არც მორჩილება!

ბრუტოს
 ტყვილად მიზეზობ შეთქმულებას: ხალხი სჩივის, რომ
 მუდამ დასცინი და, როდესაც ამას წინათ მას
 პური უფასოდ დაურიგეს, გაბრაზდი მეტად.
 უკანასკნელად მის დამცველნი მოიხსენიე
 და დააბრალე ცბიერება, დიდებულთ მტრობა.

კორიოლანოს
 ეგ განა წინად არ იცოდნენ?

ბრუტოს
 იცოდა ზოგმა.

კორიოლანოს
 და შენ კი მოსდე მთელ ქვეყანას.

ბრუტოს
 რაო, მე მოვდე!

კორიოლანოს
 გაგიკვირდება!

ბრუტოს
 ვერავინ ვერ მისაყვედურებს
 ვერც მაგას, ვერც შენს განდიდებას.

კორიოლანოს
 კონსულობისთვის
 თავს რად ვიცხელებ: ის არა სჯობს, ჩავიქვეითო
 და გვერდს დაგიდგეთ ტრიბუნადა!

სიციინოს
 მაგ ხასიათით
 შენ ხალხს აღელვებ და, თუ სწორე გზას გსურს დაადგე,
 საიდგანაც არ გადამცდარხარ, უფრო თავაზით
 მონახე იგი, თორემ მაგგვარ უხამსის ქცევით
 ვერც კონსულობას ეღირსები, ვერც ტრიბუნობას.

მენენიოს
 დავმშვიდდეთ, კმარა.

კომინიოს
 აშკარაა, ხალხს ატყუებენ:
 ესეთი შფოთი რომს არ ჰფერობს, არც ღირსი არის
 კორიოლანოს ჯეროვანად წარმატებული
 ესრედ ვერაგად, სათაკილოდ, ხელის შეშლისა.

კორიოლანოს
 პურს მიაფრინდნენ. დიაღაც ვთქვი და ეხლაც ვიტყვი...

მენენიოს
 არა, ეხლა ნუ!

პირველი სენატორი
 ნურას იტყვი ამ ღელვა-შფოთში.

კორიოლანოს
 არა, უნდა ვთქვა, ვფიცავ თავსა! გთხოვთ მომიტევოთ,
 პატივცემულნო მეგობარნო, ამ ქარაფშუტა,
 აყროლებულ ბრბოს პირში ლაქუცს მე ვერ დავუწყებ!
 ამ ჩემ სიტყვებში განიცადონ თავიანთ სახე.
 ყველას წინაშე აღვიარებ, რომ თავაზითაც
 ჩვენვე ხელს ვუწყობთ ღვარძლს შფოთის და აჯანყებისას,
 ჩვენვე ვუმზადებთ ნიადაგსა, ვუხნავთ, ვუფარცხავთ,
 სენატს ძირს უთხრით მით, რომ გლახებს ჩვენს გვერდით ვისხამთ
 და ვუნაწილებთ ჩვენს ღირსებას, ჩვენს უფლებასა.

მენენიოს
 კარგი, გეყოფა.

პირველი სენატორი
 გთხოვთ, გაჩუმდე.

კორიოლანოს
 რისთვის გავჩუმდე!
 ქვეყნისთვის სისხლი დამიდვრია, გავმძლავრებივარ
 მხნედ გარეშე მტერს, ეხლაც ენას არ გავაჩერებ
 დადუმებამდე იმ ქეციანთ გასაკიცხადა,
 რომელთაც უნდა შორს ვუვლიდეთ და თავს ვეველებით.

ბრუტოს
შენ ხალხზე ისე ლაპარაკობ, თითქო გამკითხი
ღმერთი იყო და არა სუსტივ ადამიანი.

სიცინიოს
უნდა ეს ყველა ხალხს ვაცნობოთ.

მენენიოს
რა საცნობია,
გაცხარებული ლაპარაკობს.

კორიოლანოს
გაცხარებული!
იუპიტერის სახელს ვფიცავ, მშვიდად რომ ვიყო,
ვით შუაღამის ძილი, მაინც მაგასვე ვიტყვი.

სიცინიოს
დეე, მაშ ისევ შენ მოგწამლოს შენმა სიტყვებმა,
სხვებს რაღად გესლავ?

კომინიოს
უკანონო არა უთქვამს-რა.

კორიოლანოს
დეე! ოჰ სუსტნო, უზაკველნო, ქვეყნის მამანო,
დარბაისელნო სენატორნო, თუმც მოკლედ მხედნო!
რად არჩევინებთ იმ გველს ესეთს ბრიყვ მოხელესა,
რაც ღოროტოტად მსახურებს მას, კადნიერებით
„დეე“-ს მოგმახებთ, გელობებათ ამაყად გზაზედ
და დამყაყებულს ჭაობს ურთავს თქვენს მდინარებას.
თუ ძალა მარტო მის ხელშია, გამოტყდით რაღა,
თუ არა, რისთვის იღუპებით ქალაჩუნურად?
თუ სიბრძნე თქვენ გაქვთ, თავს რეგვნებად რად მოაჩვენებთ,
თუ არა, გვერდით ბალიშებზედ მოისხით ბარემ.
თუკი პლებები თქვენ ყოფილხართ, სენატორები
მაშინ ეგენი იქნებიან. არიან კიდევ:
მათი ხმა უფრო მაღლა ისმის ამ ჟრიამულში,
თავიანთ მსაჯულს თვით ირჩევენ, აი ასეთსა,
რომელიც კრებულს პატივცემულს, რის მსგავსიც თითონ
საბერძნეთსაც კი არ უნახავს, თამამად პირში
ახლის თვის „დეე“-ს, ხალხისაგან ტკბილად მიჩნეულს.
გრომად აღარ ღირს კონსულობა, ვფიცავ ზეცასა.
სული მიწუხს, რა ვხედავ ესეთს არეულობას,
ვით ორი ძალა ერთმანეთსა შესჭიდებია,
დაუბუდნია იმათ შორის ჩხუბსა და მტრობას
და აღარ ინდობს დასალუპად ერთი მეორეს.

კომინიოს
კმარა, მოედანს წადით ყველა.

კორიოლანოს

ვინც თქვენ გირჩიათ, პური უფასოდ ბელლებიდან დაურიგეთო,
რასაც ხანდისხან საბერძნეთში იქმოდნენ ხოლმე...

მენენიოს

გაჩუმდი-მეთქი, გთხოვ, რომ პურზედ აღარა სთქვა-რა.

კორიოლანოს

და იქ უფლებაც მეტი ჰქონდა ხალხს შემენილი, -
ესეთმა რჩევამ, ვამბობ კიდევ ჩააგდო თესლი
მღელვარებისა, შეეთხარა ქვეყანას ძირი.

ბრუტოს

ამის მთქმელს უნდა მიანიჭოს ხალხმა თვის ხმები!

კორიოლანოს

საბუთსაც გეტყვით, ხმებზედ უფრო პატივსადებსა:
რაკი იცოდნენ, პური მუქთად ურიგდებოდათ
და საზრუნავად აღარ ჰქონდათ, აღარც ცდილობდნენ
დამსახურებას ერთგულებით; როცა ქვეყანას
მტერი ზედ ადგა, ქალაქიდან არც კი დაიძრნენ, -
და ამბობთ, პური უსასყიდლოდ უნდა მივცეთო!
ომშიაც კიდევ სიმხნე მასში გამოიჩინეს,
რომ თითონ ჩვენსვე წინააღმდეგ ასტეხეს შფოთი
და დასდეს სენატს უმიზეზოდ სხვადასხვა ბრალი.
ვგონებ, რომ არც ეს გვაძლევს მიზეზს ჯილდო ვაძლიოთ.
მერე სენატის სულგრძელობას როგორი თვალით
შეჰხედეს ამ ბრმათ? შეუპოვარ თამამის ქცევით
თითქო ამბობდნენ: „მოვითხოვეთ და მისთვის მოგვცეს,
უარს ან როგორ გაბედავდნენ, ჩვენ ბევრნი ვართო“.
ესრეთ ვამცირებთ ხარისხს ჩვენსას, ქვეყნისთვის ზრუნვას
რეგვენთ სიმხდალედ მოვაჩვენებთ და დრო დადგება,
როცა კლიტეებს დაუღუწენ სენატს და ყვავნი
არწივთ საკორტნად თავისუფლად მოჰფრინდებიან.

მენენიოს

აღარ იკმარებ?

ბრუტოს

საკმარისზედ კიდევ მეტია.

კორიოლანოს

აგრე ადვილად ვერ მოვრჩები: ოჰ, ვფიცავ ყველას,
რაც საფიცარი დამრჩენია ღვთის ან კაცისა,
რომ რასაც ვამბობ, ვამბობ მართალს. ეს უფლებათა
დანაწილება, სადაც ერთი სამართლიანად
ზიზღით უცქერის მეორესა; სადაც მეორე
შეურაცხებას უმიზეზოდ აყენებს პირველს!
სად ვერცა ბრძენნი, ვერც დიდებულთ ხარისხთ მექონნი

ვერაფერ საქმეს გადაწყვეტენ, თუ უვიცმა ბრბომ
 ან „ჰო“ არა სთქვა, ანუ „არა“ - ეს წესი-მეთქი,
 რა ყოველს კეთილს განზრახვა-ფიქრს წინ ელობება,
 რყევას უქადის სახელმწიფოს, განადგურებას.
 და ამისათვის გევედრებით თქვენ, რომელთაცა
 ჭკუის მსჯელობას ვერ შეგიშლით ეჭვი და შიში,
 რომელნიც კანონთ უცვლელობას ძვირად აფასებთ
 და გიჯობთ ხანგრძლივ სიცოცხლესა სახელოვნება,
 იღონეთ რამე, თუნდ საშიში წამლით უწამლეთ
 ბედკრულ ქვეყანას, სასიკვდილოდ ისეც გაწირულს.
 ამოაგლიჯეთ ენა იგი მრავალ-ხმიანი,
 რაიც ტკბილს საზრდოს ლოკავს ვითომ, და შხამს კი ჰყლაპავს.
 თქვენმა ეგეთმა უგუნურად დამცირ-კნინებამ
 ლამის მიწასთან გაასწოროს ეს სახელმწიფო;
 ბოროტმა შეგკრათ, უძლურნი ხართ კეთილის ქმნისთვის.

ბრუტოს
 გამოსთქვა ყველა!

სიცინიოს
 მუხანათებრ ილაპარაკა,
 პასუხიც ისე უნდა აგოს ვით მუხანათმა.

კორიოლანოს
 შე უბედურო, ჯერ შუაზედ გასკდები ბოღმით!
 რად უნდა ნეტა ეს ქაჩალი ტრიბუნები ხალხს,
 რომელთა ძალით ურჩობს კრებას დიდებულს იგი?
 აურჩევიათ მაშინ, როცა არევ-დარევამ,
 კანონმდებელად ტლანქი ძალა წამოაყენა,
 ეხლა დრო არის, რომ ღირსეულს ღირსი მივუწყოთ
 და მათ ალაგით გადმოვყაროთ კისრის მტვრევითა.

ბრუტოს
 მუხანათობა არის ცხადი!

სიცინიოს
 კონსულად ესა? არა, არასდროს!

ბრუტოს
 ედილებო!
 (შემოდის ერთი ედილი)
 ეს დაიჭირეთ.

სიცინიოს
 წადი, ხალხს უხმე. (ედილი გადის) მის სახელით მე შემიპყრიხარ,
 ვით მოღალატე, ქვეყნის მტერი, კანონთ დამრღვევი.
 გიბრძანებ, მომყვე მორჩილებით პასუხსაგებლად.

კორიოლანოს
წათერ იქით, ბებერო თხავ!

სენატორები და პატრიციები
ჩვენ ვუთავდებებთ.

კომინიოს
მოხუცო, ხელი, ხელი იქით!

კორიოლანოს
დამპალო მძოვრო,
მომშორდი, თორემ ამოგბერტყამ ძვლებს მაგ ტანიდან!

სიცინიოს
მოქალაქენო, დამეხმარეთ.
(შემოდინ ედილები და მოქალაქეთა გროვა)

მენენიოს
ორივე მხარემ
თავს რომ პატივი დასდვათ, გიჯობთ.

სიცინიოს
აი ამ კაცს სურს
მოგისპოთ, რაც კი უფლება გაქვთ.

ბრუტოს
აბა, ედილო,
მოჰკიდეთ ხელი ამ ავაზაკს.

მოქალაქენი
სიკვდილი მაგას!

სენატორები პატრიციები და სხვანი
მოიტა ჩქარა იარადი!
(ყველანი კორიოლანოსს შემოეხვევიან)

პატრიციებო! -
მოქალაქენო! - ტრიბუნებო! - რა ამბავია?
- რა იყო. ბრუტოს? - სიცინიოს! - კორიოლანოს!
- მოქალაქენო! - წყნარად, წყნარად! - დამშვიდდით, ხელი!

მენენიოს
სულს ვერ ვიბრუნებ, ღმერთო, ღმერთნო, ნერწყვი მიშრება:
უბედურება დატრიალდა. - გთხოვთ ტრიბუნებო,
ხალხს ჩააგონოთ. - მოთმინება, კორიოლანოს! -
სთქვი რამ, კეთილო სიცინიოს.

სიცინიოს
ხალხო მისმინე.

მოქალაქენი
ჩუმად იყავით, მოვუსმინოთ ჩვენს ტრიბუნს სიტყვა -
ბრძანე და გისმენთ!

სიცინიოს
მარციოსი გიპირებთ ყველა
თქვენი უფლება გამოგწიროთ, ის მარციოსი,
რომელიც წედან აარჩიეთ კონსულად თქვენვე.

მენენიოს
ფუჰ, არ გრცხვენიათ! დაწყნარების ნაცვლად აღელვებ.

პირველი სენატორი
ეს ხომ ქალაქის დამხობაა, ძირს გასწორება.

სიცინიოს
და რა ფასი სძევს თქვენს ქალაქსა აბა უხალხოდ?

მოქალაქენი
ჭემმარტია; ჩვენ, ხალხი ვართ ქალაქიც, დაბაც.

ბრუტოს
ყველას თანხმობით აგვირჩიეს ხალხის მსაჯულად.

მოქალაქენი
და ღირსნიცა ხართ.

მენენიოს
აკი არვინ არ გეცილებათ.

კორიოლანოს
კიდევ ეგ გვლუპავს, გვანადგურებს! სახლთ სახურავნი
სამირკვლებამდე ძირს დაეშვნენ და ნანგრევთ გროვად
აქციეს ყველა, სახელმწიფოს რაც ამშვენებდა.

სიცინიოს
ეს ღირსი არის სიკვდილისა.

ბრუტოს
ჩვენის უფლების
ხმა ავამაღლოთ უნდა დღესვე, ან სრულად დავთმოთ:
იცოდეთ, ჩვენთა ამომრჩეველთ ძალით ვაცხადებთ,
რომ ღირსი არის მარციოსი მოიკლას ეხლავ.

სიცინიოს
მოჰკიდეთ ხელი, აიყვანეთ ტარპეის კლდეზედ
და ძირს ჩააგდეთ.

ბრუტოს
ედილებო, ხელი მოჰკიდეთ.

მოქალაქენი
დაგვემორჩილო, სჯობს, მარციოს.

მენენიოს
ერთს სიტყვასა გთხოვთ,
მომეცით ნება მხოლოდ ერთის სიტყვის, ტრიბუნო.

ედილები
ჩუმად იყავით!

მენენიოს
თქვენ ერთგულნი ჩანხართ ქვეყნისა
და ხართ კიდევ: მაშ არა სჯობს, რომ მოფიქრებით
განსაჯოთ საქმე, ძალადობამ არ გაგიტაცოთ.

ბრუტოს
გულცივად განსჯა, მოფიქრებით აწონ-დაწონვა
მაგნებელია, როცა სენი თვითონ ძალადობს. -
რადას უყურებთ, აიყვანეთ ეხლავე კლდეზედ.

კორიოლანოს
აქ მიჯობს მოვკვდე! (ხმაღს ამოიღებს) ზოგთ ბრძოლაში ხომ გინახავართ;
მოდით, თქვენს თავზე გამოსცადეთ თვალთ ნახული.

მენენიოს
ჩააგე ხმალი! ტრიბუნებო, მიდექით ცოტა.

ბრუტოს
მოჰკიდეთ ხელი!

მენენიოს
მივეშველოთ, მოდით, მარციოსს;
მოდით, ვინც კი ხართ დიდებულნი, ბერნი თუ ყრმანი.

მოქალაქენი
სიკვდილი მაგას! მოვკლათ, მოვკლათ!
(არეულობა: ტრიბუნებს, ედილებს და ხალხს უკან დასწევენ)

მენენიოს
წადი ეხლავე,
წადი შენს სახლში, თორემ ყველა დავიღუპებით.

მეორე სენატორი
უნდა წახვიდე.

კორიოლანოს
მხნედ იყავით: მეგობრებიც ხომ
იმდენივე გვყავს, რაიც მტერი.

მენენიოს
საქმე მაგაზედ მიდგა კიდეც!

პირველი სენატორი
დაგვიფარონ მაღალთა ღმერთთა! -
გთხოვთ, მეგობარო, შინ წახვიდე და მოგვაჩემო
ჩვენ ჩამოგდება მშვიდობისა.

მენენიოს
ჰო, წადი, წადი,
ეგ სატკივარი ყველასა გვჭირს და რად კისრულობ
მარტოკა შველას?

კომინიოს
აბა, მოგვყე, კორიოლანოს.

კორიოლანოს
ოჰ, ნეტავი კი ბარბაროსნი იყვნენ ეგენი, -
არიან კიდეც, თუმცა რომში გამოსხლეტილან -
რომაელობის ნიშანწყალი არა ჰქონდეთ-რა,
როგორც არა აქვთ, გაჩენილან, თუმც კაპიტოლთან...

მენენიოს
წადი, კარგია, სამართლიანს შენს გულისწყრომას
ენით ნუ მოსთქვამ, დრო დადგება კვლავ გარდახდისა.

კორიოლანოს
პასუხს გავცემდი ბრძოლის ველზე თუნდ ორმოცს ერთად.

მენენიოს
მეც ორიოდეს შევბოჭავდი უკეთესთაგანს,
აი თუნდ ამ ორს ბატონს ტრიბუნს.

კომინიოს
მაგ ანგარიშით
ჩვენ ვერას ვიზამთ: ვაჟკაცობას სირეგვნე ეთქმის,
როს ხელს აშველებს ციხის კედელს მზას დასანგრევად.
წადი, ვიდრემდე ხალხი მოვა; მის მრისხანება
მოსკდება ისე, ვით მდინარე შეყენებული
და რაც დახვდება წინ, წალეკავს.

მენენიოს
ნუღარ უყურებ;
მე კი ვეცდები იმ უგუნურთ გასაცურებლად
ჩემს ბებერ ჭკუას ხერხი რამე გამოვატყვირო,

საკერებელით დავბლანდო ეს ბედშავი საქმე.

კომინიოს
 აბა, წავიდეთ.
 (კორიოლანოს, კომინიოს და სხვანი გადიან)

პირველი პატრიციოსი
 გაიფუჭა ამ კაცმა ბედი.

მენენიოს
 კეთილშობილი მის ბუნება ჩვენ დროს არ ჰფერობს:
 ეგ არ იკადრებს გამოსთხოვოს ხვეწნა-ლაქუცით
 თვითონ ნეპტუნსა მისი კვერთხი სამკაპიანი,
 ან იუპიტერს ძალა ელვა-ქუხილის ქმნისა;
 რასაც კი გულში ჩაისახავს ენითაც ამბობს
 და თვით სახელიც აღარ ახსოვს მას სიკვდილისა
 მრისხანების ჟამს. - (ხმაურობა მოისმის) აბა საქმე ეხლა იქნება.

მეორე პატრიციოსი
 თვის ქვეშაგებში იყვნენ ნეტა, ასე ხეტიალს...

მენენიოს
 ტიბრში რომ იწვნენ, ის არა სჯობს! ფუჰ ეშმაკებსა!
 განა ტკბილს სიტყვას ვერ ეტყოდა?
 (შემოდინან ბრუტოს და სიცინიოს, ხალხი უკან მოსდევს)

სიცინიოს
 სად წავიდა ის
 ასპიტი გველი, მოქადული ხალხის გაწყობის,
 რომ მარტო თითონ ყოფილიყო?

მენენიოს
 ღირსნო ტრიბუნო...

სიცინიოს
 მარჯვე ხელთ უნდა გადასტყორცნონ ტარპეის კლდიდან
 ის წინ აღუდგა მედგრად კანონს, მისთვის კანონმაც
 განუკითხველად უნდა მისცეს განრისხებულ ხალხს,
 რომლის უფლების ჩამორთმევას ცდილობდა იგი.

პირველი მოქალაქე
 დეე, იცოდეს, რომ ტრიბუნნი კეთილშობილნი
 ყმანი არიან მთელის ხალხის და ჩვენ კი მკლავნი.

მოქალაქენი
 დიადაც კარგად შეიგნოს ეგ.

მენენიოს
 ბატონო ჩემო...

სიცინიოს
ჩუმიად იყავი!

მენენიოს
რისთვის ბრაზობ, რომ შესაძლოა
მშვიდად ყოვლისფრის გარიგება.

სიცინიოს
ეს როგორ მოხდა, რომ ის აქედან გააპარეთ?

მენენიოს
ჯერ მომისმინე:
მე კარგად ვიცი, ან ღირსება რა აქვს კონსულსა,
ანუ რა ნაკლი...

სიცინიოს
ვინ კონსული, რა კონსულს ამბობ?

მენენიოს
კორიოლანოსს.

ბრუტოს
ის, კონსული!

მოქალაქენი
არა და არა, არა, არასდროს!

მენენიოს
ტრიბუნთა და შენის ნებართვით,
ხალხო, ორიოდ სიტყვის თქმა მსურს; ამით რას ჰკარგავთ
იმ დროის მეტსა, მოსმენისთვის რაც დაგჭირდებათ.

სიცინიოს
მოკლედ სთქვი, რადგან ჩვენ გვაქვს კიდევ გადაწყვეტილი
ბოლო მოვუღოთ იმ ასპიტ გველს. რომ გაგვედევნა,
სულ მუდამ შიშში ვიქნებოდით. აქ დარჩენა კი
სიკვდილს გვიქადის უცილობელს. აი რისთვისაც
ჩვენ დავადგინეთ, ამაღამვე მოიკლას იგი.

მენენიოს
ოჰ, გვიხსნას ზეცამ იმისგან, რომ სახელოვანმა
ქალაქმა ჩვენმა, რომლისაგან თვის დიდებულ ძეთ
ღვაწლის დანახვის ნიჭი დიდის იუპიტერის
საკუთარ წიგნში ანუხულა, თვის ღვიძლნი შვილნი
ბუნებაწამხდარ პირუტყვივით დღეს თვითვე შთანთქას.

სიცინიოს
იგი სენია, რომელსაც მსწრაფლ მოსპობა უნდა.

მენენიოს

არა, სწული ნაწილია ტანისა მხოლოდ,
რომლის მოკვეთა მთლად დაგვლუპავს და მორჩენა კი
ადვილი არის. ან რა უყო რომს სასიკვდილო?
ის ხომ არა, რომ დაუხოცა მტრები, და სისხლი
ბევრით იმაზედ მეტი, რაიც ძარღვებში უდგას,
არ დაიშურა დასაღვრელად თვის ქვეყნისათვის;
და ის ნაშთიც თუ გამოსწრიტა იმავე ქვეყანამ,
დაგვესხმის ლაფი სამარცხვინო მოქმედ-დამსწრებს,
ამოუშლელი თვით ამ სოფლის დასასრულამდე.

სიციინიოს

ტყუილად ყბედობ.

ბრუტოს

ეგ ლაქლაქი რას გამოდგება:
როცა ქვეყანას მსახურებდა, იგიც უხდიდა.

მენენიოს

რომ დაგვიწყულდეს ფეხი, ნუღარ გავიხსენებთ მამ,
რაც სამსახური კარგადმყოფსა გაუწევია.

ბრუტოს

რაღა ყურს ვუგდებთ! წადით იმის სახლში ეხლავე
და ძალის-ძალად შეიპყარით, რომ უფრო ფართოდ
არ მოიკიდოს ფეხი მასში გამჯდარმა სენმა.

მენენიოს

ერთ სიტყვას ვითხოვ, მხოლოდ ერთსა: მაგ მრისხანებამ
ვეფხებრივ ფიცხმა აჩქარების არ იგრძნოს ვნება
და თავისივე არ დაიდვას ბორკილის ჯაჭვი.
სჯობს სამართალში მისცეთ იგი, თორემ მომხრენი
მრავალნი ჰყავს მას, უყვარს ბევრსა და მეშინიან,
თვითონ რომაელთ არ მოუსპონ დიდ რომს სიცოცხლე.

ბრუტოს

თუ ეგ მოხდება...

სიციინიოს

რაებს ამბობ! ჩვენ თვით არ ვნახეთ
მის მორჩილების მაგალითი? ედილებს სცემა,
წინააღმდეგი გაგვიხდა ჩვენც! - წავიდეთ, დროა.

მენენიოს

ესეც იფიქრეთ, ბრძოლებშია იგი გართული
მას აქეთ, რაკი ხმლის ხმარება შესძლო, და არ აქვს
ენა გაწვრთნილი თავაზიანს, ტკბილ ლაპარაკში;
ფქვილსა და ქატოს ერთად ურევს განურჩევლად.
ნება მომეცით მე წავიდე მის მოსაყვანად,

რომ კანონიერ სამსჯავროს წინ განკითხულ იქმნას.

პირველი სენატორი
 ღირსნო ტრიბუნო, ეს გზა სწორედ უმჯობესია,
 სხვაფრივ მოქცევა სისხლს შეგვამთხვევს და არვინ იცის,
 ამგვარ დასაწყისს რა მოჰყვება.

სიცინიოს
 კარგი, იგი ჰქმენ,
 კეთილშობილო მენენიოს, ხალხის სახელით,
 რაიც საჭიროდ დაინახო. - ხმლები ჩააგეთ,
 მოქალაქენო.

ბრუტოს
 შინ ნუ წახვალთ.

სიცინიოს
 ჩვენ მოედანზედ
 კვლავ შევიყრებით. იქ მოგელით შენც, მარციოსსაც!
 თუ არ მოიყვან, შევასრულებთ, რაც განვიძრახეთ.

მენენიოს
 უთუოდ მოგვგრით. (სენატორებს) ბატონებო, თქვენც გთხოვთ, წამომყვეთ;
 თუ ვერ დავძარით, წახდა ყველა.

პირველი სენატორი
 აი, მოვდივართ.
 (გადიან)

სურათი II. ოთახი კორიოლანოსის სახლში
 (შემოდიან კორიოლანოს და პატრიციები)

კორიოლანოს
 გამსრისონ, მომკლან. ცხენის ფეხით გამთელონ თუნდა,
 თუნდა გამაკრან ეტლის თვალზედ, თუნდ ტარპეის კლდეს
 ათი მთა კიდევ სხვა დაადგან, რომ ძირს ჩატყორცნილს
 თვალი ვერ ჩამწვდეს, - სხვაფრივ იმათ ვერ მოვექცევი.

პირველი პატრიციოსი
 კეთილშობილი სიტყვა არის.

კორიოლანოს
 მე მაოცებს, რომ
 არ თანამიგრძნობს დედაჩემი, იგი, რომელიც
 მათ უწოდებდა საზიზღ მონებს, გროშის გულისთვის
 თავის გამყიდველთ, მხოლოდ მისთვის გამოსადეგთა,
 რომ იდგნენ სადმე დიდ კრებაში ქუდდომუშლეპილნი
 და დიდებულსა მოსაუბრეს გაფაციცებით
 უსმენდნენ სიტყვას მშვიდობის ან ომის ამბავზედ.

(შემოდის ვოლუმნია)

შენზედა მქონდა ლაპარაკი. რაისთვის გინდა
გამაგულჩვილო? გსურს ვუმტყუნო ჩემს ბუნებასა?
არა, რაც ვარ, ის ვიქნები.

ვოლუმნია

ოჰ, შვილო, შვილო,
მე მსურდა მხოლოდ სამოსელი ეგ უფლებისა
გეტარებინა და უცბად არ შემოგცვეთოდა.

კორიოლანოს

რა ვქნა, შემომცვდეს.

ვოლუმნია

რაც ხარ, მაინც ის დარჩებოდი,
თავ-გამოჩენის სურვილს თუ რომ არ გაეტაცნე;
და ვიდრე ძალას შენსას მკვიდრად დაამყარებდი,
უნდა ფარულად შეგენახა გულისპასუხი
და პირის-პირად აღარავინ აღვიდგებოდა.

კორიოლანოს

ღირსნი არიან ჩამოდრჩობის.

ვოლუმნია

იქნება ცეცხლში დაწვისაც იყვნენ.

(შემოდის მენენიოს და სენატორნი)

მენენიოს

მეტად მკვახედ მოექცე იმათ;
წამო, დაბრუნდი, ეგებ საქმეს ვუშველოთ რამე.

პირველი სენატორი

სხვა გზა არ არის; უმაგისოდ ჩვენი ქალაქი
სწორედ შუაზედ გაიყრება, დაიღუპება.

ვოლუმნია

უსმინე რჩევა, გევედრები. მეც სიამაყე
შენზედ ნაკლები არ მაქვს, მაგრამ ჭკუა მინელებს
და მიცხრობს ხოლმე გულის წყრომას.

მენენიოს

ჭეშმარიტია,
რასაც შენ ამბობ, რომ იყოს რამ სახელმწიფოსთვის
წამალი ესეთ შფოთ-ვარამის დამმშვიდებელი,
აღარ ვურჩევდი იმ ბრბოსადმი დამორჩილებას
და მეც იარაღს ავისხავდი, თუმც ძლივს დავფოფხავ.

კორიოლანოს
რა გინდათ რომ ვქნა?

მენენიოს
ტრიბუნებთან დაბრუნდი ისევ.

კორიოლანოს
მერე, მერე რა?

მენენიოს
შეინანე შენი სიტყვები.

კორიოლანოს
იმათ წინაშე? თვით ღმერთებთან ვერ ვიზამ მაგას
და მათ შენდობა როგორ ვთხოვო!

ვოლუმნია
რისთვის ჯიუტობ? გაჭირვებაში სიამაყე არ გამოდგება.
შენგან მსმენია, რომ ომის დროს პატიოსნება
და ხერხი უნდა განუყრელად მოქმედებდნენო,
მაშ მშვიდობის ჟამს ერთმანეთსა რად ღალატობენ?

კორიოლანოს
სსუ! ჩუმად, ჩუმად!

მენენიოს
სწორეს ამბობს.

ვოლუმნია
პატიოსნება
თუ მას არ გიშლის, ომში თავი იმად უჩვენო,
რაიც არა ხარ, საქმე უკეთ მოაწყო ხერხით, -
მშვიდობის დროსაც იყოლიე ორივ დამხმარედ.
როდესაც ელი უამისოდ საშიშ განსაცდელს.

კორიოლანოს
რად მეუბნები, დედავ, მაგას?

ვოლუმნია
მისთვის, რომ ეხლავ
წახვიდე ხალხთან სასაუბროდ; ის კი არ უთხრა,
რასაცა ჰფიქრობ და რის თქმადაც გული მიგიწვევს,
არამედ იგი, რაიც ენამ შენს უნებურად,
გულთან კავშირის უქონელად უნდა წარმოსთქვას.
ეს არ შეგირცხვენს სახელს შენსას სწორედ ისევე,
ვით პირფერულად ნათქვამ სიტყვით დასაკუთრება
მტრის ქალაქისა, რომლის ომით აღებას ბევრი
დასჭირდებოდა სისხლის ღვრაცა და ცდაც ბედისა.
თუ ჩემთ მეგობართ ხვედრს და ჩემსას ამით ვუშველი,

არ შევუდრკები, გეტყვი სწორეს, ვერაგად ქცევას.
 აი ხომ ჰხედავ, გარემემო შემოგხვევივართ:
 მე, შენი ცოლი, შენი შვილი, დიდებულთ კრება,
 და შენ კი მაინც არჩევ შუბლი შეუკრა ხალხსა,
 ვიდრე მათ გული ტკბილი სიტყვით მოინადირო
 და დასალუჰად არ გაგვწირო.

მენენიოს
 წამოდი ჩვენთან.
 ოჰ, დიდებულო დედაკაცო, წამხდარ საქმესაც
 გამოაკეთებ მაგ ენითა და აწინდელის
 ხიფათისგანაც გამოგვიხსნი.

ვოლუმნია
 გემუდარები,
 წახვიდე, შვილო. მოიხადო იმათ წინ ქუდი
 და არ გაუფრთხე მუხლის ქვებზედ დაკარებასაც,
 რადგან მაგ ხალხში საქმე ბევრით სჯობნის სიტყვასა
 და უმეცრებას თვალნი უფრო უჭრის ყურებზედ.
 დიად, შიშველი დაიხარე შენ მათ წინ თავი,
 შეფერებული დღევანდლამდე მაგ ამაყ გულთან
 და დამწიფებულ თუთასავით მოწყდი კისერში.
 უთხარ, ჯარში ვარ გაზრდილი-თქო, ბრძოლის ქარცეცხლში,
 და მოკლებული ზრდილობიან სიტყვა-პასუხსა,
 რაიც იყო-თქო ჩემთვის ერთად საჭირო ეხლა
 თქვენდამი ჩემის ერთგულების დასამტკიცებლად;
 რომ ყოვლის ღონით ვეცდები-თქო, ზნე შევიცვალო
 და შევასრულო რაიცა გსურთ, დღეიდან მაინც.

მენენიოს
 თუ ამ სიტყვებით სცდი მიმართვას, მის გულს მოიგებ,
 რადგან ხალხს ისე ადვილად უჩნს ცოდვის შენდობა,
 ვით რახარუხით ლაპარაკი ცუდ-უბრალოზედ.

ვოლუმნია
 ასე მოიქეც, გევედრები, თუმც კარგად ვიცი,
 გაძლიერებულს ომის ცეცხლში შევარდე, გიჯობს,
 წალკოტში მტერთან ტკბილის ენით პირფერად ლაქუცს. -
 კომინიოსიც მოდის აგერ.
 (შემოდის კომინიოს)

კომინიოს
 მე მოედნიდან
 მოვდივარ ეხლა; ანუ ძალის მოკრეფა გმართებს,
 ან გადახვეწა, ანუ თავის მორჩილად დახრა.
 აჯანყებულა მთლად ქალაქი.

მენენიოს
 ტკბილ სიტყვას იქით

სხვა გზა არ არის.

კომინიოს
ეგ კი გასჭრის, თუ დაგვეთანხმა.

ვოლუმნია
უნდა დათანხმდეს და კიდევაც დაგეთანხმებათ. -
სთქვი, თანახმა ვარ-თქო და თან გაჰყევ.

კორიოლანოს
მაშ უნდა წარვდგე
შიშველის თავით მათ წინაშე? ამპარტავან გულს
ცრუ ენით ჩირქი, ჭუჭყი მოვცხო?! კარგი, აგრე ვიქ;
თუმც საქმე მართო მე, მარციოსს, რომ შემხებოდა,
არ შევეუკრთოდი ჩემს მტვრად ქცევას, ქარში გაბნევას. -
აბა, წავიდეთ მოედანზედ. - ამკიდე ტვირთი,
რომელსაც ვეღარ მოვიშორებ ჩემ სიცოცხლეში.

კომინიოს
დაგეხმარებით ჩვენც, წამოდი.

ვოლუმნია
ძვირფასო შვილო,
მეუბნებოდი, შენმა ქებამ შთამბერა სული
ვაჟკაცობისო, აწ ეცადე უცნობს საქმეში
ახალი ქება დედიშენის დაიმსახურო.

კორიოლანოს
კარგი, ვეცდები. - შორს, შორს ჩემგან, ჩემო ბუნებავ!
უნამუსობამ გასულდგმულოს მაშ დღეის იქით.
ამ ყელმა, რაიც ხმას უწყობდა საომარ დაფდაფს,
საჭურისსავით იწრიპინოს, ანუ იკნავლოს
გომბიოსავით, რომელიც ბავშვთ ნანათი ძილს გვრის;
პირს გადამეკრას მლიქვნელ მონათ წუწკი ღიმილი
და ელვარება წამირეცხოს თვალთაგან ცრემლმა;
სკოლის ყრმებისგან ნათხოვარმა, გლახაკთა ენამ
ჩემ ლოყებ შორის დაიბუდოს; მუხლნი ჯაჭვცმულნი,
რომელნიც მხოლოდ უზანგებში იდრიკებოდნენ,
დაეკრნენ მიწას მოწყალების გამოსათხოვად. -
არ შემიძლიან, არა, არა, თავს ვერ ვუმტყუნებ
და ვერ ვიკისრებ ამ შერცხვენა-უნამუსობას.

ვოლუმნია
როგორც გერჩიოს. რომ გთხოვ, მით მე უფრო ვმცირდები,
ვიდრე შენ მათგან პატივების გამოთხოვითა.
წყალს წაუღია ყველაფერი და დედაშენსაც
რომ მისწვდეს ეგე სიამაყე, თან გადიტანოს,
ის უჯობს, ესეთ განსაცდელში შენს კერპად ყოფნას.
ჩალად არ ვხადი, მეც შენებრივ, იცოდე, სიკვდილს;

მოიქეც ისე, როგორც გსურდეს; ეგ ვაჟკაცობა
ამ ძუძუთი გაქვს რძესთან ერთად შენაწოვარი.
სიამაყე კი შენ გეკუთვნის, მარტოდმარტო შენ.

კორიოლანოს
დამშვიდდი, დედავ, გევედრები, ნუ მსაყვედურობ;
აი, მივდივარ მოედანზედ, ვცდი მოქნილ ენით
მათ სიყვარული შევიძინო, გული მოვიგო
და შინ დავბრუნდე მთელის რომის ხელოსანთაგან
შეყვარებული, შეტკობილი. მივდივარ აგერ;
სალამი ჩემს ცოლს. თუ კონსულად არ დავბრუნდები,
ნუღარ ენდობი კვლავ ჩემს ნიჭსა პირფერობისას.

ვოლუმნია
ჰქმენ იგი, რაც გსურს.
(გადის)

კომინიოს
ტრიბუნები გელიან, ჩქარა!
ეცადე ტკბილად ლაპარაკსა, თორემ უარესს
ბრალს გდებენ კიდევ წინანდელზედ, როგორც შევიტყე.

კორიოლანოს
მაშ ტკბილად ვიყოთ, კარგი, კარგი წავიდეთ, აბა;
ათასი ბრალი მოიგონონ, მაინც მე პასუხს
გავცემ ისეთსა, ვით ღირსებას ჩემსას შეჰფერის.

მენენიოს
მხოლოდ ტკბილად კი.

კორიოლანოს
ტკბილად, ტკბილად, ვიცი, ჰო, ტკბილად.
(გადიან)

სურათი III. იგივე ქალაქი. ფორუმი
(შემოდინან სიცინიოს და ბრუტოს)

ბრუტოს
აი ეს ბრალი დასდეთ იმას, რომ ძალას ხმარობს
მტარვალთა მზგავსად და, თუ ამ ბრალს გაუსხლტა იგი,
გაახსენეთ, რომ მტრულის თვალთ უცქერის ხალხსა
და რომ ნადავლი, აღებული ანციელთაგან
დღემდე არ არის დაყოფილი. - (შემოდის ერთი ედილი)
რაო, არ მოდის?

ედილი
მოდის.

ბრუტოს
მერე თან მოსდევს ვინმე?

ედილი
მოხუცებული
მენენიოს და სენატორნი, რომელნიც მუდამ
მეგობრად ჰყავდნენ.

სიცინიოს
თან გაქვს სია ყველა ხმებისა?

ედილი
დიაღ, აქა მაქვს.

სიცინიოს
ამქრობლივად დაყოფილია?

ედილი
დიაღ, ტრიბუნო.

სიცინიოს
წადი, ყველა აქ მოაგროვე
და, როდესაც ვთქვა, ხალხის ხვედრის უფლების ძალით
ეს და ეს მოხდეს; მოკვდეს იგი, ან განიდევნოს,
ანუ ჯარიმა გარდახდეს რამ, მათ ბანი გვითხრან.
ჯარიმას ვიტყვი, ჯარიმა სთქვან, სიკვდილს - სიკვდილი,
და მხარი მოგვცენ, რომ დავიცვათ ძველი უფლება,
დღეს საფრთხეს მყოფი.

ედილი
ეხლავ წავალ, შევატყობინებ.

ბრუტოს
როდესაც ყვირილს მოჰყვებიან, უთხარ, არ დასცხრნენ,
ვიდრე განაჩენს შესრულებულს არ ნახვენ ჩვენსას.

ედილი
ძალიან კარგი.

სიცინიოს
ფრთხილად იყვენენ, პირში გვიცქირონ
და ასტყდნენ მყისვე, რაკი ნიშანს მივცემთ აშლისას.

ბრუტოს
ეხლავე წადი. (ედილი გადის) გააცხარო მაშინვე, სცადე;
დაჩვეულია პირველობას ჩხუბსა და ომში
და რაკი ბრაზი მოერევა, თავს ვერ დაიჭერს;
რაც გულში უძევს, წამოროშავს და მიზეზს მოგვცემს
კისერი მარჯვედ მოვუგრიხოთ.

სიცინიოს
 აგერა მოდის.
 (შემოდინ კორიოლანოს, მენენიოს, კომინიოს, სენატორნი და პატრიციები)

მენენიოს
 გთხოვ, მშვიდად იყო. ჰო, დიდაც, როგორც მელორე,
 რომელიც ყოველ ლანძვას იტანს მცირე ქირისთვის.
 მაღალმა ზეცამ დაიფაროს რომის ქალაქი,
 მოგვცეს მსაჯულად ღირსეულნი, უმანკო პირნი,
 ყველგან მშვიდობა, სიყვარული ტკბილი დამყარდეს.
 ხალხი ტაძრებში აღავლენდეს მადლსა და შფოთი
 განდევნილ იქმნას.

პირველი სენატორი
 ამინ, ამინ.

მენენიოს
 ვიშ ამ ნატვრასა!
 (შემოდინ ედილი და მოქალაქენი)

სიცინიოს
 ხალხო, წინ მოდი.

ედილი
 ჩუმად, ჩუმად, ტრიბუნთ უსმინეთ!

კორიოლანოს
 სიტყვის თქმის ნებას ჯერ მე ვითხოვ.

ორივე ტრიბუნი
 კარგი, სთქვი. - ჩუმად!

კორიოლანოს
 მსჯავრი აქ უნდა მოვისმინო? აქ გადაწყდება
 ყოველისფერი?

სიცინიოს
 ჯერ შენ გვითხარ, ემორჩილები
 ხალხის ხმას თუ არ? აღიარებ იმათ მოხელეთ?
 და მზა ხარ, რასაც დავამტკიცებთ, რა სასჯელს დაგდებთ,
 კანონისამებრ კისრად იდვა?

კორიოლანოს
 აი, მზადა ვარ.

მენენიოს
 მოქალაქენო, ეს მზა არის, ხომ კარგად გესმით?
 გაიხსენეთ, რა სამსახური გაუწევია,
 ომში რამდენი მიუღია მძიმე ჭრილობა,

რაც ასხედს ტანზედ, ვით საფლავნი სასაფლაოსა.

კორიოლანოს
დაეხსენ ერთი ამ სამასხრო ნაკაწრ-ნაფხაჭნებს.

მენენიოს
თუ სიტყვა-პასუხს მოქალაქურს მოკლებულია,
ვაჟკაცურს კილოს გმირისას ხომ ვერ გამოსწირავთ,
და ნურც მიიმჩნევთ მის სიმკვახეს თქვენდამი მტრობად.

კომინიოს
გეყოფა, კმარა.

კორიოლანოს
ეს მითხარით, რა მიზეზია,
რომ ყველასაგან მხოლოდ წედან კონსულად ხმობილს,
შეურაცხებას აყენებთ, შლით უცბად განაჩენს?

სიცინიოს
ჯერ პასუხი შენ უნდა გვიგო.

კორიოლანოს
ეგ მართალია,
სთქვი და მეც გეტყვი.

სიცინიოს
იმის ბრალს გდებთ, რომ განიზრახე,
მოგესპო რომში დადგენილი წესი და რიგი
და ყოველივე უფლება შენ დაგესაკუთრა;
ამისთვის ხალხის მუხანათად გვიწოდებინარ.

კორიოლანოს
მე, მუხანათი!

მენენიოს
წყნარად, წყნარად, აკი დაგვპირდი.

კორიოლანოს
ეგ შენი ხალხი შთანთქას ცრემლმა ჯოჯოხეთისამ!
მუხანათიო! ოჰ, ტრიბუნო მყრალენიანო,
მაგ თვალთაგან რომ სიკვდილთ ხროვა იჭყიტებოდეს,
ხელშიაც გეპყრას ბევრ-ათასი და ცრუ ენაზედ
კიდევაც მეტი, მაინც ისე თამამად გეტყვი,
რომ ურცხვად ცრუობ, როგორც ღმერთებს ვევედრი ხოლმე.

სიცინიოს
ხალხო, ეს გესმის?

მოქალაქენი
ავატრიოთ ეხლავე კლდეზედ.

სიციინოს
სსუ! რაღად გინდათ საბუთების ახლად მოკრეფა:
რაც თქვენის თვალით ნახეთ, ანუ ყურით ისმინეთ,
თუ როგორ სცემა თქვენს მოხელეთ, უწყალოდ გლანძღათ
წინა-აღუდგა ძალით კანონთ და აი, აქვე
არად ჩააგდო თვით მსაჯულნი მის განმკითხველნი,
მარტო ეს კმარა. დაისაჯოს იგი სასტიკად
მწარე სიკვდილით.

ბრუტოს
მაგრამ რადგან რომს მსახურობდა...

კორიოლანოს
შენ როგორ ჰბედავ ლაპარაკსა ჩემს სამსახურზედ?

ბრუტოს
მე იმას ვამბობ, რაიც ვიცი.

კორიოლანოს
შენა, შენ იცი?

მენენიოს
აგრე ასრულებ დედისადმი დაპირებულსა?

კომინიოს
გთხოვ, მომისმინო...

კორიოლანოს
აღარაფერს აღარ მოვისმენ;
გარდამიწყვიტონ გადაგდება ტარპეის კლდიდან,
ტყავის გამძრობა, განძევება ყარიბად ქვეყნით,
ციხეს დამწყვდევა დღეში თითო მარცვალ საზრდოთი,
მაინც კარგს სიტყვას ერთსაც კი ვერ გამომტყუებენ,
„დილამშვიდობის“ თქმითაც მე არ შევირცხვენ თავსა,
თუნდ რომ ამ სიტყვით შეწყალებას ვეღირსებოდე.

სიციინოს
რადგანაც ყოველ ძალ-ღონითა ეს ხალხსა მტრობდა,
ცდილობდა იმის უფლებათა ჩამორთმევასა
და აი ეხლაც თვით საშინელ სამსჯავროის წინ
ხელი შეახო მის მოხელეთ, - ხალხის სახელით
და ტრიბუნთადმი მონიჭებულ უფლება-ძალით,
რომის ქალაქით განდევნილად ამ წამიდანვე
გვიცვნია იგი; ვედარა დროს ველარ გაბედოს
ფეხის შემოდგმა მაგან რომში, თორემ მაშინვე
ტარპეის კლდიდან გადაგდება ელის სასჯელად.

ეს ასე უნდა იყოს, - ხალხის სახელით ვამბობ.

მოქალაქენი
ოღონდაც აგრე, აგრე იყოს, განვდევნოთ იგი!

კომინიოს
მეც მომისმინეთ, მეგობრებო...

მოქალაქენი
რალა გისმინოთ, დადგენილია განაჩენი.

კომინიოს
მისმინეთ-მეთქი;
მე თვით კონსულად ნამყოფი ვარ და შემოდლიან
ვაჩვენო რომსა ამ ტანზედ მის მტრების ნიშნები.
მერწმუნეთ, ჩემი მე ქვეყანა უფრო ღრმად მიყვარს,
უფრო უმანკო სიყვარულით, ვიდრე სიცოცხლე;
მეტად ვაფასებ, ვიდრე ჩემთვის ძვირფას მეუღლის
უბიწოებას და საუნჯეს მის მუცლით ნაშობს, -
და თუ ხმას ვიღებ ამის გამო...

სიცინიოს
ვიცი, რაც გინდა. კარგი, ბარემ სთქვი.

ბრუტოს
რალა არის კიდევ სათქმელი?
განდევნილია, როგორც მტერი ხალხის და ქვეყნის.
მორჩა, გათავდა!

მოქალაქენი
აგრე, აგრე, მორჩა, გათავდა!

კორიოლანოს
წუწკო ძაღლებო! სუნთქვაც კი მძაგს მე თქვენი ისე,
ვით ომხივარი ამოსული მყრალ ჭაობიდან;
ადამიანის მძოვრს ვადარებ თქვენს სიყვარულსა,
ზემოდ გდებული რომ საზარლად ჰაერსა სწამლავს.
განმიდევნიხართ თვითონ მე თქვენ. იცხოვრეთ აქა
სულმოკლეობის მსხვერპლად; მცირე ხმაურობაზედ
აგმგერებოდეთ ფრთხილად გული; განწირულება
მოგბეროთ თვითონ მტრის მუზარადთ ფრთების შრიალმა;
არ დაგლეოდეთ ღონე თქვენ მცველთ განდევნისათვის;
ნაგვიანევად, პირუტყვებო, შეიგნოთ მხოლოდ,
რომ თქვენს თავს თქვენვე უწყალოდ მტრობთ და დავრდომილნი
ტყვედ ჩასცვივნოდეთ ერთ-ერთ ერსა ხელგაუნძრევლად!
თქვენ გამო მე მძულს ეს ქალაქი და ზურგს ვუბრუნებ;
რომ გარეთ არის სხვა ქვეყანაც!
(გადიან კორიოლანოს, კომინიოს, მენენიოს, სენატორნი და პატრიციები)

ედილი
ხალხის მოძულე განდევნილ იქმნა!

მოქალაქენი
უჰ! ჰაი ჰა! მტერი განვდევნეთ.
(ჰყვირიან და ქუდებს მალლა ისვრიან)

სიციინოს
წადით, თვალ-ყური დაიჭირეთ, მიჰყეთ კარამდე;
არ მოასვენოთ, ჰკილეთ, ლანძღეთ, როგორც ღირსია
და როგორც თვითონ გეპყრობოდათ. ჩვენ კი დარაჯმა
გამოგვაცილოს.

მოქალაქენი
კარებამდე, წამოდით, მივყვით.
დღეგრძელიმც იყვნენ ტრიბუნები! - აბა, მოდიხართ?
(გადიან)

მოქმედება მეოთხე

სურათი I. რომი. ქალაქის კარებ წინ
(შემოდინ კორიოლანოს, ვოლუმნია, ვირგილია, მენენიოს, კომინიოს და რამდენიმე ახალგაზრდა
პატრიციოსი)

კორიოლანოს
ცრემლს ნულარ აბნევთ, ერთურთს მოკლედ გამოვესალმით.
აგერა მხეცი მრავალთავა მომდევს და მერჩის,
რა იქნა, დედავ, ძველი შენი გულის სიმაგრე?
აკი ამბობდი, ვაჟკაცებს სცდის უბედურება,
უბრალო კაცი კი ჩვეულ ხვედრს იტანსო მხოლოდ;
რომ როდესაც ზღვა მშვიდი არის, ნავის პატრონნი
ყველანი მარჯვედ აცურებენ თავიანთ ნავებს
და ხერხი მაშინ საჭიროა სამაგალითო,
როცა ბუნება მწყრალიაო. ოჰ, დედაჩემო,
შენგან მსმენია დარიგება ისეთი, რაიც
უძლეველად შეჰქმნის, ვინც კი იმას გაიზეპირებს.

ვირგილია
ოჰ, ზეცავ, ზეცავ!

კორიოლანოს
მშვიდად იყავ, გემუდარები.

ვოლუმნია
ჭირმა გასწყვიტოს ხელოსნები მთელის რომისა,
იმათ ხელობაც მათთან ერთად!

კორიოლანოს

მაგას რად ამბობ?

მოუბრუნდებათ გული ჩემზედ, რა ვეღარ მნახვენ.
ჩაიდგი, დედავ, გევედრები, ისევ ის სული,
რომელიც ხშირად თავმომწონედ გათქმევინებდა:
ჰერკულესს ცოლად რომ ვყოლოდი, ექვსს მის საქმესო
შევასრულებდი მარტოკა, ქმრის შეუწუხებლად. -
ნულარა დარდობ, კომინიოს, იყავ მშვიდობით. -
მშვიდობით, ჩემო მეუღლეო, - მშვიდობით, დედავ.
არა მიშავს-რა მე, მერწმუნეთ. - ჩემო ერთგულო,
მოხუცებულო მენენიოს, შენი ცრემლები,
ყმაწვილისაზედ მლაშე არის, თვალებს ამოგჭამს. -
სარდალო, ბევრჯერ მინახავხარ შენ მტკიცედ მდგომი
გულმოსაკლავის სურათებ წინ; მამ ჩააგონე
ამ შეწუხებულ დედაკაცთ, რომ სისულელეა
აუცილებელს ბედის წყრომას სტიროდეს კაცი,
ან დასცინოდეს. - დედაჩემო, ეს ხშირად გითქვამს,
რომ სივაჟკაცე შენი ამ გულს ნუგეშად აქვსო
და დამერწმუნე, რომ თუმც ეხლა მივდივარ მარტო,
განმარტოებულ გველვეშაპის მსგავსად, რომელიც
მყარალ ჭაობიდან უჩინარი გარშემო შიშს ჰფენს,
მე, შენი შვილი, ან საქვეყნოდ თავს ვისახელებ,
ან ჩემ საჭერად განმზადებულ მახეს გავებმი.

ვოლუმნია

ჩემო პირმშო ძევ, საით მიხვალ? სჯობს, კომინიოს
თან წაიყვანო მცირე ხნითა, დაადგე რასმე
გარკვეულ გზასა და სიბრაზით არ გადაეკიდო
ხიფათს, რომელიც, შესაძლოა, ყველგან წინ დაგხვდეს.

კორიოლანოს

ოჰ, ზეცის ძალნო!

კომინიოს

წამოგყვები ერთი თვით მაინც;
ერთად ვიფიქროთ, სად იცხოვრო, რომ შენ გესმოდეს
ჩვენი ამბავი და ჩვენ - შენი; და თუ დრო-ჟამმა
მოგვცა საბუთი კვალად შენის დაბრუნებისა,
აღარ გაგვიხდეს სამებნელი მთელ ქვეყანაზედ
და ამ ძებნაში არ დავკარგოთ მარჯვე შემთხვევაც.

კორიოლანოს

არა, სარდალო, წელთ სიმრავლით დატვირთული ხარ,
ომის ქარცეცხლში გამოვლილი, და რისთვის უნდა
შეწუხდე ჩემთვის, ვის ნაბრძოლი არც კი მეტყობა.
სჯობს, რომ ქალაქის კარებამდე მომყვით მე მხოლოდ. -
მოდო, მეუღლე ჩემო ტკბილო, ძვირფასო დედავ,
კეთილშობილნო მეგობარნო; გთხოვთ, გამაცილოთ
პირზედ ღიმილით. ამ მიწაზედ ვიდრემდე ვივლი,

ხშირად გაიგებთ ჩემს ამბავსა, ამბავს ისეთსა,
რაც არაოდეს არ უმტყუნებს მარციოსის ზნეს.

მენენიოს

ამის უკეთესს რას მოისმენს ადამიანი! -
კმარა ტირილი. აბა, მოდით. - ნეტა შემეძლოს
ამ უძლურ ხელ-ფეხს შვიდი წელი ჩამოვაცალო,
მაშინ, ღმერთთ ვფიცავ, გვერდიდან არ მოგშორდებოდი.

კორიოლანოს

მომეცი, ძმაო, შენი ხელი. აბა, წავიდეთ.
(გადიან)

სურათი II. იგივე ქალაქი. ქუჩა ქალაქის კარებს ახლო
(შემოდინან სიცინიოს, ბრუტოს და ერთი ედილი)

სიცინიოს

უთხარ, ყველანი შინ წავიდნენ. ხომ მოვიშორეთ,
ეხლა სიწყნარე გვირჩევნია. უიმისოდაც
იმისი მომხრე დიდებულნი ბრაზიანობენ.

ბრუტოს

რაკი ვაჩვენეთ ჩვენი ძალა, თავმდაბლობა სჯობს.

სიცინიოს

ეხლავე წავიდ-წამოვიდნენ. მოსისხლე მტერი
შორს განვუდევნეთ, მათ უფლება აღდგენილია.

ბრუტოს

ჰო, დაითხოვე. (ედილი გადის) იმის დედა მოდის აგერა.

სიცინიოს

გზას გადვუხვიოთ.

ბრუტოს

ვითომ რადა?

სიცინიოს

ამბობენ ჭკვაზედ შეიშალაო.

ბრუტოს

დაგვინახეს. შენს ალაგს იდეგ.
(შემოდინან ვოლუმნია, ვირგილია და მენენიოს)

ვოლუმნია

კარგ დროს არ შეგხვდით! რაც კი ჭირი ღმერთთ გააჩნიათ,
ყველა ერთბაშად მოგსეოდეთ თქვენის ღვაწლისთვის.

მენენიოს
ესე ხმამაღლა როგორ სწყევლი?

ვოლუმნია
ოჰ, ეს ცრემლები
ყანყრატოში რომ არ მიჭერდნენ, წამოვანთხევდი
გულიდან ბოლმას. მაინც გეტყვით. (ბრუტოსს) წასვლას აპირობ?

ვირგილია (სიციინიუსს)
შენც აქ იყავ. - ნეტა ჩემს ქმარს ვეუბნებოდე.

სიციინიოს
გაგიჟებულხარ?

ვოლუმნია
ჰო, გიჟი ვარ, რა სირცხვილია!
მამაჩემი ხომ კაცი იყო, შენ კი, მელიავ,
გამოიმეტე განსადევნად იგი, რომელიც
სამშობლოს მტერსა უფრო ხშირად თავს დასცემია,
ვიდრე სიტყვები შენ მაგ პირით წამოგიროშავს.

სიციინიოს
ღმერთნო, გვიხსენით.

ვოლუმნია
მამაცურად დასხმია-მეთქი
რომის გულისთვის უფრო ხშირად, ვიდრე ჭკვიანი
სიტყვა რამ გითქვამს. მოიცადე... წადი მომშორდი...
არა, აქ დადეგ. ოჰ, ნეტავი ჩემი შვილი კი
ხელში ხმლით იდგეს არაბეთის ფართო მინდვრებზედ
და მთელი თქვენი ჯილაგი მას წინ დაერეკოს.

სიციინიოს
მერე რა?

ვირგილია
რაო?! გააწყობდა თქვენს სახსენებელს.

ვოლუმნია
ზედ მიატანდა თქვენს ბუშებსაც. - რამდენგან არის
იგი დაჭრილი მამულისთვის!

მენენიოს
კარგია, კმარა.

სიციინიოს
როგორც დაიწყო, ნეტავი კი აგრე განეგრძო
და კვანძი მისგან გახლართული, კავშირ-შემკვრელი
თითონ იმასვე არ გაეხსნა.

ბრუტოს
ნეტავი აგრე.

ვოლუმნია
„ნეტავი აგრე!“ ხალხი თქვენვე არ ააჯანყეთ!
მის ღირსებაზედ სჯა აგრეთვე გეხერხებათ თქვენ,
წუწვო კატებო, ვით მე ზეცის საიდუმლოზედ,
რასაც გონებით მიწიერი ვერ აღუწვდება.

ბრუტოს
წამო, წავიდეთ.

ვოლუმნია
ჰო, მიბრძანდით, ბატონო ჩემო,
კარგის საქმის ხართ თქვენ მოქმედნი, მაგრამ წასვლამდე
ეს მომისმინეთ: ვით უბრალო ქოხს კაპიტოლი,
ისე ძე ჩემი, განდევნილი თქვენგან, და აი
ამ ქალის ქმარი, გეყურებათ, თქვენ ყველას გჯობდათ.

ბრუტოს
გეყოფა, კარგი. ჩვენ მივდივართ.

სიცინიოს
ან კი რას ვდგავართ
და ჰკვადაბნეულ დედაკაცსა ველანძღვინებით!

ვოლუმნია
თან გაგაყოლებთ ჩემს დალოცვას. (ტრიბუნები გადიან) ნეტა კი ღმერთებს
მარტო ჩემ წყევლის ასრულება ჰქონდეთ საქმედა!
დღეში რომ ერთხელ შევხვდე მაგათ, ამ გულის ვარამს
გავიქარებდი.

მენენიოს
ბევრი უთხარ, მიზეზიც გქონდა. -
ამალამ ვახშმად არ მეწვევით?

ვოლუმნია
ეხლა მე საზრდოდ
რისხვა მეყოფა; თანა ვჭამ და თან მშიერი ვარ. -
წამოდი, კარგი, რას წრიპინებ? აქ შემომხედე
და მე მომბაძე იუნონას მზგავსად გულმწყრაღსა.
წამოდი-მეთქი.

მენენიოს
ფუჰ ამ ყოფას, ფუჰ ამ სიცოცხლეს!
(გადიან)

სურათი III. გზა მთიან ალაგას რომსა და ანციუმს შუა
(ერთი რომაელი და ერთი ვოლსკი ერთმანეთს შეხვდებიან)

რომაელი

ჩვენ, ყმაწვილო, ერთმანეთს ვიცნობთ. ვგონებ, შენ ადრიან გქვიან?

ვოლსკი

მართალს ამბობ, მაგრამ შენი სახელი კი ვერ მომიგონია.

რომაელი

მე რომიდანა ვარ, თუმცა შენსავით მეც იმას ვწინააღმდეგობ. ეხლა ხომ მიცან?

ვოლსკი

ნიკანორი არა ხარ?

რომაელი

ისა ვარ სწორედ.

ვოლსკი

უკანასკნელად რომ გნახე, უფრო დიდი წვერი გქონდა, მაგრამ ხმაზედ გიცან. რომში რა ამბავია?
სწორედ შენს საპოვნელად გამოგზავნეს ვოლსკებმა და ამ შეხვედრით ერთი დღის სავალი
შემიმოკლე.

რომაელი

რომში დიდი არეულობა იყო: ხალხი აჯანყდა სენატის, პატრიციების და დიდებულთა წინააღმდეგ.

ვოლსკი

იყო და აღარ არის? ჩვენში აგრე არა ჰგონიათ, იქ საომრად ემზადებიან და ამ შინაურ შფოთის დროს
აპირობენ თავდასხმას.

რომაელი

მთავარი ცეცხლი განელდა, მაგრამ მცირე მიზეზზედ კვალად აფეთქდება. დიდებულნი ისე
გულმოსულნი არიან მამაცი კორიოლანოსის განდევნის გამო, რო უნდათ ხალხს ყველა უფლება
ჩამოართვან და ტრიბუნებიც აღარ დაუყენონ. საქმე მეტად გამწვავებულია და ბეწვზედლა ჰკიდია, რომ
სულ არ აირ-დაიროს.

ვოლსკი

მამ კორიოლანოს განდევნეს?

რომაელი

დიაღ, განდევნეს.

ვოლსკი

მაგ ამბის მოტანისათვის ჩვენში ჩინებულად დაგიხვდებიან.

რომაელი

მართლაც ეხლა კარგი შემთხვევა გაქვთ. მე გამიგონია, დედაკაცის შესაცდენად უკეთესი დრო მაშინ
არის, როცა ქმართან მწყურალად არისო. თქვენ დიდებულ ტულოს ავფიდიოსსაც ეხლა დაუდგა დრო

თავგამოჩენისათვის, რაკი თავის მძლავრი მოწინააღმდეგე კორიოლანოს რომაელთა ჯარში აღარ ეგულება.

ვოლსკი

მაგას რაღა ლაპარაკი უნდა. ძალიან ბედი მქონია, რომ ასე მარჯვედ შეგხვდი. ეხლა საქმე აღარა მაქვს-რა და მხიარულად შენთან ერთად შინ დავბრუნდები.

რომაელი

ვახშობამდის კიდევ ბევრს უცნაურს ამბავს გიამბობ რომისას, იმის მტრებისთვის გამოსადეგს. მამ ჯარი მზადა გყავთ?

ვოლსკი

მერე რა ჩინებული ჯარი! ასისთავებს ყველას თავთავისი საქმე აქვთ ნიშანდობლივ ჩაბარებული, ყველას ჯამაგირები ეძლევა და ერთ საათში შეიძლება მთელი ლაშქარი ფეხზედ დადგეს.

რომაელი

მიამა, რომ მზადა ყოფილან და ვგონებ ჩემგან მიტანილ ამბავზედ დაიძვრიან კიდევ. ისიც ძალიან მიხარიან, რომ შენ შეგხვდი და შენთან ერთად მომიხდება მგზავრობა.

ვოლსკი

ეგ მე უნდა მეთქვა: მე მაქვს მიზეზი სიხარულისა.

რომაელი

აბა, წავიდეთ ერთად.

(გადიან)

სურათი IV. ანციუმი. ავფიდიოსის სახლის წინ

(შემოდის კორიოლანოს, ღარიბულად ჩაცმული და სახეაფარებული)

კორიოლანოს

რა მშვენიერი ქალაქია ეს ანციუმი

და მე რამდენი დედაკაცი მას დავუქვრივე;

ან ამ ჩინებულ სასახლეთა პატრონ-მფლობელნი

რამდენნი ვნახე სულთმობრძენი ჩემსა წინაშე!

ის სჯობს, არ მიცნან, თორემ უცბად მომესევინ,

ბავშვები ქვებით, დედაკაცი შამფურ-კეტებით

და წუწკად ჩამკვლენ. (ერთი მოქალაქე შემოდის) გამარჯვება!

მოქალაქე

შენც გაგიმარჯოს.

კორიოლანოს

მასწავლე, დიდი ავფიდიოს აქ სადა სცხოვრობს,

ან ანციუმში არის ეხლა?

მოქალაქე

ანციუმშია

და ამ ქალაქის დიდებულნი ვახშმად თვის სახლში

ჰყავს მიწვეული.

კორიოლანოს
გთხოვ, მაჩვენო იმის სახლიცა.

მოქალაქე
აგერა, შენ წინ.

კორიოლანოს
დიდად გმადლობ. (მოქალაქე გადის) წუთისოფელო,
რა ცვალებადი რამ ყოფილხარ! ძმადგაფიცულნი,
რომელთ ორ-მკერდ ქვეშ თითქო ერთი გული უცემთო,
მუდამ ერთ ჭერქვეშ ბინადრობენ, ერთადა სძინავთ,
ერთად სმენ, სჭამენ, ვარჯიშობენ და ტყუპებივით
ერთმანეთს ტკბილი სიყვარულით ძმობას უწევენ,
ხშირად შექმნიან შფოთსა ჩალის დანაფასებზედ
და იყრებიან სამუდამოდ მოსისხლე მტრებად;
აგრეთვე მტერნი ერთმანეთის უსასტიკესნი,
რომელთაც ძილი მხოლოდ მისთვის აქვთ შფოთიანი,
იმისთვის ზრუნვენ, ერთმანეთსა თუ როგორ ავნონ,
რადაც განგებით სულ უბრალო მცირე მიზეზზედ
მეგობრდებიან, მოყვრდებიან სიამტკბილობით.
აი მეც ეხლა მძაგს სამშობლო ადგილი ჩემი
და სიყვარული აქ გადმომაქვს, ამ მტრის ქალაქზედ.
რაც იქმნეს, შევალ. თუ მომაკვდენს, ღირსი ვიქნები
და თუ დამარჩენს, მის ქვეყანას სიკეთეს ვუზამ.
(გადის)

სურათი V. იგივე ქალაქი. დარბაზი ავფიდოსის სასახლეში
(გარედან მუსიკის ხმა ისმის. შემოდის ერთი მსახური)

პირველი მსახური
ჰე, ღვინო, ჩქარა! სადაური სამსახურია.
ძილქუში ხომ არ დასწოლიათ!
(გადის. შემოდის მეორე მსახური)

მეორე მსახური
კოტოს სად არის? ბატონი უხმობს. კოტოს!
(გადის. შემოდის კორიოლანოს)

კორიოლანოს
კარგი სახლი ყოფილა;
ნადიმის სუნიც ტრიალებს, თუმც მე არვინ მიწვევს.
(პირველი მსახური შემობრუნდება)

პირველი მსახური
შენ ვინა ხარ, ძმობილო, საიდან მოსულხარ? აქ რა შენი ადგილია. წადი აქედან.
(გადის)

კორიოლანოს
სხვაფრივ დახვედრა არ ეკუთვნის კორიოლანოსს.

(მეორე მსახური შემობრუნდება)

მეორე მსახური
ვინა ხარ. ჰეი? მეკარეს თვალები არა ჰქონდა, რომ ვიღაც ვიგინდარა აქ შემოუშვიხარ! წადი, წადი.

კორიოლანოს
იქით!

მეორე მსახური
იქითაო?! იქით შენ მიბრძანდი.

კორიოლანოს
კარგია, თავი ნუ წაიღე.

მეორე მსახური
ჰხედავთ, როგორ ყოყოჩობს კიდეც! მე შენ გაყოყოჩებ ეხლავ.
(შემოდის მესამე მსახური)

მესამე მსახური
ეს კაცი ვინ არის?

მეორე მსახური
ვიღაც ოხერი შემოთრეულა და კარში ვეღარ გავიყვანე. აბა, გეთაყვა, ერთი ბატონს მოახსენე, აქ მობრძანდეს.

მესამე მსახური
ვინა ხარ, რა გინდა? თუ ღმერთნი გრწამს, მოგვშორდი აქედან.

კორიოლანოს
რა გინდათ, აქ ვიყო; ვის რას ვუშავებ?

მესამე მსახური
ვინა ხარ, რა კაცი ხარ?

კორიოლანოს
ერთი აზნაური.

მესამე მსახური
მაშ მეტად ღატაკი აზნაური უნდა იყო.

კორიოლანოს
მართალს ამბობ, ეგრეთიცა ვარ.

მესამე მსახური
ისევ სხვა ადგილი ამოირჩიე, ჩემო აზნაურშვილო, აქ რა შენი საქმეა. აბა, ჰა, გასწი, მოგვშორდი.

კორიოლანოს
წადი, მიჰხედე შენს ნასუფრალს, რას ჩამაცივდი.
(ხელსა ჰკრავს)

მესამე მსახური

რაო, არ გინდა წახვიდე? - წადი, ბატონს მოახსენე, უცნაური სტუმარი გეწვია-თქო.

მეორე მსახური

აი მივდივარ.

(გადის)

მესამე მსახური

შენ სადა სცხოვრობ?

კორიოლანოს

ცის ქვეშ.

მესამე მსახური

ცის ქვეშ?

კორიოლანოს

სწორედ.

მესამე მსახური

სადა ნიშანდობლივ?

კორიოლანოს

ძერებთან და ყორნებთან.

მესამე მსახური

ძერებთანა და ყორნებთანა! - ღმერთო, რა ვირია! - მაშ ყვანჩალა ყვავებიც მეზობლებად გეყოლება?

კორიოლანოს

არა, მე შენს ბატონს არ ვემსახურები.

მესამე მსახური

რაო, ჩემ ბატონსაც გადასწვდი?

კორიოლანოს

ეგ არა სჯობს ქალბატონის გადაწვდომას. კარგია, ნულარ ყბედობ, გაეთერ, სუფრას მიხედე.

(სცემს და გააგდებს. შემოდინ ავფიდიოს და მეორე მსახური)

ავფიდიოს

აბა, სად არის ის კაცი?

მეორე მსახური

აი, ბატონო, აქ გახლავთ. მინდოდა ძალღვივთ მიმებერტყა, მაგრამ სტუმრების შეწუხებას მოვერიდე.

(ორივე მსახური უკან დადგება)

ავფიდიოს

სადაური ხარ ან რა გინდა? შენი სახელი?

რატომ არ ამბობ, სთქვი, რა გქვიან, ადამიანო?

კორიოლანოს (სახეს გამოიჩენს)
 თუ ეხლაც, ტულოს, ვერ მიცანი, ანუ ვერ მიხვდი,
 ვინა სდგას შენ წინ უნდა გითხრა, მეტი რა გზაა.

ავფიდიოს
 სახელი-მეთქი!

კორიოლანოს
 სამუსიკო არ არის იგი
 ვოლსკთა ყურთათვის და არც შენთვის სასიამოვნო.

ავფიდიოს
 მაინც უნდა სთქვა. შენს სახეზედ სიმძლავრეს ვამჩნევ
 და მბრძანებლობის ნიშნებიც ზედ აღბეჭდილი გაქვს.
 თუმც იალქნები დაგფხრეწია, შეხედულობა
 დიდებული აქვს შენს ხომალდსა. მითხარ, რა გქვიან?

კორიოლანოს
 მაშ მოემზადე რისხვისათვის. ვერც ეხლა მიცან?

ავფიდიოს
 ვერა, ვერ გიცან.

კორიოლანოს
 მე კაიოს მარციოს მქვიან,
 რომელმაც ვნება მოგაყენათ დიდი, როგორც შენ,
 ისე საერთოდ ყველა ვოლსკთა; ამასა მოწმობს
 კორიოლანოს მეტსახელად ჩემდა ნაკუთვნი.
 ურიცხვი ჩემი სამსახური, განსაცდელს ყოფნა,
 სისხლი დაღვრილი უმადურის სამშობლოსათვის
 გადამიხადეს ამ წოდებით, ეს დამრჩა მხოლოდ,
 რაიც ჩემდამი მტრობას უნდა გაგრძნობინებდეს.
 სხვა ყველაფერი ჩანთქა ხალხის შურმა ბოროტმა
 გალაჩრებულთა დიდებულთ წინ, რანიც ვერ შესძრა
 ბრბოს ნებით ჩემმა სამარცხვინოდ რომით განდევნამ.
 ამ უკიდურეს ყოფას შენს წინ მოვყავარ, ტულოს,
 იმისთვის კი არ, დავიფარო ჩემი სიცოცხლე, -
 ოჰ, ნუ იფიქრებ ამას, რადგან სიკვდილისა რომ
 მერიდებოდეს, უკანასკნელს შენ მოგმართავდი.
 მე შენს წინაშე მისთვის ვდგავარ, რომ ჩემს გამდევნელთ
 სამაგიერო გადვუხადო. მაშ თუ მაგ გულში
 შურისძიების ცეცხლი კიდევ გიღვივის და გსურს
 ამოიყარო ჯავრი იმდენ წვალებისათვის
 და შენს ქვეყანას გადაჰბანო სირცხვილის ნაშთი,
 ეხლაც სამზადისს შეუდეგი, მეც მიმსახურე,
 გამოიყენე რისხვა ამ გულს დაბუდებულთ.
 მე მწადს ვებრძოლო ჩემს სამშობლოს დაჭიანებულს
 ტარტაროზულის კბილთა ღრჭენით; შენ თუ ვერ ჰხედავ,
 ან დაღალული თუ ხარ ისე, რომ ბედს ვეღარ სცდი,

მაშინ გიცხადებ, მეც სიცოცხლე მომბეზრებია,
 აჰა ეს გული, დამკარ, მომკალ მძულვარე ხელით;
 არ იზამ ამას, უგუნურად ჩაგრიცხავს ყველა,
 რადგანაც მუდამ მტრად გყავდი და შენს ქვეყანასაც
 უხვად ვადენდი სისხლის რუებს. თუ ცოცხლად დავრჩი,
 ან მარცხვენიელი უნდა ვიყო შენი, ან შემწე.

ავფიდიოს

მარციოს, შენგან წარმოთქმულმა სიტყვამ გულიდან
 მთლად ამომგლიჯა ძველებური შენდამი მტრობა.
 თვით იუპიტერს ღრუბლებიდან რომ ემცნო ჩემთვის
 სამღვთო რამ საქმე, მტკიცედ ეთქვა, ეს ასეაო,
 ვერ ვაკუთვნებდი მას მეტს რწმენას, ვიდრე მარციოსს,
 აღსავსეს კეთილშობილებით. მოდი, მოვხვიოთ
 ეს მკლავნი შენს ტანს, რომელზედაც ასჯერ, ათასჯერ
 მკვეთრი მახვილი დამმსხვრევია ლუკმა-ლუკმადა
 და ნამსხვრევები აბნეულა თვით მთოვარემდე;
 ჩემის ხმლის გრდემლი მსურს მივიყრდნო მჭიდროდ ამ მკერდზედ;
 დღეიდან, ვფიცავ, მეყვარები ისე ძლიერად,
 როგორც ძლიერად თავმოძწონედ შენ, გმირს, გებრძოდი.
 დიად, იცოდე, რომ უებრო სიყვარულითა
 ვეტრფოდი ერთს ქალს, ეხლა იგი ჩემი ცოლია,
 მაგრამ პირველად რომ შემოსდგა ჩემს სახლში ფეხი,
 მერწმუნე, ისე გული მე არ ამბგერებია,
 როგორც აწ მიძგერს ალტაცებით შენს დანახვაზედ.
 რა დაგიმალო, ომის ღმერთო, ჩვენ ჯარი მზად გყავს,
 მეც მსურდა შენთან ერთხელ კიდეც ბედი მეცადა,
 შეგჭიდებოდი სასიკვდილოდ. შენგან თორმეტჯერ
 დავმარცხებულვარ და მას აქეთ ღამეც კი სიზმრად
 მეზმანებოდა შენთან ბრძოლა; ვგლეჯდით ერთმანეთს
 თავზედ მუხარადს, ერთურთს მედგრად ყელში ვწვდებოდით
 და ვიღვიძებდი გულმოსული ფუჰს ოცნებაზედ.
 სხვა მტრობა კიდეც რომ არ გვქონდეს, ღირსო მარციოს,
 შენის განდევნის გარდა, მაინც შევკრებოდით სულ
 ყრმანი, მოხუცნი, უმადურს რომს მივესეოდით
 და წავლეკავდით აზვირთებულ მდინარესავით.
 წამოდი, ნახე სენატორნი ვით მეგობარმა,
 მისთვის არიან აქ შეყრილნი. გამომესალმონ,
 რაკი ვაპირობ ლაშქრად მოსვლას თქვენს ქვეყანაზედ,
 თუმც თვითონ რომის დაპყრობად არ ვემზადებოდი.

კორიოლანოს

ღმერთნი მფარველად მყვანან სწორედ.

ავფიდიოს

მამ თუ ისურვებ

ჯავრის ამოყრას თვითვე, ჩვენო უფალთ-უფალო,
 შენ მზრძანებლობდე ნახევარსა ჩემის ლაშქრისას
 და, რადგან უკეთ იცი შენის ქვეყნის სისუსტეც,

იმისი ძალაც, რაცა გასურდეს, ის გადაწყვიტე:
 გნებავდეს, მიდი თითონ რომზედ, ან ჯერ მის ქვეყნებს
 გაავლე მუსრი, აიკელი, გაანადგურე,
 რომ დამხოზამდე აკანკალდეს შიშით ქალაქი.
 მაგრამ წამოდი, ჯერ გაგაცნო ისინი, რომელთ
 თანხმობა უნდა წესისამებრ გამოგიცხადონ.
 მოზრძანდი, მოდი, მეგობარო, უფრო შემტკბარო
 უწინდელ მტრობით, - მეტისმეტი ჩხუბი კი გვქონდა.
 მომეც ეგ ხელი, ოჰ, მარციოს; სალამი კიდევ!
 (კორიოლანოს და ავვიდიოს გადიან. ორივე მსახური წინ წამოდგება)

პირველი მსახური
 აი უეცარი ცვლილება!

მეორე მსახური
 კინალამ კეტით არ მივბერტყე, თუმცა გული მეუბნებოდა, მაგ ტანისამოსისა ნურაფერი გჯერაო.

პირველი მსახური
 რა ხელღონიერი ყოფილა: ორი თითით ბზრიალასავით დამაპროწიალა.

მეორე მსახური
 განა არა, სახეზედვე შევატყე, სხვანაირი კაცი იყო, სხვანაირი იერი ჰქონდა.

პირველი მსახური
 მეც მაშინვე შევამჩნიე; გინდა ჩამომადრჩეთ, თუ ამას ტყუილს ვამზობდე.

მეორე მსახური
 ძვირად შეხვდება ესეთს კაცს ადამიანი.

პირველი მსახური
 მაგასაც ნუ იტყვი, განა შენ თითონ უკეთესს ვაჟკაცს არ შეხვედრიხარ?

მეორე მსახური
 ჩემს ბატონზედ ამბობ?

პირველი მსახური
 თუნდა ისიც იყოს.

მეორე მსახური
 ის ხომ ექვსს მაგისტანას აჯობებს.

პირველი მსახური
 არც აგრეა, თუმცა ჩვენი ბატონი დიდი ვაჟკაცია.

მეორე მსახური
 სწორედ გითხრა, ძნელი გადასაწყვეტია; ქალაქის დაცვა ჩვენმა სარდალმა მართლა ჩინებულად იცის.

პირველი მსახური
 არც ალება გაუჭირდება.

(შემოდის მესამე მსახური)

მესამე მსახური

ჰეი, ბიჭებო, რა ახალი ამბავი გითხრათ!

პირველი და მეორე მსახური

სთქვი, რაო?

მესამე მსახური

დღეის იქით რომაელად ყოფნას, ყელზე საბლის შებმა მირჩევნია.

პირველი და მეორე მსახური

ეგ რადა?

მესამე მსახური

ეხლა ამ ჭერქვეშ კაიოს მარციოსია, აი ჩვენს სარდალს რომ მიბერტყავდა ხოლმე.

პირველი მსახური

როგორ თუ მიბერტყავდა?

მესამე მსახური

არა, კი არ მიბერტყავდა, ომში რომ საქმეს უჭირებდა.

მეორე მსახური

ეჰ, რა საჭიროა მალულობია, ჩვენ მმა-ბიჭები არა ვართ განა? რადა დავფაროთ, ბევრჯელ მწარე ოფლი უდინებია, მე თითონ გამიგონია ჩემი ბატონისაგან.

პირველი მსახური

მართალია, ძალიან სჯობნიდა: კორიოლის წინაც ისე დაჰკეფა, როგორც საგუფთე ხორცი.

მეორე მსახური

შეწვა და შეჭმალა უკლდა, კაციჭამია რომ შეხვედროდა.

პირველი მსახური

სხვა რადა ამბავი იცი?

მესამე მსახური

რადა რა ამბავი, გარს დასტრიალებენ, თითქო მარეხის მკვიდრი ძე იყოსო; სუფრის თავზედ გამოჭიმეს და სენატორები, როცა რისმე კითხვა უნდათ, თავმოშვლეპილნი ფეხზე წამოდგებიან ხოლმე; ჩვენი სარდალიც ისე ულოლიავენს, თითქო საყვარელს ეტრფოდეს და ყოველს იმის სიტყვაზედ თვალებს გაფაციცებით აჭყეტს. უფრო კარგი ის არის კიდევ, რომ სარდალი შუა გასჭრეს და რაც გუშინ იყო, იმის ნახევარიღა დარჩა, ნახევარი კი მეორეს აჩუქა მთელმა შეკრებულეზამ. წავალო, ამბობს, რომის კარების მცველს ყურებს დავუხრეს და მთელ იმ ქვეყანას ხელის გულივით გადავპარსავო.

მეორე მსახური

მაგას ეგ არ გაუჭირდება.

მესამე მსახური

გაუჭირდებაო! გაუჭირდება, რა სათქმელია. რაც მტერი ჰყავს სამშობლოში, მოყვარეც იმდენი ეგულება, მაგრამ რაკი ფეხი გადაუბრუნდა, ჯერ ჩუმად არიან.

პირველი მსახური

როგორ თუ ფეხი გადაუბრუნდა?

მესამე მსახური

და როცა მაგის მუზარადს დაინახვენ და სისხლის სუნი მიუვათ, მაშინ თავთავიანთ სოროებიდან გამოძვრებიან, როგორც ნაწვიმარზედ კურდღლები და საერთო ნადიმში წილს ჩაიდებენ.

პირველი მსახური

როდის მიდიან?

მესამე მსახური

ხვალ, დღეს, ეხლავე, აი, საცაა დაფდაფის ხმა მოგვივა და ეგენიც აიშლებიან, ისე რომ ტუჩების მოწმენდასაც ვერ მოასწრებენ.

მეორე მსახური

მამ ქვეყანა კიდევ გაცოცხლდება; ეს მშვიდობიანობა მხოლოდ რკინას აჟანგებს, თერძებს ამრავლებს და მოშაირებს ხელს უწყობს.

პირველი მსახური

ომი რადაც უნდა ღირს მყუდროებას ისე სჯობს, როგორც დღე ღამეს: გავიღვიძებთ, გავიბერტყებით, გავიგებთ რასმე ავ-კარგისას, თუ არა და დამბლასავით გვძინავს, ვყრივართ უგრძნობლად გამოყრუებულნი. ომში იმდენი კაცი სად მოკვდება, რამდენი ნაბუმარიც მშვიდობიანობის დროს იბადება.

მეორე მსახური

ჭემშარიტია; თუ ომის დროს ცოლებს მარჯვედ იტაცებენ ხოლმე, სამაგიეროდ ომის შემდეგ რქებს აბმენ ცოლები ქმრებსა.

პირველი მსახური

მშვიდობიანობაში ადამიანებს ერთმანეთი დასანახავად ეჯავრებათ.

მესამე მსახური

იმიტომ რომ ერთმანეთის თავი არ უჭირთ. ეს კი ვიცი, რომ ამ ომში ხელებს კარგად მოვითბობ, რომაელებსაც ისე იაფად ვიყიდი, როგორც ვოლსკებს. - აგერა, დგებიან.

სამნივე

წავიდეთ, მივხედოთ.

(გადიან)

სურათი VI. რომი. მოედანი

(შემოდინან სიცინიოს და ბრუტოს)

სიცინიოს

ველარაფერი ვერ გავიგეთ იმის ამბავი.

ან რას დავეძებთ? ვინც კი მომხრე ჰყავდა, მიჩუმდა.

და მყუდროება სუფევს ნაცვლად წინანდელ შფოთის.
 პატრიციებს ეს როდი მოსწონთ. თითქო რცხვენიათ,
 და ურჩევნიათ, ქუჩა-ქუჩა აღელვებული
 ხალხი დაძრწოდეს, თუნდ ამითი თვით მათვე ევნოთ,
 ვიდრე ჰხედავდნენ ხელოსანთა აწინდებურად
 მხიარულად მსხდომთ თავ-თავისთვის დუქან-ბაზარში.

ბრუტოს

სწორედ მარჯვე დროს მოვასწარით. - ეს მენენიოს არ არის განა?

სიციინიოს

ჰო, ის არის; მეტად მოგვიღბა ამ ბოლო დროსა.

(შემოდის მენენიოს)

გამარჯვება, ბატონო ჩემო!

ბრუტოს

ოჰ, გამარჯვება

მენენიოს

გაგიმარჯოთ თქვენც ორივესა!

სიციინიოს

როგორც ეტყობა, თქვენი გმირი კორიოლანოს

არავის თვალში არ აკლია, თუ არ მეგობრებს.

ჩვენი ქვეყანა ფეხზედ მტკიცედ სდგას და იდგება,

უფრო ძლიერაც რომ გაგვიწყრეს.

მენენიოს

ჰო, კარგად ვცხოვრობთ

და კიდევ უკეთ ვიცხოვრებდით, თუ დაგვყოლოდა.

სიციინიოს

ეხლა სად არის, ხომ არ იცი?

მენენიოს

არა ვიცი-რა,

არც ცოლს მოსვლია და არც დედას იმის ამბავი.

(შემოდინან სამნი ან ოთხნი მოქალაქენი)

მოქალაქენი

ღმერთნი გფარვიდენ თქვენ ორივეს.

სიციინიოს

ოჰ მეზობლებო, გამარჯვება თქვენ!

ბრუტოს

გაგიმარჯოთ საერთოდ ყველას.

პირველი მოქალაქე
მოვალენი ვართ ცოლ-შვილითურთ დაჩოქილებმა
ღმერთებს მოვთხოვთ დღეგრძელობა თქვენ ორივესთვის.

სიციინოს
წადით, დღეგრძელნი იყავით თქვენც და ბედნიერნი.

ბრუტოს
წადით, კეთილო მეზობლებო, კორიოლანსაც
ნეტავი ისე ჰყვარებოდით, ვით ჩვენ გვიყვარხართ.

მოქალაქენი
ღმერთნი გიძლოდენ!

ორივ ტრიბუნი
გაგიმარჯოთ!
(მოქალაქენი გადიან)

სიციინოს
უფრო ტკბილად ვართ,
ვგონებ, ამ ჟამად, ვიდრე მაშინ, როს ეს ხალხივე
იკლებდა ქუჩებს გულმოსული ყვირილით, ჩხუბით.

ბრუტოს
მარციოს ომში ჩინებული ვაჟკაცი იყო,
მაგრამ ამაყი, თავმოყვარე ზომაზედ მეტად,
ურცხვი, გოროზი...

სიციინოს
სწადდა, მარტო ბატონად ყოფნა.

მენენიოს
ვგონებ, რომ სცდებით.

სიციინოს
კონსულობა დასცლოდა, აბა,
მაშინ იგრძნობდით ჩვენდა ვნებად ამის სიმართლეს.

ბრუტოს
ღმერთებმა გვიხსნეს და ამ ჟამად უმისოდ რომი
ბედნიერად და ტკბილად სუფევს.
(შემოდის ერთი ედილი)

ედილი
ღირსნო ტრიბუნო,
მონამ ამბავი მოიტანა, ერთმა, რომ ვოლსკნი
ორ რაზმად რომის სამფლობელოს შემოესივნენ
და ფეხქვეშ სთელენ გამხეცვებით, რაც წინ ხვდებათო.
დავაჭერინეთ ჩვენ ის მონა.

მენენიოს
 ავფიდიოსს თუ
 გაუგონია მარციოსის რომით განდევნა
 და თვისი რქები მიმალული მის აქ ყოფნის ჟამს
 შიშით ბუდეში, კვლავ სარჩოლად წამოუყრია.

სიციინიოს
 რას ჩააცივდი, სულ მარციოს და მარციოსი!

ბრუტოს
 წადი, უბრძანე, ის მოამბე კარგად მიტყვიპონ;
 ეხლა ომს როგორ გაჰბედავდნენ ჩვენთან ვოლსკები!

მენენიოს
 ვითომ რატომა? მაგალითი რამდენი ვიცით;
 მარტო ჩემს დროში სამჯერ აგრე მოუხდენიათ.
 ვიდრე დასჯიდეთ, სჯობს, რომ ჰკითხოთ, სიდან გაიგო,
 თორემ ვაი თუ მართლის მთქმელი, რომელიც საშიშს
 ამხავს გაცნობებთ და გაფრთხილებთ, ტყვილად გალახოთ.

სიციინიოს
 რა დამაჯერებს, აბა, მაგას, ნეტა რას ამბობ!

ბრუტოს
 შეუძლებელი არის სწორედ.
 (შემოდის ერთი შიკრიკი)

შიკრიკი
 რაღაც ამბები
 მოვიდა ეხლა. დიდებულნი სახემეშლილნი
 მისწრაფიან კაპიტოლში.

სიციინიოს
 ეს სულ ის არის;
 ჯოხით გალახეთ მონა იგი ხალხის წინაშე;
 იმან აგვრია, დაროშილმა მისგან სიცრუემ.

შიკრიკი
 არა, ბატონო, რაც კი უთქვამთ, თანდათან უფრო
 მტკიცდება მერე მოტანილი საშიშის ამბით.

სიციინიოს
 რა საშიშ ამბით?

შიკრიკი
 ეხლა ყველა მას ლაპარაკობს,
 თუმცა არ ვიცი, ნამდვილია, თუ მოგონილი,
 რომ მარციოს და ავფიდიოს შეერთებულან,
 სწყურიათ რომზე იმ ზომამდე იძიონ შური,

რა ზომაცა სდევს უახლესს და უძველესს შორის.

სიცინიოს
ეგ ხომ სრულებით არა მჯერა.

ბრუტოს
შეუთხზავთ მისთვის,
რომ მხდლებმა შინვე მარციოსი მოგვაწვევინონ.

სიცინიოს
სწორედ ეგ არის.

მენენიოს
მეც არა მჯერა - კორიოლანოს
და ავფიდიოს ერთად როგორ მოთავსდებოდნენ,
ორს უკიდურეს მტერს რა შეჰყრის!
(შემოდის მეორე შიკრიკი)

მეორე შიკრიკი,
სენატი გიხმობთ.
თურმე კაიოს მარციოსი და ავფიდიოს
ძლიერის ლაშქრით რომის ქვეყნებს შემოსევიათ,
ანადგურებენ, ცეცხლითა სწვენ და ნაცარტუტის
ადენენ კვამლსა ყოველიფერს, რაც წინა ხვდებათ.
(შემოდის კომინიოს)

კომინიოს
ოჰ, ბარაქალა, ბარაქალა, ვაშა თქვენს საქმეს!

მენენიოს
რა ამბავია?

კომინიოს
თქვენ თითონვე ხელი შეუწყეთ,
რომ ტყვია სახლთა სახურავის თავზედ დაგადნონ,
მოგტაცონ ქალნი, აგიხადონ თქვენ თვალთ წინაშე
ცოლებს ნამუსი...

მენენიოს
სთქვი, რა მოხდა.

კომინიოს
თქვენის ტაძრების
თვით კედლებიც კი გადაჰზუგონ და უფლებანი,
რისთვისაც ისე თავს იდებდით, ხვრელში ჩასტენონ.

მენენიოს
გაგვაგებინე, თუ ღმერთნი გრწამს, რა ამბავია? -
თქვენის წყალობით მოხდებოდა. - სთქვი, სთქვი, რაც იცი,

მართლა ვოლსკებთან მარციოსმა კავშირი შეჰკრა?

კომინიოს

კავშირი! იგი ღმერთი არის ეხლა ვოლსკების,
წინ უძღვის ისე, თითქო რაღაც უცხო ღვთაების
შექმნილი იყოს, კაცთ ბუნების არ გაჩენილი.
მოდიან ჩვენზედ თავისუფლად, გულდაჯერებით,
როგორც ზაფხულში პეპელებსა სდევნიან ბავშვნი,
ანუ ყასბები ბუზებს ხოცვენ.

მენენიოს

მადლი გეკუთვნით

წინამძღოლთაც და მიმდევართაც ამ საქმისათვის!
ნივრიჭამიებს ტყუილად არ ესარჩლებოდით!

კომინიოს

თავზედ დაგანგრევთ იგი ქალაქს.

მენენიოს

ისე ადვილად,
როგორც ჰერკულეს ჩამობერტყდა მწიფე ხილს ხიდან.
კარგი რამ ჰქენით, ჰო თქვენმა მზემ!

ბრუტოს

მართალი კია?

კომინიოს

მალე შეიტყობთ, თუ ეჭვი გაქვთ, საშიშ სიმართლეს:
ყოველი კუთხე სიხარულით აჯანყებულა
და, რომელსაც კი გაუბედავს წინააღმდეგი,
თავხედობისთვის დაღუპულა სხვების სამასხროდ.
ან ვინ რას იტყვის ცუდს იმაზედ? მოყვარე, მტერი
ცხადად ჰხედავს მის ღირსებას.

მენენიოს

დაღუპულნი ვართ,

თუ კი წყალობა არ მოიღო!

კომინიოს

მერე ვინ მოსთხოვს?

ტრიბუნები ხომ სირცხვილით ვერ წარუდგებიან
და ხალხი ისე არის ღირსი მის შეწყალების,
როგორც რომ მგელი მეცხვარისგან. რაც შეეხება
მის კარგ მეგობართ, თუ ეტყვიან, რომ, მწედ ექმნო,
შეურაცხებას მართო ამით მიაყენებენ
და იმის თვალში მტერთა რიცხვში ჩაითვლებიან.

მენენიოს

ეგ ნამდვილია; თვით ჩემ სახლსაც ცეცხლს უკიდებდეს,

მაინც ვერ ვეტყვი, რომ დაეხსნას. - ოჰ, ჭეშმარიტად,
საკვირველი რამ ხელოსნობა გამოიჩინეთ
თქვენცა და თქვენმა ხელოსნებმაც!

კომინიოს
ციებ-ცხელება შეჰყარეთ რომსა უხილავი, უკურნებელი.

ორივ ტრიბუნი
ჩვენ რას გვაბრალებ?

მენენიოს
მაშ ჩვენა ვართ დამნაშავენი!
ჩვენ ის გვიყვარდა, მაგრამ როგორც წუწკ პირუტყვებმა
ხალხს დავანებეთ განსადევნად კიჟინით, მხდლურად.

კომინიოს
და კიჟინითვე არ მოგვინდეს უკან მოხმობა!
ტულ ავფიდიოს, მათ ლაშქარში მეორე პირი,
ემორჩილება ყველაფერში ვით ხელქვეითი.
თავდასაცველად, ბრძოლის ღონედ ამ ჟამად მხოლოდ
განწირულება დარჩა რომსა!
(შემოდის მოქალაქეთა გროვა)

მენენიოს
აჰა, თვითონ ბრბოც.
ავფიდიოსიც მასთან არის? - არ გახსოვთ, როგორ
ჰაერს ახდენდით მყრალ ჩაჩების მაღლა სროლითა
და ღრიალებდით, როს განდევნეთ კორიოლანოს?
ეხლა აქ მოდის და ყოველი თმა მის ჯარისკაცს
თქვენთვის მათრახად გადექცევა; მაგ სულელ თავებს
დაგაყრევინებთ იმდენს, რასაც ქუდებს ისროდით
და ხმების ნაცვალს გადაგიხდით. თუნდ რომ ყველანი
ერთ ტაფაშიაც მოგვწვას, მაინც ღირსნი ვიქნებით.

მოქალაქენი
ცუდი ამბები მოდის მართლაც.

პირველი მოქალაქე
მე რომ ვამბობდი
განდევნოთ-მეთქი, თან ვნანობდი.

მეორე მოქალაქე
აგრეთვე მეცა.

მესამე მოქალაქე
მეც აგრე ვამბობდი და, მართალი რომ სთქვას კაცმა, ბევრნი სხვანიც მაგ აზრისანი იყვნენ. ქვეყნისთვის
სიკეთე გვინდოდა და იმიტომ ჩვენდა უნებურად განდევნისთვის ხმები მივეცით.

კომინიოს
რაღაც გგონიათ თქვენი ხმები!

მენენიოს
დიდი რამა ხართ
თქვენცა და მთელი მონათ გროვაც! - აბა, არ წავალთ
კაპიტოლისკენ?

კომინიოს
მაშ სხვა რა ვქნათ?
(კომინიოს და მენენიოს გადიან)

სიცინიოს
წადით, ოსტატნო,
შინ წადით-მეთქი, ნუ შემკრთალხართ, შიშს ნუ ეძლევიტ;
ეგ იმის მომხრეთ სურთ გვაჩვენონ, ვითომ შიშობენ,
მაგრამ ცუდ ამბებს სიხარულით ეგებებიან.

პირველი მოქალაქე
ღმერთნი იყვნენ ჩვენნი მფარველნი! წავიდეთ შინ, ოსტატებო, მე სულ იმას ვამბობდი, ცოდოა,
ქალაქიდან ნუ გავდევნიტ-მეთქი.

მეორე მოქალაქე
ყველანი აგრე ვამბობდით, მაგრამ ეჰ! წავიდეთ შინა.
(მოქალაქენი გადიან)

ბრუტოს
მე ეს ამბები არ მომწონს.

სიცინიოს
არც მე.

ბრუტოს
წავიდეთ ჩვენცა კაპიტოლში. ნეტა ეს ხმები
ტყუილი იყოს და ნახევარს ჩემს საცხოვრებელს
სიამოვნებით გავიღებდი.

სიცინიოს
აბა, წავიდეთ.
(გადიან)

სურათი VII. ბანაკი რომს ახლო
(შემოდიან ავფიდიოს და მისი თანაშემწე)

ავფიდიოს
კიდევ რომაელს ლაქუცობენ, თავს ევლებიან?

თანაშემწე
სწორედ არ მესმის, რა თილისმის ძალაა მასში,

თითონ შენივე ჯარისკაცი ღმერთად ჰხადიან,
 მას ლოცულობენ სუფრის წინაც, სუფრის შემდეგაც,
 სადილის დროსაც მხოლოდ მასზედ ლაპარაკობენ
 და აქარწყლებენ შენივ შენს ღვაწლს მის განდიდებით.

ავფიდიოს

რა გაეწყობა, ეხლა სხვაფრივ არ მოევლება,
 თუ არ იმგვარ გზით, რაც ჩვენს საქმეს სრულად ჩაფუშავს.
 როცა პირველად გარდავკოცნე, როდი მეგონა,
 ასე ამაყად თვითონ მეც კი მომეპყრობოდა;
 მაგრამ ეტყობა თვის ხასიათს ვერა დალატობს
 და მოთმენა სჯობს მისი, რასაც ვერას ვუშველით.

თანაშემწე

ბევრით გიჯობდა, არ შეგეკრა მასთან კავშირი
 და საქმეს მართო წასძლოლოდი, ანუ მისთვისვე
 მიგენდო სრულად.

ავფიდიოს

მესმის შენი გულისწადილი.
 მაგრამ მერწმუნე, რომ დადგება ანგარიშის დრო.
 თითონც არ იცის, თუ რა საბუთს წარვადგენ იმის
 წინააღმდეგს; თუმც ჰგონიათ იმასაც, სხვასაც,
 განსაკუთრებით მდაბალ ხალხსა, რომ ყოველიფერს
 უძღვება იგი ჯეროვანად, რომ ვეშაპივით
 მხნედ იღვწის ვოლსკთა სახელმწიფოს საბედნიეროდ
 და გამარჯვება ამოწვდენილს მის ხმალს ჰკიდია,
 მაგრამ როდესაც დრო მოვა და პასუხს მოსთხოვენ,
 არის ისეთი საქმე მისგან არ ნაზრუნავი,
 რაც ჩვენგანს ერთ-ერთს კისერს მოსტეხს.

თანაშემწე

როგორ გგონია,
 ბატონო ჩემო, რომს აიღებს?

ავფიდიოს

ყველა ქალაქი

ემორჩილება, ვიდრემდე გარს შემოერთყმოდეს;
 წარჩინებულნი რომაელნი მისკენ არიან,
 პატრიციებს და სენატორებს ძალიან უყვართ
 და ტრიბუნები სარდლობას ვერ დაიჩემებენ:
 იმათი ხალხიც ისევ ისე სწრაფად შეიხმობს,
 როგორც განდევნა და რომი მას დამორჩილდება,
 ვით ზღვის არწივის მძლავრ ბუნებას თევზი მორჩილებს.
 ჯერ თუმცა ღირსად ემსახურა თავის ქვეყანას,
 მაგრამ ბოლომდე ეს ღირსება ვერ შეიმშვნია.
 არ ვიცი ამის მიზეზად რა დავასახელო,
 სიამაყე თუ, რაც ბედისგან განებვივრებულთ
 აღებეჭდებათ ხოლმე ნაკლად, თუ ჭკვის სიფიცხე,

რაც უშლის ერთად თავმოყრილ ღვაწლს წყნარად წაუძღვეს,
 თუ მის ბუნება უხიაკი, სახე უცვლელი
 მუზარად ქვეშაც და სენატორთ რბილ ბალიშზედაც,
 რის გამოც იგი ისე მკაცრად განაგებს საქმეთ
 მყუდროების ჟამს, ვით ომის დროს, - არ ვიცი-მეთქი
 ერთი მიზეზის ბრალია, თუ ყველასი ერთად,
 სამივეს ნიშანს ვატყობ კია, მართალი რომ ვთქვა, -
 შიში დასთესა ხალხში იმან, თან სიძულვილი
 და ბოლოს აკი განიდევნა, თავისი ღვაწლი
 გაზვიადებით დააფოლა. ეგრედ ღირსებას
 კაცისას მხოლოდ ხალხის ყბა ჰქმნის და მეტი ქება
 თვით უადრესად სანაქებოს ბნელ ორმოს უთხრის;
 ცეცხლი ცეცხლსა მტრობს, ლურსმნით ვიდებთ მეორე ლურსმანს,
 ერთი უფლება მეორეთი იცვლება ხოლმე
 და ძალა ძალას ეურჩება. წავიდეთ ეხლა.
 კაიოს, როცა რომი ხელში ჩაგივარდება,
 ყოვლად ღატაკი შეიქმნები და დამმონდები.
 (გადიან)

მოქმედება მეხუთე

სურათი I. რომი. მოედანი
 (შემოდინ მენენიოს, კომინიოს, სიცინიოს, ბრუტოს და სხვანი)

მენენიოს
 ვერა, ვერ წავალ. გაიგონეთ, რა უთქვამს თავის
 ნასარდლარისთვის, რომელიც მას გულით უყვარდა!
 მამას მეძახდა, მართალია, მაგრამ რა ვუყოთ.
 თქვენ თითონ წადით, თქვენ, რომელთაც განდევნეთ იგი,
 პირქვე დაემხეთ მის კარვის წინ მილის მანძილზედ
 და ჩოჩვით მიდით, შეაბრალეთ ცოდვილი თავი.
 თუ კომინიოსს ხმა არ გასცა, მე რად წავიდე!

კომინიოს
 თვალი იმ სახით ამარიდა, თითქო ვერ მიცნო.

მენენიოს
 ხომ კარგად გესმით?

კომინიოს
 მხოლოდ ერთხელ დამასახელა.
 მე მოვავგონე ჩვენი ძველი ტკბილი კავშირი,
 ერთად დაღვრილი სისხლი, მაგრამ ჩემს მოწოდებას
 არ მიაქცია ყურადღება; სთქვა, მე სახელი,
 ანუ ღირსება არა მძევსო აღარაფერი
 და როდესაც თქვენს დედაქალაქს ცეცხლს წავუკიდებ,
 ახალ წოდებას იმის ალში გამოვჭედავო.

მენენიოს
ჩინებული რამ საქმე ჰქმენით. თუმცა თქვენ ორთა
რომი გასწირეთ, ნახშირი ხომ გაიაფდება,
ესეცა კმარა თქვენს სახსოვრად.

კომინიოს
მე მოვაგონე,
რომ შეწყალება მისი, ვინც მას აღარ მოელის,
საკადრისია თვით მეფეთა. პასუხად მითხრა,
რად ეკადრება სახელმწიფოს მოსთხოვოს შველა
თვისგან დასჯილსო?

მენენიოს
ახად უთქვამს, სამართლიანად.

კომინიოს
ცვადე სხვა გულის მეგობრების გახსენებაცა,
მაგრამ მომიგო, ახლა მყაყე ჩალაბულის ზვინს
ხომ არ დავუწყებ მისთვის ქექას, თითო-ოროლა
მარცვალი რაღაც მოვძებნო; სისულელეა
მხოლოდ მათ გამო მთლად ქალაქი არ გადავწვაო,
მოვეწამვლინო ყოვლად საზიზღ შეურაცხებას.

მენენიოს
თითო-ოროლა მარცვალიო! ერთი ხომ მე ვარ;
იმისი დედა, ცოლი, შვილი, აი ეს გმირი,
სულ მარცვლები ვართ, თქვენ კი ჩალა დამყაყებულნი,
რომლის სუნი თვით ზეცას ადის. თქვენი გულისთვის
ყველანი უნდა ამოგვბუგოს.

სიციინიოს
რადასა ჯავრობ!
თუ ამ საჭირო დროს შველაზე უარს გვიცხადებ,
ნუ გვიკიჟინებ აგრე მაინც, ნუ გვიგებ ნიშნსა.
შენ რომ მოსარჩლედ დასდგომოდი შენს ქვეყანასა,
მაგ ტკბილი ენით უფრო მარჯვედ შეაჩერებდი
ჩვენს მამულიშვილს, ვიდრემდე ჩვენ მოგროვილ ჯარით.

მენენიოს
მე ვერ ვიკისრებ.

სიციინიოს
გევედრებით, წადი, გვიშველე.

მენენიოს
აბა რა გზითა?

ბრუტოს
სცადე მხოლოდ, თუ როგორ გასჭრის

შენი იმასთან მეგობრობა.

მენენიოს
 მერე უსიტყვოდ
 რომ დამაბრუნოს ისე, როგორც კომინიოსი,
 გული მომიკლას უგემური, უკმეხ მიღებით,
 მაშინ რაღა ვქნათ?

სიცინიოს
 მაშინ რომი გადგიხდის მადლსა
 შენის კეთილის განზრახვისთვის.

მენენიოს
 კარგი, ვეცდები,
 იქნება მართლა მომისმინოს. თუმცა როდესაც
 გამახსენდება, როგორ მკვახედ, ტუჩების კვნეტით
 ის დახვედრია კომინიოსს, გულის ალაგას
 აღარ მაქვს გული. ესეც კია, ცუდ დროს მივიდა,
 ნასადილევი არ ყოფილა და, როცა მარღვნი
 ღვინით არა გვაქვს გაჟღენთილი, სისხლიც ცივია,
 თითონ დილის მზეს ვებუტებით, ვებუსხუნებით
 და არც გაცემა გვეხერხება, არც შეწყალება.
 მაგრამ როცა კი საჭმელ-სასმლით ავივსებთ გულ-გვამს,
 მაგრად გაჰკიკნავთ სისხლის მარღვებს, ვრბილდებით ხოლმე
 უფრო, ვიდრემდე უზმობის ჟამს. მე ვუდარაჯებ
 და რომ გამძება, მხოლოდ მაშინ მივმართავ თხოვნით.

ბრუტოს
 შენ გზები იცი, ვით შეეტკბო და არ გადუხვევ.

მენენიოს
 ვცდი უეჭველად; რაც იქნება, დაეხსენ, მოხდეს.
 მალე გაცნობებთ, თუ რა ბოლო მოჰყვება ჩემს ცდას.
 (გადის)

კომინიოს
 ხმასაც არ გასცემს.

სიცინიოს
 აგრე ჰფიქრობ?

კომინიოს
 მე გეუბნებით.
 ოქროს სელზედ ზის, თვალთ ელვარედ გარემო ავლებს,
 თითქო მათ სხივით იგი დაწვას რომს უქადისო,
 შეურაცხება მცველად უდგას შეწყალებას და
 გარეთ არ უშვებს. დავიჩოქე იმის წინაშე,
 მან ოდნავ მითხრა, ადექო და ხელის ქნევით
 გამომისტუმრა უპასუხოდ, თან მომაცოლა

წერილი, რითაც მაცნობებდა, თუ რას გვიპირობს
და როგორ ფიცით შეკრულია, დალუპოს რომი.
ყველა იმედი ამაოა. იქნება მხოლოდ
დედამ და ცოლმა შეაბრალონ ჩვენი ქვეყანა.
აპირობენო, მე შევიტყე; სჯობს, ჩვენ წავიდეთ
და შევევდროთ დააჩქარონ შუამდგომლობა.
(გადიან)

სურათი II. ვოლსკთა ბანაკის გარეთი მხარე, დარაჯები თავთავის ალაგსა დგანან
(მენენიოს დარაჯებთან მიდის)

პირველი დარაჯი
გაჩერდი! ვინ ხარ, სიდან მოხვალ?

მეორე დარაჯი
უკან დადექი!

მენენიოს
მაგ სიფრთხილისთვის ბარაქალა, მაგრამ მსურს ვუთხრა
სიტყვა რაიმე ვით დესპანმა კორიოლანოსს.

პირველი დარაჯი
საიდანა ხარ?

მენენიოს
რომიდანა.

პირველი დარაჯი
მაშ ვერ გაგიშვებთ,
უკან დაბრუნდი. იქაურსა ჩვენი სარდალი
არავის იღებს.

მეორე დარაჯი
ვიდრე მასთან ეღირსებოდე
შენ ლაპარაკსა, თქვენს რომს ცეცხლი მოიდნობს კიდევ.

მენენიოს
თუ თქვენს სარდალსა რომზედ, ძმებო, უთქვამს რამ თქვენთან,
ანუ იქაურს მეგობრებზედ, უეჭველია,
რომ ჩემს სახელსაც ყურს მოჰკრავდით; მე მეწოდება
მენენიოსი.

პირველი დარაჯი
წადი, წადი, გაისეირნე,
შენს სახელს როდი აქვს ის ძალა, წრე გაგვირღვიო.

მენენიოს
მე გეუბნები, რომ შენს სარდალს ძლიერ ვუყვარვარ,
იმის ქველ საქმეთ ვმსახურებდი სახსოვარ წიგნად,

სადაც შეეძლოთ ამოკითხვა უებრო ქების,
წამატებულის ზოგჯერ კიდევ. მე ხომ ყოველთვის
ჩემთა მეგობართ განდიდება მიყვარდა ხოლმე
და უმთავრესი არის იგი, - მიყვარდა-მეთქი
უკლებლივად თქმა სიმართლისა: ხანდისხან მზგავსად
დაღმართს დაშვებულ თავისთავად მარბენალ ბურთის
გადაჭარბებაც კი ვიცოდი და სიცრუესაც
სიმართლის ბეჭდით ვბეჭდდი ხოლმე, აი, მძობილო,
რად გეუბნები, რომ ნება მაქვს მასთან მისვლისა.

პირველი დარაჯი

რაც სიტყვები შენს სასარგებლოდ დახარჯე, იმდენივე ტყუილი რომ გეთქვა იმის გულისთვის, მაინც
ვერ გაგატარებთ; ვერა-მეთქი, თუნდ სიცრუე უმანკოებად მოინათლოს.

მენენიოს

გაიგე, რომ მე მენენიოს მქვიან და ყოველთვის შენი სარდლის მომხრე ვყოფილვარ.

მეორე დარაჯი

ცრუპენტელაობის ხელობაც რომ გჭეროდა იმასთან და გჭერია კიდევ, მაინც მე მართალს ვერ
ვულალატებ და პირდაპირ გეტყვი, ვერ გაივლი-მეთქი, უკან მიბრძანდი.

მენენიოს

ამასაც ვერ მეტყვი, ისადილა თუ არა? მე სადილ წინად არ მინდა ველაპარაკო.

პირველი დარაჯი

შენ რომაელი ხარ, განა?

მენენიოს

ჰო, რომაელი ვარ შენი სარდალივით.

პირველი დარაჯი

მაშ რომი იმასავით უნდა გმაგდეს. არა, თქვენივე დამცველი კარებიდან გამოუძახეთ, მტერს
სისულელით ფარად მიეცით და ეხლა გინდათ პასუხი გასცეთ იმის შურისძიებას ბებერ დედაკაცების
კენესა-ტირილით, ყმაწვილ ქალთა ხელების გაწვდენით, ან შენისთანა ჩერჩეტა ყბედის შუა გარევითა?
თქვენი ქალაქისთვის გამზადებულ ცეცხლს მაგ სუსტი ბერვით ვერ ჩააქრობთ, ვერა, ეგ სულ
ტყუილია; წადი, დაბრუნდი-მეთქი რომშივე და სასჯელისთვის მოემზადე; განაჩენი დადგენილია,
ჩვენმა სარდალმა დიდი ფიცით დაიფიცა, არავის შევიწყალებო.

მენენიოს

შენმა უფროსმა რომ ჩემი აქ ყოფნა იცოდეს, დამერწმუნე, პატივით მომექცეოდა.

მეორე დარაჯი

ჩემი უფროსი შენ რას გიცნობს?

მენენიოს

შენს სარდალზედ გეუბნები.

პირველი დარაჯი

ჩემი სარდალი კი მარტო შენთვის ზრუნავს, არა! წადი, მომშორდი, თორემ ერთ კოკა სისხლს გამოგადენ მაგ ტანიდან. წადი-მეთქი, ამის მეტს ჩვენგან ვერას გაიგონებ.

მენენიოს

კაცო, მომისმინე...

(შემოდინ კორიოლანოს და ავფიდიოს)

კორიოლანოს

რა ამბავია?

მენენიოს

აბა, ეხლა ნახე შენი ყოფა; ეხლა გაიგებ, რა პატივისცემითაც მიმიღებს და ნება აქვს თუ არა ვიღაც წუწკ დარაჯს, ჩემ შვილს კორიოლანოსთან არ მიმიშვას? მიგახვედრებ, ღვთის წყალობა მაქვს, რომ შენ ან საღრჩობელა მოგელის, ან ამაზედ კიდევ უარესი სატანჯველი. ერთი აქეთ მოიხედე და მარტო შიში შუა გაგხეთქავს. (კორიოლანოსს) დიდნი ღმერთნი ყოველ წუთს და წამს იყვნიენ შენნი მფარველნი და ჰყვარებოდეთ ისე, როგორც ბებერ შენს მამას მენენიოსს უყვარხარ. ოჰ, შვილო, შვილო, შენ თურმე ცეცხლს გვიშადებ და აი წყალი მომაქვს მაგ ცეცხლის გასანელებლად. ძლივს გამაბედვინეს შენთან მოსვლა, რაკი ჩემს გარდა შენს გულს ვერავინ მოალობდა, მათმა ოხვრა-კვნესის ქარმა აქეთკენ გამომაქროლა. გვედრები, მიუტევე რომს და შენ ქედმოდრეკილ მამულიშვილთ, დაიცხრე ეგ მრისხანება და მისი ნაშთი მიმართე ამ საზიზღარ მონას, რომელიც წინ კუნძსავით გადამეღობა და შენთან მოსვლა ამიკრძალა.

კორიოლანოს

იქით!

მენენიოს

როგორ! იქითა!

კორიოლანოს

მე აღარ ვიცნობ არც ცოლს, არც შვილს, აღარც დედასა;

სხვების მორჩილი ვარ და, თუმცა შურისძიება

საკუთარი მაქვს, პატივება ვოლსკთა ხელშია.

ძველი ჩვენ შორის მეგობრობა ამოვიფხიკე

და დავივიწყე, სიბრალულსა ვერა შობს იგი.

წადი! ეს ყურნი შეუვალნი არიან უფრო

თქვენის თხოვნისთვის, ვიდრე ჩემის ლაშქრისთვის თქვენნი

ციხე-ქალაქნი. მაგრამ რადგან ერთ დროს მიყვარდი,

აჰა წერილი, შენთვის მქონდა მომზადებული

და ვაპირობდი გამოგზავნას; მეტს ნურას მეტყვი. -

უსაყვარლესი კაცი იყო ეს, ავფიდიოს,

ჩემთვის მთელ რომში და აი თვით ჰხედავ შენ ეხლა.

ავფიდიოს

მართლაც, სარდალო, ხასიათით მტკიცე ყოფილხარ.

(კორიოლანოს და ავფიდიოს გადიან)

პირველი დარაჯი

შენ, მგონი, მენენიოს გეწოდება.

მეორე დარაჯი

მართლა და რა ძალა ჰქონია ამ სახელს, შინისკენ გზას ხომ გაიგნებ?

პირველი დარაჯი

ძალიან კი გაგვცოცხეს, რომ მაგისტანა დიდკაცს შეჩერება გაგიბედეთ და სარდალთან არ მიგიშვით.

მეორე დარაჯი

რაო, რას ამბობდი, რას უნდა გავეხეთქე შიშით?

მენენიოს

მე ეხლა აღარც თქვენი სარდლის ჯავრი მაქვს, აღარც მთელი ცის-ქვეშეთისა და თქვენისთანა ლაწირაკებს დავუგდებ სწორედ ყურსა! ვინც თითონვე სასიკვდილოდ აღარა ზოგავს თავსა, სხვისა რად შეეშინდება. დეე, თქვენმა სარდალმა ავზედ ავი საქმე ჩაიდინოს და თქვენც ნუ მოგშორდეთ ნურც დღეგრძელობა, ნურც ხანთან ერთად ტანჯვათა სიმრავლე. მეც ისე გეტყვით, როგორც მე მითხრეს: იქით!

(გადის)

პირველი დარაჯი

ძალიან კაცი კი უნდა იყოს.

მეორე დარაჯი

კაცი ჩვენი სარდალია. მუხაა, კლდეა, რომელს გრიგალიც კი ძვრას ვერ უზამს.

(გადიან)

სურათი III. კორიოლანოსის კარავი

(შემოდინ კორიოლანოს, ავფიდიოს და სხვანი)

კორიოლანოს

რომის კედლებ წინ დავაყენებთ ხვალ ჩვენს ლაშქარსა.

ჩემო ამ ომში ამხანაგო, ვოლსკთა დიდებულთ

უნდა აუწყო, მე ამ საქმეს როგორ გავუძედე.

ავფიდიოს

შენ მხოლოდ იმას ასრულებდი, რაიც მათ სწადდათ,

არ შეისმინე მთელი რომის ხვეწნა-ვედრება,

ყურნი დაიცევ, გააბრუნე თვით მეგობარნი

უერთგულესნი, იმედებით მოსულნი შენთან.

კორიოლანოს

აი იმ მოხუცს, გულმოკლულს რომ გავისტუმრე,

მამაზედ მეტად ვუყვარდი მე, ღმერთად მსახავდა.

უკანასკნელი ღონე იყო იგი იმათთვის.

მკვახედ მოვეპყარ, მართალია, მაგრამ მაინც კი

მის მეგობრობის გულისათვის წინაპირობა,

უარყოფილი ერთხელ მათგან, კვლავ განვუახლე,

თუმცა ვერც ეხლა მიიღებენ. ეს დავთმე მხოლოდ,

მის დიდ მოლოდინს ეს ვაღირსე მცირე პასუხად.

ყურს არ ვათხოვებ ამას იქით სხვა ახალ თხოვნას

სახელმწიფოსას, ან მეგობართ შემოვედრებას. -

(ყვირილი მოისმის)

რასა ჰყვირიან? ხომ არ უნდათ, რომ შემაცდინონ,
დამარღვეინონ აწ ნათქვამი. არა, არას დროს! -
(შემოდინა სამგლოვიაროდ ჩაცმულნი ვირგილია, ვოლუმნია, რომელსაც პატარა მარციოს მოჰყავს,
ვალერია და მხლებელნი)
ოჰ, ჩემი ცოლი მოდის აგერ, თან გვამი იგი
პატიოსანი, რომელშიაც გამოვიარე,
და შვილიშვილი მოჰყავს თვისი. შორს, სიყვარულო!
ბუნების ძალნო და კავშირნო, შეიმუსრენით.
მტკიცე სიკერპეს სათნოების სახელი დასდეთ.
რას დავდე მე მათ კრძალვა-ხვეწნას, ან მტრედისფერ თვალთ,
რანიც თითონ ღმერთთ სიტყვას გადაათქმევინებენ. -
თითქო მეც ვდნები, მეც უბრალო მიწა ვყოფილვარ.
აგერ თავსა ჰხრის დედაჩემი, ეს იმასა ჰგავს,
თხუნელის ნათხარს მოუდრიკოს ქედი ოლიმპმა.
ჩემი პატარაც მეხვეწება თვალებით და თან
ბუნებაც ამბობს, უარი არ გააგონოო.
ოჰ, არა, დეე მთელი რომი ვოლსკთა გადაჰხნან,
ფარცხი გაავლონ იტალიას! ჭუკი როდი ვარ,
რომ გრძნობას ავყვე; მე სიმტკიცეს შევინარჩუნებ,
თითქო ჩემითვე, უდედმამოდ გავჩენილიყო.

ვირგილია

ჩემო ბატონო და მეუღლე!

კორიოლანოს

შენ ნუ გგონია,

რომში რომ თვალნი გიყურებდნენ, იგივე მესხას.

ვირგილია

მაგას იმისთვის ამბობ ალბათ, რომ სატანჯველმა
სახე სრულიად შეგვიშალა.

კორიოლანოს

ლამის უვარგის

მსახიობსავით დამავიწყდეს, რაც სათქმელი მაქვს
და გზა-და-კვალი მთლად დამეზნეს. - ოჰ, მომიტევე
მე ეს სიმკაცრე, ჩემი გულის ამონაჭერო,
და ნუ მეტყვი კი, შენც რომაელთ მიუტევეო.
ეს კოცნა, ტკბილი, მზგავსად ჩემი შურისძიების
და გრძელი, როგორც სამშობლოდან განდევნის ხანი,
აქ აღგებეჭდოს. ვფიცავ ზეცის ეჭვიან ღმერთსა,
რომ წაყოლილი თან აღერსი, ჩემო ძვირფასო,
დაცული მქონდა ქალწულებრივ უმანკოებით.
ოჰ, ღმერთნო! აქ მე რაღაცაებს ვროშავ და დედას,
რომლის ბადალი არ ჰყოლია არც ერთ სულიერს,
არ ვაძლევ სალამს. - დაეფალით მიწაში, მუხლნო,
(დაიჩოქებს) და დააჩნიეთ კვალი სხვების სამაგალითოდ.

ვოლუმნია (ფეხზე წამოაყენებს)
 ადექი, შვილო, ჩემი ლოცვა წინ წაიმძღვარე!
 პირიქით, უნდა დედაშენი ქვებზე დაემხო
 და თაყვანი გცეს, თუმც დედა-შვილს ეს არც შეჭფერის.
 (დააპირებს დაჩოქებას. კორიოლანოს საჩქაროდ ფეხზედ წამოაყენებს)

კორიოლანოს
 რას სჩადი ამას! შენ უჩოქებ შენგან გაზრდილს შვილს?
 მამ ვარსკვლავთ გუნდნი ჩაიქოლონ ზღვის კენჭებითა,
 ალვის ხის შტონი მიაწვდინოს მზეს ქართა ქროლვამ,
 შეუძლებელი ნუღარ იყოს ნუღარაფერი!

ვოლუმნია
 ვაჟკაცი შვილი ხარ შენ ჩემი, ჩემი ნაყოფი. -
 ამ ქალს ხომ იცნობ?

კორიოლანოს
 პუბლიკოლას კეთილშობილ დას?
 რომელთ მთვარეს, უბიწოსა იმ ყინულივით,
 რაიც დიანას ტამარზედა წმინდად კამკამებს? -
 სალამი ძვირფასს ვალერიას!

ვოლუმნია
 აი, ესეცა,
 პირწავარდნილი შენი სახე, რომელიც მამას
 ყოველისფერში თავის დროზედ დაემზგავსება.

კორიოლანოს
 ლაშქრობის ღმერთმა იუპიტერის ნებადართევითა
 კეთილშობილი მისწრაფება გულს ჩაგინერგოს,
 აგცილებოდეს კიცხვა-ლანძღვა და ბრძოლის ჟამსაც
 ამართულიყო უზარმაზარ ზღვის კანდელივით,
 დელვა-ფრთონისგან ხელუხლები, რომ შენ მაცქერალთ
 შიშისაგან ხსნას უქადიდე.

ვოლუმნია
 შვილო, მამაშენს
 წინ დაუჩოქე.

კორიოლანოს
 საუცხოო ბიჭი დამდგარა!

ვოლუმნია
 ეგეც, ეს ქალიც, შენი ცოლიც და თითონ მეცა
 შენთან მთხოვნელად ვართ მოსულნი.

კორიოლანოს
 ნუღარ განაგრძობთ,
 ანუ, თუ აღარ დაიშლით, ეს გახსოვდეთ მაინც,

რომ ფიცი დავდე და მას ვედარ დამარღვევინებთ;
ჯარს ვერ დავითხოვ და რომაელ ხელოსანთა ბრბოს
არ მოვუყვები თავაზასა. ნუ მიკიჟინებთ
მე სისასტიკეს, ნუ ეცდებით დალაგებულ სჯით
შურისძიება გამიქარვით, რისხვა დამიცხროთ.

ვოლუმნია

შედეგ! შენა სთქვი, სათხოვარს ვერ შეგისრულებთო
და ვიდრე გამცნეთ, რასაც ვითხოვთ, უარსაც ამბობ.
მაინც კი გეტყვით და თუ ჩვენმა თხოვნამ ვერ გასჭრა,
ბრალი დაედოს შენს სიმკაცრეს, ყური დამიგდე.

კორიოლანოს

შენც მოისმინე, ავფიდიოს, და თქვენცა, ვოლსკნო,
მე საიდუმლო არა მაქვს-რა რომთან, აბა, სთქვით.

ვოლუმნია

თუნდ რომ სულ ჩუმად ვიყოთ, აი ეს სამოსელი
და სახის შეშლა უსიტყვოდაც გაგრძნობინებდა,
რა ყოფაში ვართ იმ დღეს აქეთ, რაც შენ განგდევენს.
თითონ იფიქრე, არის სადმე ჩვენებრ ბედკრული?
უნდა თვალეზი აგვსებოდა მხიარულ ცრემლით,
იმედით ეწყობ გულებს ფრთონა შენს დანახვაზედ,
ჩვენ კი მწუხარედ ვგლოვობთ ჩვენს ბედს, შიშით ვკანკალებთ,
რაკი მშობელი, ცოლი, შვილი ვხედავთ, თუ როგორ
ჩვენი ნაშობი, ქმარი, მამა თავის სამშობლოს
არ ინდობს შუა გასაგლეჯად. ეს შფოთი, მტრობა
ისე არავის უწყლავს გულსა, როგორც ჩვენ ბედკრულთ.
შენ ღმერთთ წინაშე ლოცვას გვიშლი, რაიც ყველასთვის
უბედობაში ნუგეშია; ან ვით ვილოცოთ,
ვით შევავედროთ ეს ქვეყანა, ჩვენი აღმზრდელი
და თან გინატროთ გამარჯვება ჩვენს სისხლსა და ხორცს?
უნდა გავწიროთ ან სამშობლო, ან გაგწიროთ შენ,
ჩვენს სასოებად ამ მიწაზედ დაბადებული.
რომელმაც უნდა გაიმარჯვოს ჩვენმა სურვილმა,
უბედურება არ აგვცდება; ანუ შენ უნდა
ბორკილგაყრილი გაგატარონ ვით მუხანათი
ჩვენ თვალთა წინა დასასჯელად, ან ფეხით სთელიო
შენი ქვეყანა აკლებული, გამარჯვებულმა,
ძლევის გვირგვინით შემოსილმა, რომ არ დაზოგე
და თვით დაღვარე სისხლი შენის ძვირფას ცოლ-შვილის.
მე კი ამ ბოლოს, შვილო ჩემო, არ მოვესწრები
და თუ ვერ შევძელ, დაგაჯერო, ტკბილად მოექცე
ორსავე მხარეს, არც ერთს დღენი არ მოუსწრაფო, -
ვიდრე ქვეყანას შენსას თავსა დაეცემოდე,
ჯერ დედიშენის გვამზედ, რამაც ამ ქვეყნად გშობა,
რამაც სიცოცხლე მოგანიჭა, გადაგატარებ.

ვირგილია
და ჩემს გვამზედაც, რომელმაც ეს ბავშვი გაჩუქა
გვარის განგრძობად დროთ სივრცეში.

პატარა მარციოს
ჩემზედ კი ვერა.
მე გავიქცევი და, როდესაც დიდი ვიქნები,
მეც ომში წავალ.

კორიოლანოს
ქალაჩუნად ყოფნა თუ არ გვსურს,
ნურც დედაკაცებს ვინახულებთ და ნურც ბავშვებსა.
ამდენი ხანი ყურს რად გიგდებთ!
(ადგება წასასვლელად)

ვოლუმნია
ვერ დაგვანებებ
ჩვენ აგრე თავსა. რომაელთა ხსნას რომ ვითხოვდეთ
და თან დალუპვას ვოლსკთა, რომელთ ეხლა მსახურობ,
ამით მოვცხებდით ჩირქს შენს სახელს, შევიქნებოდით
გაკიცხვის ღირსნი. არა, ჩვენი სავედრებელი
მარტო ეს არის, მოარიგო ორივე მხარე:
ვოლსკთ შეეძლოთ თქმა: „ეს წყალობა მივანიჭეთო“.
რომაელთ კიდევ - „მივიღეთო“ და ორთავ ერთხმად
ლოცვა-კურთხევა მოგიძღვნან ამ შერიგებისთვის.
სახელოვანო შვილო ჩემო, შენ კარგად იცი,
რომ ომის ბოლო საეჭვოა და უეჭველი
ეს არის მხოლოდ, თუ დაიპყრობ რომს და მით სახელს
შეიძენ, იგი სალანძღავად გადაიქცევა,
ჩაიწერება ამ სიტყვებით მატთანში:
„კეთილშობილი იყო იგი, მაგრამ თვის ღვაწლი
წაშალა ბოლოს, რა აიკლო სამშობლო მხარე,
და იხსენიებს ზიზღით იმას შთამომავლობა“.
პასუხი მითხარ, შვილო, შენ ხომ პატიოსნებას
ხმაშეწყობილი თანასდევდი და მადლის ქმნიტა
ბაძავდი ღმერთებს, რანიც ძლიერ ჭექა-ქუხილით
არყევენ ხოლმე სამყაროსა, მაგრამ ვნებით კი
უბრალო მუხას მეხტა ისრით აპობენ მხოლოდ.
არაფერს ამბობ? დიდებულს კაცს შეჰფერის განა
ჩაინარჩუნოს ჯავრი გულში? (რძალს) შვილო, სთქვი რამე,
თორემ ეგ შენ ცრემლთ ყურს არ უგდებს. - პაწია ბიჭო,
შენ მაინცა სთქვი. იქნება ჩვენს სიტყვა-საბუთზედ
შენმა ტიკტიკმა უფრო გასჭრას. - არც ერთ სულიერს
არ აწევს ისე დედის ვალი, როგორც ამასა,
მაგრამ ტყუილად მაყბედებს მეც, ვით ტყვეს უმწეოს!
არ მოქცევიხარ ხომ არასდროს ალერსით დედას,
რაიც კრუხივით მარტო შენ თავს დაგტრიალებდა,
წინ მიგიძლოდა ომში წასულს და სახელ-ნაპოვნს
გეგებებოდა აღტაცებით. თუ ჩემი თხოვნა

უსამართლოა, გამაძევე, მაგრამ თუ არა,
 პატიოსნებას ვერ ვუწოდებ მაგ უარის-თქმას.
 ღმერთნი დაგსჯიან, რომ უფლებას მართმევ დედისას! -
 იქით მიბრუნდა. დედაკაცნო, დაემხეთ პირქვე,
 დავანამუსოთ ეგებ ამით. იმის წოდებას
 კორიოლანოსს თან მცნობია სიამპარტავნე
 და ჩვენს ვედრებას სიბრაღული არ ეკარება.
 დაემხეთ-მეთქი! აწ გათავდა, ეს არის და ეს,
 დავბრუნდეთ რომში, დავიხოცნოთ ჩვენც სხვებთან ერთად. -
 ოჰ, ამ ბავშვს მაინც შემოხედე! არ იცის, რა სთქვას,
 შემოგტრფიალებს ხელაპყრობით და ჩვენს სათხოვარს
 სიმტკიცეს მატებს ისეთს, რომ ვერ გაუმაგრდები. -
 არა, წავიდეთ, ამ კაცს დედა ვოლსკი ჰყოლია,
 ცოლი კორიოლს დარჩენია, ბავშვის მზგავსებაც
 მხოლოდ შემთხვევით აიხსნება. - კარგი, გაგვიშვი,
 მინდა მივასწრო, სანამ ცეცხლი მოედვის ქალაქს
 და მაშინა ვთქვა, რაც სათქმელი დამაკლდა კიდევ.

კორიოლანოს (რამდენსამე ხანს ვოლუმნიას ხელი ჩუმად ხელში უჭირავს)
 ოჰ, დედავ, დედავ, ეს რა ჰქმენი! თვით ცა გაიხსნა,
 ღმერთნი ზემოდან გვიცქერიან და დასცინიან
 ამ უბუნებო სანახავსა. დედავ, მაგ ცრემლით
 თუმც გამარჯვება უპოვე რომს, მაგრამ კი ბედი
 შენის შვილისა, და იქნება, თითონ სიცოცხლეც,
 მას ანაცვალე. აგრე იყოს. - ავფიდიოს, მე
 აღარ ვარგივარ აწ ომისთვის; ეს შემიდლიან
 მხოლოდ, საჩვენო პირობები დავადებინო.
 მითხარი, ჩემო ავფიდიოს, ჩემს ალაგას რომ
 ყოფილიყავი, დედის სიტყვას არ შეისმენდი?
 ან უარჰყოფდი იმის თხოვნას? -

ავფიდიოს
 მეც ამაღელვებს.

კორიოლანის
 დარწმუნებული ვარ მაგაზედ. ადვილი საქმე
 როდია ცრემლი ჩემ თვალთაგან გამოიწუროს.
 ახლა როგორ გსურს მორიგება? ბრძანე, მირჩიე.
 მე რომ არ მივალ, დავბრუნდები კორიოლშივე
 და დახმარებას ვითხოვ შენგან. - ოჰ, დედაჩემო!
 ჩემო მეუღლე!

ავფიდიოს (ცალკე)
 მიხარია, რომ შენი გრძნობა
 შეწყალებისა აეშალა დიდების სურვილს.
 მაგით შევიძლებ, დავიბრუნო ჩემივე ბედი.
 (ქალები ანიშნებენ კორიოლანოსს, რომ გამოსალმება სურთ)

კორიოლანოს (ვოლუმნიას, ვირგილიას და სხვათ)
 ეხლავ მოვდივარ, მაგრამ ერთად სჯობს ვისაუზმოთ;
 მერე გაგატანთ საბუთს რასმე, სიტყვის უკეთესს,
 რაზედაც უნდა მოვაწეროთ ხელი ორივემ.
 მოდით აქ ჩვენთან. თქვენ ტამარი უნდა ავიგონ:
 მთელ იტალიის ხმლები და მის მოკავშირენი
 ასე მშვიდობის ჩამოგდებას ვერ შეიძლებდნენ.
 (გადიან).

სურათი IV. რომი. მოედანი
 (შემოდინ მენენიოს და სიცინიოს)

მენენიოს
 ჰხედავ კაპიტოლის იმ კუნჭულს, აი კუთხის ლოდი რომ ძევს?

სიცინიოს
 მერე რაო?

მენენიოს
 თუ შენ იმას ალაგიდან დასძრავ, მაშინ იქნება იმ ქალების და იმის დედის თხოვნამაც გასჭრას.
 გეუბნები, იმედი აღარა არის-რა-მეთქი. ყელზედ დანა გვაქვს მობჯენილი და სიკვდილი არ აგვცდება.

სიცინიოს
 ასე მოკლე ხანში აგრე როგორ გამოიცვალა?

მენენიოს
 პარკის ჭიასა და პეპელას შუა დიდი განსხვავებაა, მაგრამ პეპელაც ერთხელ პარკის ჭია ყოფილა,
 მარციოს კაცი იყო და ეხლა გველვეშაპია; ფრთები გამოსვლია და მიწაზედ ღოღვას აღარ კადრულობს.

სიცინიოს
 თავისი დედა ძალიან უყვარდა.

მენენიოს
 განა მე კი არ ვუყვარდი! დედაზედ ეხლა ის იმდენსავე ჰვიქრობს, რამდენსაც რვა წლის კვიცი. იმის
 მძაფრი სახის დანახვაზედ მწიფე ყურმენიც კი ძმარდება. რო დადის, გეგონება უშველებელი მანქანა
 იძვრისო და მიწას ზანზარი გაუდის. თვალთაგან გამომკრთალ ელვარე სხივებით ფარების
 დახვრეტასა ლამის. რომ ლაპარაკობს, გეგონება ზარი გრიალებსო, რომ ხვნეშის, თითქო ზარბაზნებმა
 დაიქუხესო და ალექსანდრეს მჯდომარე ქანდაკსა ჰგავს. რასაცა ბრძანებს, წამსვე უნდა შესრულდეს.
 ღვთაებაა, ღვთაება, მხოლოდ უკვდავება აკლია და ზეცაში ტახტი.

სიცინიოს
 და კიდევ მოწყალე გული, თუ რასაც ამბობ, სულ მართალია.

მენენიოს
 წმინდა სიმართლეს გეუბნები. თითონ თქვენვე ნახავთ, რა შეწყალებასაც ეღირსებით. გინდა მასში
 კეთილი გული გიძებნია, გინდა რძე მამალი ფოცხვერის გვამში; მაგრამ ჩვენი ქალაქი თქვენის
 წყალობით მალე იგრძნობს ჩემი სიტყვების სიმართლეს.

სიციინოს
 ღმერთნი იყვნენ ჩვენნი მფარველნი.

მენენიოს
 ამისთანა საქმეში ღმერთნი რა მფარველობას გაგვიწვევენ! როცა ის სამშობლოდან განვდევნეთ,
 ღმერთებზედ არასა ვფიქრობდით და ეხლა, როცა უკან დაბრუნდა და კისრის მოგრეხას გვიპირობს,
 ღმერთები ჩვენთვის რაღად იზრუნვენ.
 (შემოდის ერთი შიკრიკი)

შიკრიკი
 ბატონო ჩემო, თუ თავი არ მოგმაგებია,
 ეხლავ შინ წადი; ამხანაგი შენი შეიპყრეს
 და ქუჩა-ქუჩა დაათრევენ პლებნი უწყალოდ;
 შეჭფიცეს კიდეც, თუ დედანი, ჩვენ ხსნად წასულნი,
 არ მოიტანენ სანუგეშო ამბავს, მამინვე
 სულ ლუკმა-ლუკმა დავეფლეთავთო.
 (მეორე შიკრიკი შემოდის)

სიციინოს
 შენ რაღას იტყვი?

მეორე შიკრიკი
 ძლიერ კარგ ამბავს: გაიმარჯვეს დედებმა თურმე!
 ვოლსკნი აყრილან, მარციოსიც მათთან წასულა.
 ჯერ ამისთანა საამო დღე რომს აროდეს არ
 გასთენებია, თვით ტარკვინის განდევნის ჟამსაც.

სიციინოს
 სწორეს კი ამბობ, მეგობარო, ნამდვილად იცი?

მეორე შიკრიკი
 ისე ნამდვილად, როგორც ვიცი, მზეს სიცხოვლე აქვს.
 ან სად იყავით, რომ არ გჯერათ! ჯერ არ მომხდარა,
 ამდენი ხალხი მისწვდომოდეს ქალაქის კარებს,
 რაც ეხლა მიდის ზღვასავითა, აღტაცებულნი.
 აჰა, არ გესმით?
 (მოისმის ბუკ-საყვირის და დაფდაფის ხმა და ხალხის კიჟინი ერთად არეული)
 ბუკი, სტვირი, დაფ-სალამური.
 წინწილ-ებანი და ძლიერი კიჟინი ხალხის
 ალაგით სძრავენ თითონ მზესაც... ეხლა ხომ გესმით?
 (კიდეც დიდი ხმაურობაა)

მენენიოს
 კაი ამბავი არის ეგა. წავალ დედათა
 მისაგებებლად. ვოლუმნია მარტო იყიდის
 ყველა კონსულებს, სენატორებს, პატრიციებსა,
 მთელ რომის ქალაქს და თქვენ მზგავსმა, ტრიბუნებმა ხომ
 ზღვა და ხმელეთი რომ აავსოთ, ვერ შეედრებით.
 კარგად მოგსვლიათ დღეს თქვენ ლოცვა: ათი ათასი

რომაელი რომ ყმად მოეცათ ამ დილით ჩემთვის,
ერთ ფარასაც არ გავიღებდი იმათ საზადლოდ.
(მუსიკა და ხმაურობა კიდევ ისმის)
რა სიხარული შესდგომიათ!

სიცინიოს
მაგ ამბებისთვის
ღმერთთა გაკურთხონ და მიიღე ჩემგანაც მადლი.

მეორე შიკრიკი
ყველას გვეკუთვნის გადვიხადოთ სამადლობელი.

სიცინიოს
ახლო არიან ქალაქზედა?

მეორე შიკრიკი
მალე შემოვლენ.

სიცინიოს
ჩვენც მივეგებოთ, სიხარული გავიზიაროთ.
(გადიან)

სურათი V. იგივე ქალაქი, ქუჩა ქალაქის კარებს ახლო
(შემოდინან ლიტანიით ვოლუმნია, ვირგილია, ვალერია და სხვანი; მათ მოსდევენ სენატორები,
პატრიციები და მოქალაქენი)

პირველი სენატორი
აი ეს არის რომის მხსნელი, სულის ჩამდგმელი!
შეჰყარეთ მთელი ერი ერთად, ღმერთთ მადლი სძღვენით,
აანთეთ ცეცხლნი სიხარულის გამომეტყველნი,
წინ ყვავილები დაუფინეთ, ქარს მიეცით ხმა
რომით განდევნილ მარციოსის და უხმეთ შინვე
დედასთან ერთად, მიესალმეთ ესრედ ძახილით:
„მოგეგებებით წრფელი გულით, რომის დედანო!“

ყველანი
მოგეგებებით წრფელი გულით, რომის დედანო!
(ბუკ-საყვირის და დაფდაფის ხმა. გადიან)

სურათი VI. კორიოლი. მოედანი
(შემოდინან ავფიდიოს და იმისნი მხლებელნი)

ავფიდიოს
ქალაქის უფროსთ მოახსენეთ, რომ მე აქა ვარ
და ეს ქალაღიცი წარუდგინეთ, რომ წაიკითხვენ,
უნდა მოზრძანდნენ მოედანზედ. და იქ იმათაც
და მთელ ქალაქის ხალხსაც წვრილად ვუამბობ ყველას,
ვისაც მე ზრალს ვდებ, შემოვიდა ქალაქში კიდევ,
სურს ხალხს წარუდგეს, გაიმართლოს სიტყვებით თავი;

ნუღარ უყურებთ.

(მხლებელნი გადიან. შემოდის სამი ან ოთხი შეთქმული, ავფიდიოსის მომხრე) გამარჯვება!

პირველი შეთქმული

როგორ ბრძანდები, ჩვენო სარდალო?

ავფიდიოს

როგორც კაცი თვის კარგ გულითვე
გასწორებული მიწასთანა.

მეორე შეთქმული

ბატონო ჩემო,

თუ დახმარებას ჩვენსას კიდევ საჭიროდ ჰხედავ,
მაგ შიშს თავიდან აგაცილებთ.

ავფიდიოს

ჯერ ვერას გეტყვით;

როგორც დავატყობთ ხალხს, ჩვენც უნდა ისე მოვიქცეთ.

მესამე შეთქმული

ვერას გარდასწყვეტს ხალხი, ვიდრე თქვენ ერთმანეთს მტრობთ
და მხოლოდ, როცა ერთს სიცოცხლეს გამოვასალმებთ,
გაბატონდება მყის მეორე.

ავფიდიოს

ვიცი ეგ კარგად

და მიზეზიც მაქვს ჯეროვანი იმის მოკვლისთვის.

მე ვუთავმდებე, მე თვით მალლა ავწიე იგი

და მან მალლიდან მლიქვნელობის ცვარით დანამა,

მოალბო ჩემი მეგობრები; თავის ბუნება

მოუდრეკელი და ამაყი მოჰქნა, მოგრიხა,

გარემოებას შეუფერა.

მესამე შეთქმული

მარტო ის კმარა

გასახსენებლად, კონსულობა როგორ დაჰკარგა

თავის უხიაკ ხასიათით...

ავფიდიოს

ეგ უნდა მეთქვა:

სწორედ მაგისთვის რომ განდევნეს, შემომეკედლა,

გამოსაღადრად მოუშვირა ჩემს დანას ყელი;

მე კი მივიღე ამხანაგად; რაიც კი სწაღდა,

ყოველისფერი შევუსრულე, თან ნება მივეც,

უმამაცესნი, უკეთესნი მთელს ჩემს ლაშქარში

გამოერჩია, ოღონდ გულის წადილს სწეოდა;

ეგ რა! თვით მევე მის უფლებას დავემორჩილე,

ხელი შევუწყე მის სახელის განდიდებასა

და ესეთ მსხვერპლის მოტანითა თავიც მომწონდა.
 ბოლოს იმისი ხელქვეითი გამოვდეგ მხოლოდ,
 რომელსაც ზოგჯერ მადირსებდა წყალობის ღიმილს,
 როგორც დაჭერილს ქირით მსახურს.

პირველი შეთქმული
 ჭეშმარიტს ბრძანებ;
 მთელს ჯარს უკვირდა ეგ ამბავი. და როცა რომთან
 ვიდექით იმის იმედითა, რომ დიდ ნადავლთან
 სახელსაც დიდსა შევიძენდით...

ავფიდიოს
 სწორედ მაგისტვის
 მთელს ჩემს ძალ-ღონეს არ დავზოგავ მის დასაღუპად.
 დედაკაცის ცრემლს, სურდოს ნაყოფს, სიცრუესავით
 იაფს და ადვილს, ანაცვალა ის გარჯა, შრომა,
 სისხლი, დაღვრილი იმ დიდ ომში; სწორედ ამისთვის
 ის უნდა მოკვდეს და სიკვდილით მისით განვახლდე -
 გესმით ეს გრგვინვა?
 (მოისმის საყვირისა და დაფდაფის ხმა და ხალხის დიდი ყვირილი)

პირველი შეთქმული
 შენ მოხვედ შენს დედაქალაქში,
 როგორც შიკრიკი უმნიშვნელო; მის მოსვლაზედ კი
 ხალხის კიჟინი ჰაერს აპობს, ზეცაში ადის.

მეორე შეთქმული
 და იგივე მხეცნი, რომელთ შვილნი ამოუჟლიტა,
 მარღვებს იწყვეტენ ღრიალითა და ქების შესხმით.

მესამე შეთქმული
 მაშ ვიდრე იგი წარმოთქვამდეს რასმე, ანუ ხალხს
 ააღლევებდეს თვის ნათქვამით, სჯობს აგრძნობინო
 შენის ხმლის წვერი და ჩვენც მყისვე მოგეშველებით.
 როდესაც მკვდარი ძირს ეგდება, იმის სათქმელი
 შენებურად სთქვი და საბუთი რაც გააჩნია,
 მკვდარს საფლავშივე ჩავატანოთ.

ავფიდიოს
 ნულარას იტყვით,
 ქალაქის უფროსთ ჰხედავთ აგერ!
 (შემოდინ ქალაქის უფროსნი)

ქალაქის უფროსნი
 მშვიდობა შენი შინ მობრძანება.

ავფიდიოს
 მე სალამი როდი მეკუთვნის:
 ჩემი წერილი წაიკითხეთ?

ქალაქის უფროსნი
წაკითხული გვაქვს.

პირველი ქალაქის უფროსი
და მწუხარებით მოვისმინეთ. რაც ბოლო დრომდე
ცოდებები ჰქონდა ჩადენილი, მივუტევებდით,
მაგრამ ეხლა კი თავს, არ ვიცი, რითი იმართლებს,
რომ საქმეს ჯერედ არ დაწყებულს ბოლო მოუღო.
არ მიაქცია ყურადღება ამდენს სისხლს დაღვრილს,
ამდენ ჯაფას, მსხვერპლს და პირობით შეეკრა მტერსა,
როდესაც იგი ხელში გვყავდა მორჩილ ყმასავით.

ავფიდიოს
აგერ თვით მოდის, მოუსმინეთ, აბა რას იტყვის.
(შემოდის კორიოლანოს, მედროშენი, მედაფენი და მრავალნი მოქალაქენი უკან მოსდევენ)

კორიოლანოს
სალამს მოგიძღვნით, დიდებულნო! ჭირად არ მჭირდა,
როდესაც წაველ, სიყვარული ჩემის ქვეყნისა
და არც ეხლა ვარ ამით ავად. ვბრუნდები უკან
თქვენსავე მეომრად, თქვენის დიად უფლების ქვეშე.
უნდა უწყოდეთ, ბედნიერად მომიხდა ომი
და სისხლის კვალი წავუმძღვარე რომის კარამდე
თქვენს ლაშქრის რაზმთა. რაც ნადავლი თან მოვიტანეთ,
ერთ მესამედით სჭარბობს ხარჯსა, თქვენგან გადახდილს.
ბოლოს მოვრიგდით სამარცხვინოდ რომაელთათვის,
ანციელთათვის სასახელოდ და აი გიდგენთ
პატრიციოსთა და კონსულთა ხელმოწერილსა
შეკრულობის პირს, დაბეჭდილსა სენატის ბეჭდით.

ავფიდიოს
ნუ წაიკითხავთ, ბატონებო, თავში ახალეთ
მაგ მუხანათსა, თქვენთ უფლებათ ბოროტად მომხმარს.

კორიოლანოს
როგორ, მუხანათს ვის ეძახი?

ავფიდიოს
შენა, მარციოს, შენ გეუბნები.

კორიოლანოს
მე, მარციოსს!

ავფიდიოს
დიახ, სწორედ შენ,
შენა, კაიოს მარციოსო! იქნება ფიქრობ,
რომ კორიოლში მე გიწოდო კორიოლანოს,
სახელი, შენგან შენამენი ნაპარევადა! -
ქვეყნის უფროსნო, დიდებულნო! ამან უმუხთლა

თქვენგან მინდობილს დიდ საქმეს და მლაშე ცრემლში
 გასცვალა თქვენი, დიად, თქვენი ქალაქი რომი;
 უმსხვერპლა იგი დედას და ცოლს და თვისი ზრახვა
 დამპალ ძაფივით გადაფხრიწა, უმტყუნა ფიცსა,
 არ დაეკითხა თვით სამხედრო საბჭოსაც რჩევას
 და რაკი ძიძა თვისი ნახა ნამტირალევი,
 თქვენი ნაკუთვნი გამარჯვება თან გაატანა
 თავის ცრემლსა და ოხვრა-კვნესას. ამის მნახველნი
 ბავშვნი სირცხვილით წითლდებოდნენ და ვაჟკაცნი ხომ
 გამტერებულნი შესცქეროდნენ ერთი-ერთმანეთს.

კორიოლანოს
 გესმის, მარეხო!

ავფიდიოს
 ღმერთს ნუ უხმობ, მტირალა ბავშვო.

კორიოლანოს
 ოჰ!

ავფიდიოს
 ბავშვო-მეთქი.

კორიოლანოს
 უზომოდ ცრუე! აღარ მეტევა
 გულში მე ბოლმა მოწოლილი. ბავშვო! ოჰ, მონავ! -
 გთხოვთ, მომიტევეთ, ბატონებო, პირველად მომდის
 ავად ხსენება ესეთ ლექსით მე უნებურად.
 თქვენ თქვენის მსჯავრით დაუმტკიცებთ ამ ძალს სიცრუეს
 და თითონც უნდა აღიაროს, თორემ ნაცემი
 ჩემი ხომ ზურგზედ ამჩნევია თვით სიკვდილამდე
 ამოუშლელად და ეხლაც ბურთს ხახაში ჩავჩრი.

პირველი დიდებული
 ჩუმად იყავით ორნიც და გთხოვთ, რომ მომისმინოთ.

კორიოლანოს
 აჰა, ამკუწეთ ნაჭერ-ნაჭრად! ვოლსკნო, მომდექით, -
 დიდმა, პატარამ ამოავლოს ჩემს სისხლში ხმალი.
 ბავშვო! ოჰ, შე წუწკო ძაღლო! რომ სინამდვილით
 გეწერათ თქვენი მატიაწე, ხომ აღნიშნავდით,
 რომ ვით არწივი მტრედების გუნდს, დაგეცით თავსა
 მარტოდ მარტოკა კორიოლს და რეტი დაგასხით.
 ბავშვო!

ავფიდიოს
 როგორ, დიდებულნო, ამასაც უთმენთ
 ამ არაწმინდა კვებნიასა, რომ ბრმა შემთხვევით
 მოპოვებული გამარჯვება თქვენდა მარცხვენი

პირში გახალოთ!

შეთქმულნი
ღირსი არის მოკვდეს მაგისტვის!

მოქალაქენი
ნაკუწ-ნაკუწად აპკაფეთ, ეხლავ, ამ წამსვე! - მაგან მე შვილი მომიკლა! - მე ქალი! - ჩემი ბიძაშვილი
მარკოზიც მაგისგან არის მოკლული. - მე მამა მომიკლა!

მეორე დიდებული
ჩუმად იყავით, ჩუმად-მეთქი, ნუ შეურაცხყოფთ!
მაგის სახელი მთელ ხმელეთზედ მოფენილია
და დიდებული არის თითონც. რაც ამ ბოლო დროს
დანაშაული მიუძღვის, მას სამართლით განვსჯით.
წესს ნუ დაარღვევ, ავფიდიოს.

კორიოლანოს
ნეტავი შემხვდეს
ერთად თუნდ ექვსი მაგისტანა, მთელ ჯამათით,
ვაგრძნობინებდი ამ ჩემს ხმალსა.

ავფიდიოს
ურცხვო, პირუტყვო!

შეთქმულნი
მოჰკალით ეხლავ, ხმალი ჰკარით, მოჰკალით-მეთქი!
(ავფიდიოს და შეთქმულნი ხმლებს ამოიღებენ და კორიოლანოსს ჰკვლენ, კორიოლანოს დაეცემა.
ავფიდიოს ზედ ფეხით შესდგება)

დიდებული
ოჰ, რას სჩადიხართ, ხელი იქით!

ავფიდიოს
გთხოვთ, მომისმინოთ,
უფალნო ჩემნო.

პირველი დიდებული
ტულოს, ტულოს...

მეორე დიდებული
ეგ შენი საქმე
მრავალ გმირ ვაჟკაცს გამოსწურავს თვალთაგან ცრემლსა.

მესამე დიდებული
ფეხით ნუ სთელავ. - გთხოვთ, დაწყნარდეთ, ჩააგეთ ხმლები.

ავფიდიოს
თქვენ რომ შეიტყოთ, ბატონებო, - თუმცა ძნელია
გაგება რისმე ესრედ აშლილს მის მიზეზით დროს, -

შეიტყოთ-მეთქი, თუ რა შიშში იყავით მისგან,
 მიეგებოდით ამ სიკვდილსა სიამოვნებით.
 გთხოვთ, დამიბაროთ სენატში მე და იქ ვეცდები,
 რომ ერთგულება დაგიმტკიცოთ, ან თუ ღირს-ვიყო,
 დამდოთ სასჯელი უმძიმესი.

პირველი დიდებული
 წაიღეთ გვამი
 და გლოვა მორთეთ მისთვის ყველგან; ჯერედ ჰეროლდი
 ცხედარსა ასე წარჩინებულს არ გაჰყოლია.

მეორე დიდებული
 მისი სიცხარე ზოდიშსა ჰხდის ავფიდიოსსა.
 დავემორჩილოთ, რასაც არა ეშველება-რა.

ავფიდიოს
 აწ მრისხანებამ გამიარა და მეცა ვწუხვარ.
 აიღეთ გვამი; მოდით სამნი საუკეთესო
 მხედარნი აქა და მეოთხე მევე ვიქნები.
 სამგლოვიაროდ დაჰკათ დაფსა! შუბნი დაჰხარეთ.
 თუმც ამ ქალაქში მან მრავალი დააქვრივ-ობლა,
 რომელთ ჯერეთაც თვალზედ ცრემლი არ შემრობიათ,
 მაინც სახსოვარს დიდს აიგებს. - მოდით, მიშველეთ.
 (გადიან და კორიოლანოსის გვამი გააქვთ. მოისმის სამგლოვიარო მარში)



სხვა ელექტრონული წიგნებისათვის გთხოვთ ეწვიოთ
 ჩვენს ინტერნეტ-მაღაზიას: www.iBooks.ge